



**ციბეხანი**

№ 71 / 11 – 17 აპრილი / 2011

ISSN 1987-7528



9 771987 752008

ორი აზრი: რა სურს ტელემეყურებელს? **გვ. 06**

ისრაელის იძულებითი სიმშვიდე **გვ. 10**

ოზამა – 2012 **გვ. 12**

კაჩინსკიდან კაჩინსკივდე **გვ. 14**

მთავრობა გიზნენის კეთილსინდისიერებას **გვ. 18**


სიმინდი ჩვენი არსობისა **გვ. 20**

ომბუდსმენის ახალი ანგარიში ძველი პრობლემებით **გვ. 28**

ვინ არის გავშვის მამა? **გვ. 32**

VIAGRA, როგორც გამარჯვების სიმბოლო **გვ. 36**

ფასი 2 ლარი



**"ხანხი  
ნიჩევის  
ბახთობას"**

**გვ. 22**

UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0


UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0



IB

VB

TBII

TBI

UTB





**ნომერი:**

- 02 ლიბერალის ვებგვერდიდან
- 04 მოკლედ
- 06 **ორი აზრი**  
რა სურს ტელემყურებელს?  
**მსოფლიო**
- 08 გაჭიანურებული განთიადი
- 10 **ახლო აღმოსავლეთი**  
ისრაელის იძულებითი სიმშვიდე
- 12 **აშშ**  
ობამა – 2012
- 14 **პოლონეთი**  
კაჩინსკიდან კაჩინსკიმდე  
**კონფლიქტები**
- 16 წინამძღვარი თუ დამხმარე?

- პოლიტიკა**
- 18 მთავრობა ბიზნესის კეთებას იწყებს  
**სოფლის მეურნეობა**
- 20 სიმინდი ჩვენი არსობისა  
**მთავარი თემა**
- 22 „ხალხი ირჩევს გართობას“  
**ადამიანის უფლებები**
- 28 ახალი ანგარიში ძველი პრობლემებით  
**ჯანდაცვა**
- 32 ვინ არის ბავშვის მამა?  
**მედიცინა**
- 36 V – როგორც გამარჯვების სიმბოლო  
**საზოგადოება**
- 40 მზადება საუკუნის ქორნილისთვის

- თვალსაზრისი**
- 42 რეპრეზენტაციულობის სხვაობა  
*მარკ მალენი*
- 44 მოლაპარაკება უნდა გაგრძელდეს  
*ეკა სირაძე*
- 46 ცისფერი ეკრანის ელვარება  
*გიორგი ცხადაია*  
**კულტურა**
- 48 სხვა რაღა დარჩა?..  
კომიქსი მხოლოდ
- 49 სახლი, სადაც დრო გაჩერდა  
**თვალსაზრისი**
- 50 **ტექნოლოგიები**  
**ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები**
- 52 ვაშლები და ვუშლები!

**გარეკანზე:**  
„ხალხი ირჩევს გართობას“



ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ლია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

## ევაქუაციის თუ არა საქართველოს მთავრობის ანტიფლასტინკური პოლიტიკა?

ამ ინფლაციაზე ქართულ წყაროებში კითხვამ იოტის ოდენადაც კი არ გამარკვია საქართველოს სიტუაციაში. რაც უფრო მეტს ვკითხულობ უფრო გაუგებარი ხდება ინფლაციის მიზეზები, რადგან რაც აქ მესმის, ის წინააღმდეგობაში მოდის იმასთან, რასაც ვისმენ ბლუმბერგის არხზე, ან ბიბისიზე. იქ ყველგან ამბობენ, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში (არგენტინით დაწყებული, ამერიკით, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებით თუ ევროპით დამთავრებული) ინფლაცია მსოფლიოში ფასების ზრდითაა პროვოცირებული. აქ კი ჩვენი ექსპერტები და ჟურნალისტები ამტკიცებენ რომ მსოფლიოში ფასების ზრდა არაფერ შუაშია.

სტუმარი

## მე დაბმინებ, პრაქილინებო!

### გიორგი კიკონიშვილის ბლოგი

ჰო, გიორგი, დავცინოთ, მაგრამ მაგისტვის დაცინვას აზრი არა აქვს, გამდის და ვტირო, ამბობს. ერთი მელა კიდევ, რომელიც ზის და კვდება სიცილით. ბევრი რამა დასაცინი ამ ქვეყანაში, მაგრამ მარტო ერთი კაცის სიცილი არ ეყოფა. როცა მთელი ქვეყანა დაიწყებს სიცილს, მერე შეიძლება თქვას, როგორც ერთი ზღაპრის პერსონაჟმა მეფემ – რადგან ხალხი იცინის, ეს უკვე ძალიან საშიშაო.

სტუმარი

კონსტიტუციაში კი წერია რომ სიტყვის თავისუფლება გვაქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაცინვა მისაღებია – ზოგადად, ადამიანური საზოგადოება ადამიანების დაცინვა რბილად რომ ვთქვათ, კარგი საქციელი არ არის. და თუ მიგაჩნია, რომ ვინმე დაცინის,

მას კი არ უნდა მიზამო, მასზე უკეთესი რომ ხარ, ის გამოაჩინო. თორემ ვიდგეთ ასე, ვიშვიროთ თითი ერთმანეთისკენ, ვიცინოთ და ვიმედოვნოთ, რომ სოფელი აშენდება.

სტუმარი

## რაზარკი მიზნის ბარკე



უნდა იყოს მოვალეობის მოხდის ალტერნატიული საშუალებები, მაგალითად, სამოქალაქო თავდაცვა და სამაშველო სამსახური. ასევე უნდა გაითვალისწინონ იმ ადამიანების მდგომარეობა, რომელთა მატერიალური მდგომარეობაც არსებითად იცვლება იქ გატარებული დღეების გამო, მაგალითად, ყოველდღიურ ანაზღაურებაზე მყოფი მუშების, რომელთაც არ გააჩნიათ ოფიციალური სამსახური.

ბექა

რა აზრი აქვს რეზერვს? თუ მართლა და შემოვა რუსეთი ჩვენს დასაპყრობად, მაგას ვერც რეზერვი უშველის და ვერც მეზერვი.

ზოზო

სისულელე, რეზერვიდან ისე ჩამოვიდა ხალხი, იარაღი ნანახიც არ ჰქონდათ... ტყუილად იხარჯება ამდენი ფული.

სტუმარი

## დეკარტის დროის

### ტელეკომუნიკაციების

პროფილზე და ნანუკას შოუზე ვეთანხმები... მაგრამ ფეხბურთზე არა და საქართველოში, ზოგადად, ვინც „ბარსელონას“ „გულშემმატკი-

რობს“, ფეხბურთს არ უყურებს (ჰა,ჰა შეიძლება ფინალს მხოლოდ „ჩემპიონთა ლიგის“)

ნიკა

## რა მოსწონს ქართველ მაცურებელს



„სათემო არხის“ – ამ კითხვის შემდეგ ყოველგვარი ნდობა დამეკარგა გამოკითხვისადმი. საზოგადოება დამნაშავე რომ ამ სიტყვის განმარტება დასჭირდა? სათემო არხი განმარტეთ რას ნიშნავს? ცალკეულ თემებს ექნებათ საკუთარი ტელევიზია? ამ კითხვიდან გამომდინარე მხოლოდ ეს დასკვნა შეიძლება გამოიტანო.

სტუმარი

როგორ შეიძლება სერიოზულად იმსჯელო ისეთ არასერიოზულ საკითხებზე, როგორც ქართული ტელევიზიები და ქართველი მაცურებლის „გემოვნება“ და მით უფრო – „გამოიკვლიო“ ?!

ესეც ასე

## „ჭამა და სექსი“

ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი „ლიბერალის“ და „ტაბულას“ „დაპირისპირება“ ფორმულა კრეატივის ფილმზეც თუ გადატყდებოდა :) ბრავო ნინია!

მანქი

მე ყველაზე მეტად Nodar Rocko Davituris პოსტი მომეწონა forum.ge-ზე – „ყველას გირჩევთ, გამოიძროთ პერო, ჩამოირეცხოთ ბოლმა, ნახვიდეთ ამ ფილმზე და მიიღოთ სიამოვნება.“

ლექსო მაჭავარიანი

რამდენიმე რამე: მთავარი რედაქტორი შორენა შავერდაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი სოფო ჭავჭავაძე / კავკასია და კონფლიქტები სოფო ბუკია / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ახალი ამბები ნანა საჯავაძე / ვებგვერდის რედაქტორი ნინო ჯაფარიძე / შტრიხები: მია ნიკოლაური, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანოზიშვილი, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიშაკაძე, ნინო რობაკიძე, ნათია გულიაშვილი / კონტრაქტები: მარე მალენი, გიორგი ცხადაია, მანანა ვარდიაშვილი, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თოლორაძე, ლექსო ჩქარუელი, დიანა ჩაჩუა, ნათია ახალაშვილი, ნინო ბექაშვილი, დანიელ ნინი, ნიკო ნერგაძე / რამდენიმე: ფოტო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგია / კორექტორი თამარ ლონდაძე / ბაიომედიკალიზაცია: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბიტიძე / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი ნათია რუსაძე / დისტრიბუტორი ზვიად მენგელია / ბაიომედიკალიზაცია: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge / სხვა ბაიომედიკალიზაცია: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია. ბეჭდვა: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, ნერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02. გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი. www.liberali.ge

# МЕНТЫ УБИВАЮТ МОЛОДЫХ

დავით ჩიხლაძეს ბლოგი

ჩემს ბავშვობაში არსებობდა ერთი საინტერესო თამაში, ქურდობანა და პოლიციელობანა (შენყვიტე სიცილი, მე ბნელ ოთხმოცდაათიანებში გავიზარდე). თამაში დაჭრობანას მარტივ პრინციპზე იყო აგებული და რეზობს ყურებით ინსპირირებულ მოზარდებს მონინალმდევე გუნდის წევრების წამებაში მაქსიმალურ თავისუფლებას აძლევდა. რა არ გადამიტანია ამ თამაშის გამო: უმოწყალოდ მიცემია საუკეთესო მეგობარი, ამიტანია იგივე მეგობრის ასევე უმოწყალოდ მოქმედი მუშტის სიმწარე, გადმოვხტარვარ გარაჟის სახურავიდან მაშინ, როცა სიმაღლის მეშინოდა და ა.შ. ასე ვერთობოდით ოთხმოცდაათიანების თაობის ბიჭები, ან ქურდებს ვირქმევდით ან პოლიციელებს და ერთმანეთს სასტიკად ვუსწორდებოდით, ამ ყველაფერს და ორიოდ ჩამტკერულ კბილს კი უბრალო თამაშს ვეძახდით.

რამდენიმე დღის წინ, როცა გადავლილი ვბრუნდებოდი სახლში, დავინახე, თუ როგორ ურტყამდა რამდენიმე 10-11 წლის ბავშვი ერთ თანატოლს. ბავშვებთან სწრაფად მივედი და მინაზე დაგდებული ბიჭი ფეხზე წამოვაყენე. ბავშვებს ვუთხარი, რომ ასე მოქცევა არ შეიძლება, რაზეც მიპასუხეს, რომ უბრალოდ, თამაშობდნენ. აღმოჩნდა, რომ სასტიკად ნაცემი ბავშვი ქურდია, დანარჩენები კი პოლიციელები. იგივე ფაქტს კიდევ რამდენჯერმე შევესწარი და მივხვდი, რომ თამაშის წესები შეიცვალა. ადრე შემთხვევითი შერჩევით ვიყოფოდით და ისე ვებრძოდით ერთმანეთს. ახლა ორთაბრძოლები აღარ ხდება, მხოლოდ პოლიციელებს აქვთ უფლება „ქურდები“ სცემონ.

თითქმის 10 წელია, რაც ეს თამაში აღარ მითამაშია, ახლა სხვა ბავშვები ერთობიან ჩემს ეზოში. ზოგჯერ ვუყურებ მათ და ვფიქრობ – რა შეიცვალა ჩემს შემდეგ? როცა მე ვიყავი 10 წლის, არ მქონდა ინტერნეტი, რა მინდოდა, არ მახსოვს, მაგრამ არც ქურდობა მინდოდა და არც პოლიციელობა, მაიჭლებდნენ წამეკითხად დოუმა, რომელსაც ახლა ვერ ვიტან და ისევე, როგორც ყველა ჩემს თანატოლს „ნიუბალანსები მეცვა“.

ახლა ბავშვებს აქვთ ინტერნეტი და ხელი მოუწვდებათ ნებისმიერი გასართობზე, ზოგს

სკინი ჯინსი აცვია და მაისურსაც მშვენიერი, ფერადი ნახატი უმშვენებს, მაგრამ მათ მაინც გადაჭრით უნდათ პოლიციელობა!!! ცუდი კი ისაა, რომ პოლიციელის ფორმაში ისინი ლეგიტიმურ ძალადობას ხედავენ და არა საზოგადოების სამსახურს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ რამდენჯერმე დაადასტურა, რომ ცდილობს პოლიციის მიმართ ლოიალური „თაობა გაზარდოს“. ეს დაადასტურა მაშინ, როცა პოლიციის პიძნში ასობით ბავშვს მოუყარა თავი; დაადასტურა მაშინ, როცა ეკა მანდატური მოსწავლის საუკეთესო მეგობარი გახდა; დაადასტურა მაშინ, როცა პოლიციის მანქანის სათამაშოები შექმნა; დაადასტურა მაშინ, როცა შექმნა თამაში „პოლიცია“; დაადასტურა მაშინ, როცა ნულოვანი ტოლერანტობის პროგრამის გატარება დაიწყო; დაადასტურა მაშინ, როცა არასრულწლოვნები დიდი ვადით გაუშვა ციხეში და ადასტურებს ახლაც, როცა საბავშვო პოლიციურ საიტის შექმნაზე გამოაცხადა კონკურსი.

საიტმა თურმე უნდა ასწავლოს ბავშვებს პატრულის გამოძახება, მოძრაობის წესები, მინისქვეშა გადასასვლებებით სარგებლობა და ა.შ. ბავშვებმა უნდა შეძლონ მეტი გაიგონ პოლიციაზე, ატვირთონ ნახატები და გაერთონ პოლიციის საიტზე. მგონი უკვე ყველას გადაგვაინყდა, რომ მოძრაობის წესებს, ხატვას და სხვა ასეთ რამებს ბავშვი სკოლაში უნდა სწავლობდეს და არა სპეციალურად მათთვის შექმნილ პოლიციურ საიტზე, რომლის დატვირთვაც, ჩემი აზრით, უბრალოდ, კეთილი პოლიციელის შესახებ მითის მოზარდებისთვის შეტენვაა და მეტი არაფერი.


თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 10 წლის ბავშვს გართობის მეტი არაფერი უნდა და საქართველოში მას არცთუ ისე დიდი პერსპექტივები აქვს ამ კუთხით, მაშინ პოლიციის გასართობი საიტი და იქ გამოტანილი კომიქსები მისთვის უდიდესი შვებაა. გართობა – ეს ერთადერთია, რაც შეუძლებელია ბავშვს არ უყვარდეს და თუ ეს გასართობი პოლიციაა, მაშინ გილოცავთ მეგობრებო, ჩვენი ბავშვები მომავალში პოლიციაზე იქნებიან შეყვარებულნი. ეს ის ბავშვები იქნებიან, რომლებიც ცოტა ხანში

სკოლას დაამთავრებენ და უნივერსიტეტებში გადანაწილდებიან, საიდანაც, რა თქმა უნდა, ასევე მალე წამოვლენ და იღბლიანი გამოინაკლისების გარდა დასაქმებას ვერაფრით ვერ მოახერხებენ. თუმცა მათ მაინც ეყვარებათ პოლიცია და ერთხელაც კი არ გაიფიქრებენ, რომ ღირს ცვლილებებისთვის ბრძოლა. აბა როგორ ანევენ ხელს იმ სისტემაზე, რომელმაც სიყვარული უბრძანა ?!

მაგრამ მაინც აქვს რამდენიმე სარგებელი პოლიციაზე შეყვარებულ ბავშვს. მაგალითად, მან შეიძლება მომავალში ენთუზიანობით ისე ცემოს მეძაგი, რომ საბოლოოდ ქვეყანაში პროსტიტუცია აღმოფხვრას, მას შეუძლია უყვარდეს სამშობლო ისე, რომ ზედმეტი კითხვები არ დასვას და, რაც მთავარია, როცა მას დაიჭერენ და სამუდამოდ გამოკეტავენ ციხეში, ერთხელაც არ დაინუნუნებს, რომ უსამართლოდ მოექცენ. წარმოიდგინეთ, რა მაგარი იქნება?! არავითარი წინააღმდეგობები და დისკუსიები... ყველა სტუდენტი თვითმმართველობის წევრია, ყველა მწერალი – მწერალთა კავშირის, ყველა მეცნიერი – მმართველი პარტიის და ყველა მართლმადიდებელი – მართლმადიდებელ მშობელთა (ან შვილთა თუ ბიძაშვილთა) კავშირის. წარმოიდგინეთ, რა მაგარი იქნება, როცა თქვენი შილი სკოლაში ცარცს შეჭამს და სხვისი ქონების განზრახ ხელყოფისთვის მას უმოწყალოდ სცემენ და თვითონ ბავშვი ამით კმაყოფილი იქნება. წარმოიდგინეთ, რა მაგარი იქნება, როცა ბავშვები აღარ მოუსმენენ ლენონს იმიტომ, რომ ის მეამბოხეა და წარმოიდგინეთ, რა მაგარი იქნება სექსი ბორკილებით, როცა ეს ბორკილები უკვე შენი სხეულის ნაწილად მიგაჩნია...

გესმით, როგორ ზრუნავენ ჩვენზე და ჩვენი ბავშვებზე?

მოკლედ, მინდა საჯაროდ გადავუხადო დიდი მადლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ასე ზრუნავს ჩვენზე. მაგრამ მე არ მინდა ასეთ ქვეყანაში ცხოვრება. არ მინდა ჩემს ირგვლივ მენტოზობებში ცხოვრობდნენ და არც ის მინდა, რომ საქართველოში ბავშვების ფსიქოლოგიური და მორალური გენოციდი მოხდეს.

P.S. მოუსმინეთ ამ სიმღერას და კარგად მაინც არაფერი არ იქნება. 



სამუშაოს მოლოდინში, ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია, თბილისი 2011

ფოტო: ლევან სერაფიშვილი

## NDI-ის ხვევა: დასაქმება - N1 ჰიობლება

ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა NDI-მ, საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები გამოაქვეყნა. კვლევა მთელი ქვეყნის მასშტაბით 4-დან 17 მარტამდე ჩატარდა.

კვლევის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ მათი სოციალური მდგომარეობა გაუარესდა.

მოსახლეობის პროორიტეტული საკითხების სამეული, რომლის მოგვარებასაც, პირველ რიგში, ისურვებდა, ასე გამოიყურება:

- ▶ დასაქმება – 61%
- ▶ ფასების ზრდა – 39 %
- ▶ ტერიტორიული მთლიანობა – 28 %

„ის შედეგები, რაც კვლევამ აჩვენა, ნათელს ხდის, რომ მოსახლეობას უფრო ნიუანსური დამოკიდებულება აქვს პრობლემების და კონკრეტული საკითხების მიმართ, ვიდრე ხელისუფლებას, ან თუნდაც ოპოზიციას. მოსახლეობის დიდ ნაწილს სურს კონკრეტული რეფორმები, თუმცა ნაკლებად ელიან მათ გატარებას რეალობაში“, – განაცხადა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ხელმძღვანელმა ლუის ნავარომ.

ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს

მოსახლეობის დამოკიდებულება დემოკრატიულობის ხარისხის მიმართაც. ამ მხრივ, მონაცემები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. თუ გასულ წელს მოსახლეობის 46 პროცენტი ფიქრობდა, რომ საქართველოში დემოკრატია არ არის, ახლა ეს ციფრი ორით შემცირდა.

კვლევაში ასახულია საზოგადოების ინტერესი მედიასაშუალებების მიმართაც. მოსახლეობის 89 პროცენტი ინფორმაციას პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ ტელევიზიიდან იღებს. ამ მიზნით მხოლოდ 4 პროცენტი სარგებლობს ინტერნეტით, 2-2 პროცენტი კი ახლობლებისგან, ან ჟურნალ გაზეთებიდან იღებს ინფორმაციას.

კვლევის შედეგების გამოცხადების შემდეგ პოლიტიკურმა პარტიებმა მათ რეიტინგზე გააკეთეს განცხადებები, „ნაციონალური მოძრაობის“ მტკიცებით, მათ მოსახლეობის 52 % უჭერს მხარს, „თავისუფალი დემოკრატების“ განცხადებით კი, მათი რეიტინგი 35%-ია. თუმცა, ამ შედეგებს არ ადასტურებს NDI. „ნებისმიერი განცხადება, რომელიც ჩვენი კვლევის ზემოაღნიშნული სახით წარმოდგენას ემყარება, არაზუსტია“, – აცხადებენ NDI-ში.

## ბათუმის ჰიაცა 11 მილიონ ლარად კომპანია „ჰიაცა ჰოლდინგმა“ შეიძინა. ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის, გიორგი კირთაძის თქმით, ახალაშენებული კომპლექსის გასხვისების შემდეგ ახალი მეპატრონეები ჰიაცაში სასტუმროს მოაწყობენ.

„პირობით აუქციონში გამარჯვების შემდეგ „ჰიაცა ჰოლდინგს“ წარმომადგენლები ვალდებულები არიან, თვითმმართველობის ორგანოს მიერ მონიშნული ღონისძიებების დროს სასტუმროს პირველი სართული დაგვიტოონ, ასევე სათანადოდ მოუზარონ კომპლექსი დამონტაჟებულ საათს“, – ამბობს კირთაძე.

## ბაღის ხაიონში ხუნი მესაზღვრე მოხდა

გალის რაიონში რუსი მესაზღვრის მკვლელობაზე ინფორმაციას სააგენტო „აპსნი პრესი“ ავრცელებს. სააგენტოს ცნობით, ის სოფელ ჭუბურხინჯთან ორმხრივი სროლისას დაიღუპა. გალის რაიონის ძალოვანი სტრუქტურების კოორდინატორის, ლავრენტი მექვაბაის ინფორმაციით, რუს მესაზღვრეს სოფლის სასაფლაოზე დამალულმა უცნობებმა ესროლეს. მესაზღვრეებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს, რის შედეგადაც ორი თავდამსხმელი დაიღუპა.

# ავიანათსახოფა ჯონბოში



კონგოს დედაქალაქში, კინშასაში ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ კუთვნილი თვითმფრინავის ავიაკატასტროფის შედეგად, რომელიც გაეროს მისიას ემსახურებოდა, ეკიპაჟის წევრი საქართველოს ოთხი მოქალაქე დაიღუპა. გაერომ განაცხადა, რომ ბორტზე მყოფი 33 ადამიანიდან მხოლოდ ერთი გადარჩა.

ავიაკატასტროფა, სავარაუდოდ, რთულმა მეტეოროლოგიურმა პირობებმა გამოიწვია. თვითმფრინავმა, რომლის ბორტზეც 29 მგზავრი და ეკიპაჟის ოთხი წევრი იმყოფებოდა, კატასტროფა ძლიერ წვიმაში ასაფრენ ბილიკზე დაშვების დროს განიცადა. „აირზენას“ ოფიციალური წარმომადგენლის, ნინო გიორგობიანის განცხადებით, თვითმფრინავმა ტექნიკური დათვალიერება 2010 წლის დეკემბერში გაიარა და დათვალიერების შედეგად ტექნიკური პრობლემები არ აღმოჩენილა. ეკიპაჟის დაღუპული წევრები არიან: სულიკო ცუცქერიძე, ალბერტ მანუკოვი, გურამ კეჟულაძე და ეკიპაჟის კაპიტანი ალექსი ოგანესიანი.

## ოპოზიციური "ჩინი" საეკონომიკოსო ანგარიშზე

„ჩინში შესული“ მოლაპარაკებების შემდეგ, ოპოზიციურმა „რვიანმა“ მმართველ პარტიასთან მოლაპარაკებები განაახლა. პირველი რიგის ამოცანად ოპოზიციური ალიანსი ამომრჩეველთა სიის საკითხს ასახელებს. მოლაპარაკებებს მიღმა, „რვიანი“ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებსაც ხვდება. „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერის, დავით გამყრელიძის თქმით, საარჩევნო გა-

მონვევები საერთაშორისო ორგანიზაციებისთვისაც მთავარი თემაა, რაც „რვიანის“ ჯეიმს აპატურაისთან შეხვედრამ დაადასტურა: „საარჩევნო გამოწვევა, პრაქტიკულად, ნიშნულია იმისა, თუ რამდენად არის მზად საქართველოს ხელისუფლება ამ ცვლილებებისთვის, რათა ხალხმა თავისუფალი არჩევნებით თავად გადაწყვიტოს ქვეყნის ბედი“, – განაცხადა გამყრელიძემ.

## საეკონომიკოსო - ისრაელისთვის საშიში ქვეყანა

ისრაელმა საქართველო საშიში ქვეყნების სიაში ისევ შეიყვანა. ისრაელის მედია იუწყება, რომ ისრაელის ტერორიზმთან ბრძოლის შტაბმა საქართველო და სომხეთი იმ ქვეყნების ჩამონათვალში დასახელა, სადაც შესაძლოა, ებრაელები მოიტაცონ ან მათ წინააღმდეგ ტერაქტები განახორციელონ. ისრაელში მიაჩნიათ, რომ საფრთხეს ირანთან საქართველოს და სომხეთის მჭიდრო კავშირი განაპირობებს. საქართველო

და სომხეთი საშიში ქვეყნების ჩამონათვალში ისრაელმა 2011 წლის 11 თებერვალს ერთხელ უკვე შეიტანა. იმ დროს ეს ნაბიჯი „ჰეზბოლას“ ერთ-ერთი ლიდერის, იმად მუნგიეს ლიკვიდაციის სამი წლისთავთან იყო დაკავშირებული. ჩამონათვალიდან საქართველო 24 თებერვალს ამოიღეს.



### ჩისხვატი

**104** მილიონ დოლარად შეიძინა „ინტერ რაო ეეს“-მა „ხრამჭესი ერთი“ და „ხრამჭესი ორი“.

**350** მილიონით იზრდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი.

**11** მოსწავლე დაიღუპა რიო დეჟანეროში სკოლაში თავდასხმის შედეგად.

**20** მილიონ ლარს მიიღებს საზოგადოებრივი მაუწყებელი რუსულენოვანი არხისთვის.

## სიტყვები



**„თუ ნაციონალებს მოსახლეობის 52 % ენდობა, რატომ ეშინიათ სამართლიანი არჩევნების?“**  
„ეროვნული ფორუმის“ ლიდერი კახა შარტავა NDI-ის მიერ ჩატარებულ კვლევაზე კომენტარებისას

**„ამგვარი კრიმინალური შემთხვევები ისეთ მტკიცე ურთიერთობებსა და კავშირს, როგორც არსებობდა და არსებობს საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოებს შორის, ჩრდილს ვერ მიაყენებს და ვერ დაასუსტებს.“**

პრეზიდენტის პრეს-სპიკერი მანანა მანჯგალაძე ისრაელელი ბიზნესმენების გასამართლების შესახებ

**„ნატო-საქართველოს ურთიერთობა სწორი მიმართულებით მიდის.“**  
„ნატოს“ გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაი საქართველო-„ნატოს“ ურთიერთობებზე


## კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის საქართველოს მედიის სიღრმისეული კვლევის მიხედვით:

საინფორმაციო გამოშვება ქვეყანაში ყველაზე პოპულარული ტელეგადაცემაა და ქართველთა 84 პროცენტი ყოველდღე უყურებს ახალ ამბებს. აქედან გამომდინარე, ქართველებს უზარმაზარი მოთხოვნილება აქვთ ახალ ამბებზე; ხოლო ის ფაქტი, რომ რესპონდენტთა მალალი პროცენტის აზრით, პოპულარული არხები, როგორცაა „რუსთავი-2“, მთავრობის ინტერესებს ატარებს, მიუთითებს იმაზე, რომ ქართველები კრიტიკული მაცურებლებიც არიან.

ქართველთა უმრავლესობისათვის კარგადაა ცნობილი მედიის სექტორში არსებული პრობლემები. ნათელია ისიც, რომ საზოგადოებაში არსებობს უფრო პროფესიული, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი მედიასივრცის არსებობის სურვილი. ბევრმა რესპონდენტმა კარგად იცის, რა თემების ხილვა სურს ტელეეთერით. ისინი, ძირითადად, უპირატესობას სოციალურ საკითხებს, ადამიანის უფლებებსა და სიტყვის თავისუფლებას ანიჭებენ.

რესპონდენტებმა გამოხატეს დიდი ინტერესი საგამოძიებო ჟურნალისტიკის მიმართაც. მათი 75 პროცენტი მიიჩნევს, რომ ჟურნალისტიკებმა უნდა აწარმოონ გამოძიებები ჯანდაცვის, სასამართლოს, არჩევნების, სიტყვის თავისუფლების დაცვისა და სხვა საკითხების შესახებ. გამოკითხულთა 64 პროცენტის აზრით კი, ჟურნალისტიკური გამოძიებების საკვლევი თემა პოლიტიკოსებსა და ეკლესიას შორის ურთიერთობაც უნდა გახდეს.

რესპონდენტებს, აგრეთვე, სურთ, ტელეეთერით იხილონ მაღალხარისხიანი პროფესიონალურად შესრულებული მასალა პოლიტიკური საკითხების შესახებაც.

რადგან მედიაპროფესიონალებისა და საზოგადოების წამომადგენელთა აბსოლუტური უმრავლესობა ჟურნალისტიკური გამოძიებისადმი ინტერესს იჩენს, ეს ნებისმიერი არხისათვის წარმოადგენს იდეალურ შესაძლებლობას, მაღალხარისხიანი გადაცემები შექმნას, რომელთაც სწორედ ჟურნალისტიკური გამოძიებები დაედება საფუძვლად. ასეთი გადაცემები არა მარტო მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება მედიასივრცისათვის, არამედ, სავარაუდოდ – ძალზე პოპულარულიც, რადგან გამოკითხულთა 75 -ზე მეტმა პროცენტმა გამოხატა ინტერესი მსგავსი გადაცემების მიმართ. 



## ჩა სუხს ტეცა

**■ საინფორმაციო გამოშვება ქვეყანაში ყველაზე პოპულარული ტელეგადაცემაა და ქართველთა 84 პროცენტი ყოველდღე უყურებს ახალ ამბებს. აქედან გამომდინარე, ქართველებს უზარმაზარი მოთხოვნილება აქვთ ახალ ამბებზე.**





# მაყუჩებულს?

**■ მუსიკალური, გასართობი, იუმორისტული და სპორტული გადაცემები – ეს ისაა, რის ხილვაც ქართველ მაყურებელს სურს. მაყურებლის აზრით, ტელეეთერი საინფორმაციო გადაცემებით გაჯერებულია, ამიტომ მოთხოვნა ახალ ამბებზე არ არის.**

## BCG Research-ის მაუნყებლობის თაობაზე საზოგადოებრივი აზრის კვლევის ანგარიშის მიხედვით:

მუსიკალური, გასართობი, იუმორისტული და სპორტული გადაცემები და თემატურად მრავალფეროვანი სატელევიზიო ბადე – ეს ისაა, რის ხილვაც ქართველ მაყურებელს სურს. 2008-10 წლებში BCG Research-ის მიერ მომზადებულ კვლევაში, რომელიც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ დაუკვეთა, გამოვლინდა, რომ მაყურებლის აზრით, ტელეეთერი საინფორმაციო გადაცემებით ისედაც გაჯერებულია, ამიტომ დამატებითი მოთხოვნა ახალ ამბებზე არ ვლინდება.

არსებულ გადაცემათა შორის კი მაყურებლები უპირატესობას მუსიკალურ გადაცემებს ანიჭებენ. შემდეგ სიაში გასართობი ტოკ-შოუები, სატელევიზიო სერიალები, მხატვრული ფილმები და საბავშვო გადაცემები მოდის. საინფორმაციო გადაცემები პრიორიტეტების ჩამონათვალში მერვე ადგილზეა. შემეცნებითი და ანალიტიკური გადაცემები კი მეცხრე და მეათე ადგილებს ინაწილებენ.

როგორც კვლევით ირკვევა, ყველაზე მაღალი მოთხოვნა საზოგადოებაში ქართველ ერზე, ტრადიციებსა და მენტალიტეტზე, ასევე დასაქმებისა და მის მომიჯნავე თემატიკაზე შექმნილ გადაცემებზეა.

რადიოგადაცემებს შორის, რესპონდენტები უპირატესობას მუსიკალურ გადაცემებს ანიჭებენ. ამ შემთხვევაშიც მიზეზად ეთერის საინფორმაციო გადაცემებით გაჯერებას ასახელებენ. მუსიკალურ გადაცემათა შორის, გამოკითხულთათვის მნიშვნელოვანია ქალაქური, პოპ და კლასიკური მუსიკა. უპირატესობა ენიჭება ასევე, თანამედროვე უცხოურ ესტრადას. მუსიკალური ჟანრებიდან მსმენელი საკმაოდ მაღალი აქტივობით ირჩევს ქართულ ფოლკლორსაც, განსაკუთრებით კი მათ „გარემიქსებულ“ თანამედროვე ვერსიებს.

რაოდენობრივი კვლევის შედეგები რესპონდენტთა სუბიექტურ დამოკიდებულებას ეყრდნობა და, შესაბამისად, გამოვლენილი პრიორიტეტებიც სუბიექტური ხასიათისაა. სატელევიზიო აუდიტორიის კვლევის პროექტის საშუალებით მიღებული მონაცემები კი „ფიფლმეტრებს“ ეყრდნობა.

კვლევის დასრულების შემდეგ, რაოდენობრივი კვლევის მონაცემებისა და „ფიფლმეტრების“ საშუალებით სატელევიზიო აუდიტორიის კვლევის შედეგების შედარების შედეგად, აღმოჩნდა, რომ რესპონდენტების მიერ დაფიქსირებული პოზიციები ერთმნიშვნელოვნად იდენტურია. **■**

ახლო აღმოსავლეთი

# ბაჟიანუხეზუდი ბანთიანი

აშშ-ის სამხედრო ძალების ლიბიიდან გასვლამ ამ ქვეყნის მომავალი კიდევ უფრო ბუნდოვანი გახადა.

## ვასო კუჭუხიძე

2011 წლის აპრილის დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მდივნის განცხადებით, ლიბია ამერიკის უსაფრთხოებისთვის არ წარმოადგენს სასიცოცხლო მნიშვნელობის ქვეყანას. გეითსის ეს განცხადება ვაშინგტონის მიერ საერთაშორისო საზოგადოების შესამზადებლად გადადგმული ნაბიჯი იყო. განცხადებიდან რამდენიმე დღეში ცნობილი გახდა, რომ აშშ ოპერაციაში მონაწილეობას აღარ მიიღებს. აშშ-ის სამხედრო ავიაცია და ფლოტმა ლიბიის ტერიტორია უკვე დატოვა.


ამერიკის ნაბიჯი მოულოდნელი აღმოჩნდა ყველასთვის, განსაკუთრებით მისი ევროპელი მოკავშირეებისთვის. ამერიკული 90 თვითმფრინავის გაყვანამ, რომელიც კოალიციური ძალების 1/3-ს წარმოადგენდა, ევროპელები ძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. „ნატო“ იმდენად მოუზადებელი აღმოჩნდა თეთრი სახლის ამ სვლისთვის, რომ ვაშინგტონს გადაწყვეტილების 48 საათით გადაადგება სთხოვა, რათა ძალების გადაჯგუფება მოესწრო და ამერიკელების ოპერაციიდან გასვლას ალიანსის მიერ დაგეგმილი ქმედებები და მისი მასშტაბები არ შეეცვალა. ევროპელთაგან განსხვავებით, თეთრი სახლის ამ გადაწყვეტილებას, დიდი სიხარულით შეხვდა ლიბიის მმართველი რეჟიმი. როგორც ცნობილი ხდება, გადაწყვეტილების განმოვანებებიდან რამდენიმე საათში მოამარ კადაფიმ ბარაკ ობამას მადლობის წერილიც კი მისწერა.

ანალიტიკოსთა დიდი ნაწილი ლიბიის კამპანიას წარმატებას იმ შემთხვევაში უწინასწარმეტყველებდა, თუკი კადაფის დამხობა დროის მცირე მონაკვეთში მოხდებოდა. თუმცა, თანდათან ცხადი გახდა,

რომ ოპერაცია იმაზე გაცილებით დიდხანს გასტანდა, ვიდრე ამას ევროპელები ვარაუდობდნენ. მართალია, ალიანსის ავიაცია წარმატებით ასრულებს დაკისრებულ მისიას, მაგრამ როგორც ერთ-ერთმა ამერიკელმა ანალიტიკოსმა სარკასტულად აღნიშნა: „დიქტატორული რეჟიმების დამხობა 5000 მეტრის სიმაღლიდან არ ხდება“. ლიბიაში სახმელეთო ძალების შეყვანა კი არც ევროპულ ქვეყნებსა და არც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს არ სურს.

ლიბიაში სახმელეთო ოპერაციებს აქამდე მხოლოდ შიდა ოპოზიციური შენაერთები აწარმოებენ, სამხედრო გამოცდილება კი მათ მცირე ნაწილს აქვს. შესაბამისად, კადაფის რეგულარულ არმიასა და დაქირავებულ მეზღოვლებთან გამკლავება ოპოზიციურ ფორმირებებს საჭირო დახმარების პირობებშიც კი ძალიან უჭირთ. წარუმატებლობის ძირითად მიზეზად ამ ძალების გამოუცდებლობა, იარაღის ნაკლებობა და ლოჯისტიკის სრული უგულებლყოფა სახელდება.

ევროპელ ლიდერთა გარკვეულ ნაწილს ამ ვითარებაში საუკეთესო გამოსავლად ოპოზიციური ძალების კარგად შეიარაღება და მათთვის მოკლევადიანი წვრთნების ჩატარება მიაჩნიათ. ამ იდეას განსაკუთრებით საფრანგეთი ლობირებს, თუმცა დიდ წინააღმდეგობას აწყდება თავად მოკავშირეებშიც. პირველ რიგში, ეს განპირობებულია იმით, რომ გაეროს რეზოლუცია N1973, რომლის საფუძველზეც საერთაშორისო ძალები კონფლიქტში ჩაერთვნენ, არ ითვალისწინებს ლიბიელი მემბოხებისთვის იარაღის მიწოდებას. გარდა ამისა, უმაღლეს ემელონებშიც კი ზუსტად არ იცინან, თუ რა ძალები იბრძვიან კადაფის მოწინააღმდეგეთა რიგებში. აშშ-ის სენა-



■ უმაღლეს ემელონებშიც კი ზუსტად არ იცინან, თუ რა ძალები იბრძვიან კადაფის მოწინააღმდეგეთა რიგებში. აშშ-ის სენატის სამხედრო კომიტეტთან შეხვედრის დროს, „ნატოს“ უმაღლესმა პასუხისმგებელმა პირმა ევროპაში დასამულ შეკითხვას, თუ ვინ იბრძვის ლიბიაში არსებული რეჟიმის წინააღმდეგ, ასე უპასუხა: „ნდობის ღირსი კაცები და ქალები“.



დემონსტრანტები მხარს უჭერენ კოალიციური ჯარების საჰაერო დარტყმებს კადაფის სამხედრო ძალებზე ბენგაზი, 23 მარტი 2011

ფოტო: ზინაბა მორილი / REUTERS

ტის სამხედრო კომიტეტთან შეხვედრის დროს, „ნატოს“ უმაღლესმა პასუხისმგებელმა პირმა ევროპაში – ადმირალმა ჯეიმს სტევერდისმა დასმულ შეკითხვას, თუ ვინ იბრძვის ლიბიაში არსებული რეჟიმის წინააღმდეგ, ასე უპასუხა: „ნდობის ღირსი კაცები და ქალები“.

მოსადის მიერ გავრცელებული ინფორმაციით კი ოპოციზიურ შენაერთებში უკვე შეინიშნებიან ალ ქაიდასა და ჰეზბოლას მებრძოლები, რომელთა რაოდენობა თანდათან იზრდება. ალყირული გაზეთ L'Expression-ის განცხადებით, ლიბიელი მეამბოხეებისთვის არაოფიციალურად მიწოდებული თანამედროვე იარაღის ნაწილი უკვე აღმოჩნდა ალყირული და ეგვიპტური რელიგიური ექსტრემისტული დაჯგუფებების ხელში. არ არის გამორიცხული ევროპელთა მიერ მეამბოხეებისთვის იარაღის მიწოდების შემთხვევაში, იარაღის გარკვეული რაოდენობა სერიოზული ტერორისტული ორგანიზაციების ხელში აღმოჩნდეს და მოგვიანებით ევროპელთა წინააღმდეგ იქნას გამოყენებული.

საზოგადოებრივი აზრიც ოპოზიციის შეიარაღების წინააღმდეგია. ბოლო დღეები აშშ-სა და ევროპაში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, 66 პროცენტი ამას გაუმართლებლად მიიჩნევს და მხოლოდ 25 პროცენტი უჭერს მხარს.

თუმცა 5 აპრილს მეამბოხეთა შეიარაღებული ძალების მეთაურმა, გენერალმა აბდულ იუნისმა განაცხადა, რომ ამბოხებულებმა უკვე მიიღეს იარაღის პირველი პარტია კოალიციური ძალებისაგან, მაგრამ ეს არ არის საკმარისი მიზნის წარმატებით დასრულებისთვის და აუცილებელია იარაღის ახალი პარტია.

კოალიციას ასევე საკმაოდ ბუნდოვანი დამოკიდებულება აქვს ლიბიის მომავლის მიმართ. მთავარ მიზნად კადაფის რეჟიმის დამხობა სახელდება, მაგრამ რა იქნება შემდეგ, ამაზე ერთიანი პოზიცია ჯერ არ არსებობს. ეს თითქოს 29 მარტს ლონდონში, ლიბიის საკითხზე მიმდინარე კონფერენციაზე უნდა გადაწყვეტილიყო, რომელსაც ლიბიის გარდამავალი ეროვნული საბჭოს ლიდერებიც ესწრებოდნენ, თუმცა დისკუსიები არა ქვეყნის მომავალს, არამედ ოპოზიციის შეიარაღების თემას დაეთმო. **■**



ამბოხება კადაფის წინააღმდეგ გრძელდება

ახლო აღმოსავლეთი

# ისრაელის იძულებითი სიბეჭდი

არაბულ სამყაროში მიმდინარე რყევები ისრაელი-პალესტინის კონფლიქტის განახლების საფრთხეს ქმნის.

ვასო კუჭუხიძე



ფოტო: როზან ზაზულენი / REUTERS

11 მარტს იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ებრაულ დასახლება იტამარში პალესტინელმა ტერორისტებმა დაწვინეს დახოცეს ადგილობრივი ებრაული ოჯახის 5 წევრი. ამას მოჰყვა 23 მარტს იერუსალიმში ავტობუსის აფეთქება. მარტის თვის განმავლობაში პალესტინურმა დაჯგუფებებმა დაახლოებით 60 ქასამის ტიპის რაკეტა ჩამოაგდეს ისრაელის ტერიტორიაზე.

ისრაელის ხელისუფლებამ სამხედრო

მოზილიზაცია გამოაცხადა, მაგრამ სერიოზული საპასუხო ზომების მიღებას არ ჩქარობს.

პალესტინელების პროვოკაციული ქმედებებისა და ისრაელის უჩვეულო თავშეკავების უკან ახლო აღმოსავლეთში მძვინვარე მასობრივი დესტაბილიზაცია დგას.

1973 წლის ომის შემდეგ ისრაელმა არაბული კოალიციის დაშლა მოახერხა, რასაც 1978 წელს ეგვიპტესთან მიღწეუ-

ლი სამშვიდობო შეთანხმება მოჰყვა. მას შემდეგ ისრაელის საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანია, რომ არაბულმა ქვეყნებმა ისრაელის წინააღმდეგ გაერთიანება ვერ შეძლონ. სწორედ ამას ემყარება ისრაელის უსაფრთხოება და კეთილდღეობა. დღეს არაბულ სამყაროში მიმდინარე უმართავი მოვლენების პირობებში ისრაელისთვის უკიდურესად საბიფათო იქნება პალესტინასთან ახალი სამხედრო კამპანიის დაწყება.

2008-09 წლებში, როდესაც ისრაელმა უკანასკნელი ფართომასშტაბიანი სამხედრო კამპანია ანარმოა პალესტინის წინააღმდეგ, ებრაულმა დიპლომატიამ შეძლო არაბული ქვეყნების შესაძლო გაერთიანების საბოტაჟი. ებრაელთა ქმედებას მწვავედ აკრიტიკებდნენ ყველა არაბულ ქვეყანაში, მაგრამ კონფლიქტში არც ერთი მათგანი ჩართულა. დღეს კი ისლამისტ რადიკალებს შეუძლიათ მძლავრი საპროტესტო ტალღა, ნაწილობრივ მაინც, ისრაელის საწინააღმდეგოდ მიმართონ. ამიტომაც ისრაელის მთავრობა მაქსიმალურად ცდილობს, თავი აარიდოს პალესტინურ დაჯგუფებებზე საპასუხო იერიშს. ისრაელი ცდილობს, უჩინარი იყოს – იმდენად, რომ სუეცის არხში ირანის სამხედრო ფლოტის ნაწილის გამოჩენაც კი აიტანა და მხოლოდ ეგვიპტის მიმართ გაგზავნილი დიპლომატიური პროტესტით შემოიფარგლა.

პალესტინური ტერორისტული დაჯგუფებებიც კარგად ხედავენ ახალ მუხტს არაბულ სამყაროში და მის სათავესოდ გამოყენებას ცდილობენ. სწორედ ამით აიხსნება მათი ბოლოდროინდელი გააქტიურება. პალესტინელთა გათვლით, ებრაელთა წყობიდან გამოყვანა ისრაელის მხრიდან საპასუხო ზომებს გამოიწვევს, რასაც ხშირად ებრაელთა მხრიდან ძალის გადახმება და მშვიდობიან პალესტინელთა დაღუპვაც მოჰყვება ხოლმე. ამან კი ჰამასის მთავარი სამიზნის – ეგვიპტის აღშფოთება უნდა გამოიწვიოს. ეგვიპტეში რევოლუციის შემდეგ ხელისუფლებაში სამხედროები მოვიდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისლამისტური განწყობა იქ საკმაოდ დიდია. პალესტინელები ამ განწყობის გამოყენებას შეეცდებიან.

თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, თუ რამდენად აწყობს ეგვიპტეს მის აღმოსავლეთ საზღვართან შეიარაღებული კონფლიქტის არსებობა, მაშინ, როცა დასავლეთ საზღვართან – ლიბიაში სამოქალაქო ომი უკვე რამდენიმე კვირაა მძვინვარებს. ამიტომაც ეგვიპტე თავად ეცდება თავგასული პალესტინელების დაშოშმინებას. ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნაბილ ელარაბიმ ინტერვიუში განაცხადა, რომ ისრაელთან სამშვიდობო

ხელშეკრულება ხელშეუხებელი რჩება და მას საფრთხე არ ემუქრება.

ანალიტიკოსები ასევე ხაზს უსვამენ პალესტინური დაჯგუფებების სურვილს, მიიქციონ დამასკოს ყურადღება. სირიაში მარტის შუა რიცხვებიდან სერიოზული საპროტესტო ტალღა აგორდა, რომელთან გამკლავებაც მმართველ კლანს უკვე უჭირს. ამიტომაც არ არის გამორიცხული რეჟიმმა თვითგადარჩენის მიზნით ყურადღების გადატანა ისრაელთან შეიარაღებულ კონფლიქტში ჩართვით სცადოს. ამ

ირანისგან იღებენ. ამიტომაც პალესტინელები რეგიონში ირანის გააქტიურებას განსაკუთრებული იმედით შესცქერიან. თუმცა ისრაელის დიპლომატიური სამსახური გულხელდაკრეფილი არ ელოდება მოვლენების განვითარებას და ირანის დაბალანსებას საუდის არაბეთის საშუალებით ცდილობს, ამ ორ ქვეყანას შორის კი საუდის არაბეთის მიერ ბაჰრეინში ჯარის შეყვანის შემდეგ განსაკუთრებით დაძაბულია ვითარება.

მნიშვნელოვანია, რომ პალესტინის



ისრაელის სასაზღვრო პოლიცია იერიშს პალესტინელთა იერიშს, იერუსალიმი 26 მარტი 2011

**■ ისლამისტ რადიკალებს შეუძლიათ მძლავრი საპროტესტო ტალღა, ნაწილობრივ მაინც, ისრაელის საწინააღმდეგოდ მიმართონ. ამიტომაც ისრაელის მთავრობა მაქსიმალურად ცდილობს, თავი აარიდოს პალესტინურ დაჯგუფებებზე საპასუხო იერიშს.**

ვარაუდის საშუალებას ისრაელსა და სირიას შორის არსებული მტრობაც იძლევა.

გასათვალისწინებელია ირანის ფაქტორიც. სწორედ თეირანი გამოირჩევა ყველაზე ანტიებრაული განწყობით, ამას ისიც ერთვის, რომ არაბულ სამყაროში მიმდინარე საპროტესტო გამოსვლებს ირანი კარგად იყენებს რეგიონში გავლენის გაზრდისთვის. საიდუმლო აღარ არის, რომ პალესტინური ტერორისტული დაჯგუფებები შეიარაღებასა და ფინანსებს

მხრიდან ბოლოდროინდელ თავდასხმებზე პასუხისმგებლობა აიღო არა ჰამასმა, არამედ პალესტინურმა ისლამურმა ჯიჰადმა. თუმცა, ცნობილია, რომ ჰამასის ნებართვის გარეშე არც ერთ პალესტინურ დაჯგუფებას არ აქვს დამოუკიდებლად მოქმედების უფლება და საშუალება. ეს მხოლოდ იმას შეიძლება ნიშნავდეს, რომ ამ ეტაპზე ჰამასს, უბრალოდ, არ სურს გამოჩენა და ბინძურ საქმეს სხვისი ხელით აკეთებს. ■

აშშ

# ობამა - 2012

2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე 20 თვით ადრე აშშ-ის მოქმედი პრეზიდენტი წინასაარჩევნო რბოლას იწყებს.

## ლიანა ჩაჩუა

4 აპრილს, დილით, აშშ-ის მოქალაქეებმა ელექტრონული ფოსტით პრეზიდენტისგან წერილი მიიღეს:

„პოლიტიკა, რომლისაც ჩვენ გვწამს, ძვირადღირებული სატელევიზიო რეკლამებით არ იწყება – ის თქვენით იწყება. მიუხედავად იმისა, რომ ახლა იმ საქმის კეთებით ვარ დაკავებული, რომლისთვისაც 2008 წელს ამირჩიეთ და საარჩევნო რბოლა სრული დატვირთვით მხოლოდ ერთი წლის შემდეგ დაიწყება, ჩვენი კამპანიისთვის საფუძვლის ჩაყრა დღეიდან უნდა დაიწყეთ. ჩვენ ყოველთვის ვიცოდით, რომ გრძელვადიანი ცვლილებები იოლად არ მიიღწევა. მაშინ, როდესაც ჩემი ადმინისტრაცია და მოქალაქეები მიღწეული პროგრესის გაუმჯობესებაზე მუშაობენ, ჩვენ პარალელურად 2012 წლისთვის მზადება უნდა დაიწყეთ.“ ამ წერილით პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მოქალაქეებს 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ვადით კენჭისყრის შესახებ აცნობა და წინასაარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყო.

ინტერნეტი, სოციალური ქსელები და სოციალური მედია ობამას 2012 წლის კამპანიის მარკეტინგული სტრატეგიის მთავარი კომპონენტი იქნება.

ბარაკ ობამას ადმინისტრაციის საიტი წინასაარჩევნო კამპანიის ვებგვერდად იქცა, სადაც ობამა მოსახლეობას კამპანიისთვის თანხის გაღებას, ასევე, წინასაარჩევნო აგიტაციაში საკუთარი ნათესავების, მეგობრებისა და მეზობლების ჩართვას სთავაზობს.

4 აპრილს მოქალაქეებს წერილის გარდა სპეციალური 2 წუთიანი ვიდეო დახვდათ. თავად პრეზიდენტობის კანდიდატი ვიდეოში არ საუბრობს. წინასაარჩევნო რგოლში ხუთი გმირია: თეთრკა-

ნიანი ედი ჩრდილოეთ კაროლინადან, ლათინოამერიკელი გლეხისი ნევადადან, თეთრკანიანი კატერინა კოლორადოდან, თეთრკანიანი სტუდენტი მაიკი ნიუ-იორკიდან, რომელიც პირველად მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში და აფრო-ამერიკელი ალისი მიჩიგანიდან. გეოგრაფიული და დემოგრაფიული კუთხით ეს ადამიანები ობამას კამპანიის სამიზნე ჯგუფებად აღიქმებიან.

Pew Research Center-ის მიერ მარტში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ

**■ ბარაკ ობამას პირველი მასშტაბური მხარდაჭერის აქცია არა რომელიმე დარბაზში ან ლია ცის ქვეშ, არამედ „ფეისბუკზე“ გაიმართება.**

რეგისტრირებული ამომრჩევლების 47 პროცენტი ობამას მეორე ვადით არჩევის მომხრეა, მაშინ როცა 37 პროცენტი მათთვის ჯერ უცნობი რესპუბლიკელი კანდიდატისკენ იხრება.

წინასაარჩევნო რგოლი იმ ამომრჩევლებზეც არის გათვლილი, რომლებიც ობამას პოლიტიკას სრულად არ იზიარებენ.

„ობამას ყველაფერში არ ვეთანხმები, მაგრამ მას პატივს ვცემ და ვენდობი,“ – საუბრობს ვიდეო რგოლში 50 წელს გადაცილებული ედი ჩრდილოეთ კარო-

ლინადან. ამ შტატს ნევადასთან და კოლორადოსთან ერთად მერყევ შტატებს უწოდებენ, რადგან იქ მკვეთრად გამოხატული დემოკრატების და რესპუბლიკელების ელექტორატი არ არსებობს. ყველაზე მწვავე წინასაარჩევნო ბრძოლას სწორედ აქ ელიან.

2008 წლისგან განსხვავებით, ბარაკ ობამას პირველი მასშტაბური მხარდაჭერის აქცია არა რომელიმე დარბაზში ან ლია ცის ქვეშ, არამედ „ფეისბუკზე“ გაიმართება. 20 აპრილს კალიფორნიაში ვიზიტისას, ობამა პალო ალტოში განთავსებულ „ფეისბუკის“ ოფისს ეწვევა და მარკ ცუკერბერგთან ერთად მოქალაქეებს ონლაინ რეჟიმში მიმართავს. ამ ღონისძიების სამიზნე ახალგაზრდა ამომრჩევლები იქნებიან, რომელთაც 2008 წლის არჩევნებში ობამას გამარჯვებაში დიდი წვლილი მიუძღვით.

წინასწარი პროგნოზებით, აშშ-ის 44-ე პრეზიდენტის 2012 წლის საარჩევნო კამპანია ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული იქნება. თანხების მოძიების კამპანიის ფარგლებში, რომელიც 14 აპრილს პრეზიდენტის მშობლიურ ქალაქში ჩიკაგოში დაიწყება, დემოკრატებს 1 მილიარდი დოლარის შეგროვების იმედი აქვთ.

2012 წლის 6 ნოემბრამდე ობამას მთავარი მიზანი მის მიერ 2008 წლის შემდეგ გატარებული პოლიტიკის დასაბუთება იქნება. ეს, პირველ რიგში, ჯანდაცვის რეფორმას, ეკონომიკის გადატვირთვის მცდელობას, უმუშევრობას, ავღანეთს და ლიბიაში ინტერვენციას შეეხება.

წინასწარი პროგნოზებით, ოპიოში, ფლორიდასა და ჩრდილოეთ კაროლინაში წაგების შემთხვევაშიც კი ობამას გამარჯვების მაღალი შანსები რჩება. ვირჯინიასა და ინდიანაში მოქმედი პრე-



ბარაკ ობამა

ზიდენტის შანსები ძალიან დაბალია, თუმცა ობამას მაღალი მაჩვენებლები აქვს კოლორადოში, ფლორიდაში, პენსილვანიაში, ოჰაიოში, ნევადასა და ჩრდილოეთ კაროლინაში.

Pew Research Center-ის კვლევის თანახმად, ობამას გამარჯვების შანსი საკმაოდ მაღალია. მისი პოპულარობა ჯორჯ ბუშის რეიტინგს უტოლდება, როდესაც ეს უკანასკნელი მეორე ვადით იყრიდა კენჭს. ობამას რეიტინგი კიდევ უფრო სოლიდურად გამოიყურება ბილ კლინტონთან შედარებით. ობამას ამ ორივე წინამორბედმა თავის დროზე მეორე ვადით გამარჯვება შესძლო.

ობამას სასარგებლოდ მეტყველებს სტატისტიკაც: მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მხოლოდ სამმა პრეზიდენტმა ვერ შეძლო მეორე ვადით გამარჯვება:

1980 წელს დემოკრატმა ჯიმი კარტერმა, 1974 წელს რესპუბლიკელმა ჯერალდ ფორდმა და 1992 წელს კიდევ ერთმა რესპუბლიკელმა ჯორჯ ბუშ უფროსმა.

რესპუბლიკელები წინასაარჩევნო რბოლაში წელი ტემპებით ერთვებიან. ერთადერთი პოლიტიკოსი, რომელმაც ფორმალურად საკუთარი კანდიდატურა დააყენა, მინესოტას ყოფილი გუბერნატორი ტიმ პოლენცია. სავარაუდოდ, ობამას კონკურენციას ასევე მასაჩუსეტსის შტატის ყოფილი გუბერნატორი მიტ რომნი, აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის ექს-სპიკერი ნიუტ გინგრიჩი და მისისიპის გუბერნატორი ჰეილი ბარბორი გაუნევენ.

„მოქალაქეები შემოთებულები არიან მომავალთან დაკავშირებით და არ სჯე-

რათ, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ იცვლება. გამარჯვებს ადამიანი, რომელიც რეიგანისეულ ოპტიმიზმს და თავდაჯერებულობას გამოიჩენს,“ – ამბობს რესპუბლიკელი სტივ დუპრეი, რომელიც 2008 წელს ჯონ მაკკეინის კამპანიის სტრატეგიაზე მუშაობდა.

„ეს ჩემი ბოლო კამპანია იქნება, ყოველ შემთხვევაში – კანდიდატის რანგში. ყველაფერი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოგვივა, თუ ერთად ვიმუშავებთ. დღეს ჩვენ, უბრალოდ, გთხოვთ მხარდაჭერა გამოხატოთ. დიდი მადლობა, ბარაკი,“ – ასე ასრულებს წერილს ბარაკ ობამა, რომლის საარჩევნო კამპანიის შტაბ-ბინა ჩიკაგოში განთავსდება. ეს იშვიათი შემთხვევაა, როდესაც წინასაარჩევნო ცენტრი ვაშინგტონიდან სხვა შტატში ინაცვლებს. ■



პოლონეთი

# ხაჩინსხიდან ხაჩინსხიძე

სმოლენსკთან მომხდარი ტრაგედიის ერთი წლის თავს პოლონეთი მწვავე პოლიტიკური დაპირისპირებით ხვდება.

ემილ სულეიმანოვი

ერთი წლის წინ, სმოლენსკთან პოლონეთის პრეზიდენტის ლევ კაჩინსკის თვითმფრინავის ავიაკატასტროფამ პოლონური საზოგადოება გააერთიანა.

ასეთი ერთიანობა აღმოსავლეთ ევროპის ამ ქვეყანაში 1989 წლის შემდეგ არ ყოფილა, როცა კომუნისტური ბლოკი დაიშალა და შედეგად პოლონეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა.

ბედის ირონია ისაა, რომ პოლონური საზოგადოების გაერთიანება ლევ კაჩინსკიმ მოახერხა. სიცოცხლეში კაჩინსკი თავისი პოლიტიკით არაერთგვაროვან დამოკიდებულებას იწვევდა და საზოგადოებას თავის მომხრეებად და მონინალმდევრებად უფრო ჰყოფდა, ვიდრე აერთიანებდა.

და ასევე ბედის ირონიით, თვითმფრინავი,

რომელშიც პოლონეთის პოლიტიკური ელიტა იმყოფებოდა, ჩამოვარდა სმოლენსკთან, კაჩინის ტყეში, იქ, სადაც 70 წლით ადრე საბჭოთა ენკავედემ 22 ათასი პოლონელი ოფიცერი დახვრიტა.


სმოლენსკთან მომხდარი ტრაგედიის შემდეგ სიტუაცია პოლონეთში რადიკალურად შეიცვალა.



დღეს პოლონეთში ერთი წლის წინანდელი საზოგადოებრივი ერთიანობისგან თითქმის აღარაფერი დარჩა. პოლონური პოლიტიკა მისთვის ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა – მწვავე ბატალიებს, დაძაბულ წინააღმდეგობას. საზოგადოება ისევ დაყოფილია ლიბერალებად და კონსერვატორებად, კათოლიკური ეკლესიის მიმდევრებად და ამ ეკლესიის მიმართ კრიტიკულად განწყობილებად; ევროკავშირში მაქსიმალური ინტეგრაციის მომხრეებად და ევროსკეპტიკოსებად, რომლებიც ნებისმიერ ფასად პოლონური სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისთვის იბრძვიან.

და მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის სათავეში დღეს სხვა პრეზიდენტი და სხვა პოლიტიკური ელიტაა, პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის სახელი, მისი მემკვიდრეობა და ტრაგიკული სიკვდილი მთელი წლის განმავლობაში მუდმივად ფიგურირებდა პოლიტიკურ ბატალიებში.

პირველ რიგში, ცხადაა, კაჩინსკის სახელს მისი ტყუპი-ძმა იაროსლავი ახსენებდა. იაროსლავ კაჩინსკიმ ძმის



გარდაცვალებისა და შემდეგ პოლონეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მარცხის შემდეგ, მთელი ყურადღება სმოლენსკთან მომხდარი ტრაგედიის გამოძიების თემას დაუთმო.

კონსერვატიული პარტიის „სამართალი და სამართლიანობის“ ლიდერი იაროსლავ კაჩინსკი უკმაყოფილოა გამოძიების პროცესით და ამაში რუსულ მხარესთან ერთად პოლონეთის ხელისუფლებასაც ადანაშაულებს.

ლევ კაჩინსკის სახელი „საზოგადოებრივი პლატფორმის“ მხარდამჭერების მხრიდანაც ისმოდა მთელი წლის მანძილზე. ეს პარტია ამჟამინდელ პრეზიდენტს – ბრონისლავ კომოროვსკისა და პრემიერ-მინისტრს – დონალდ ტუსკს უჭერს მხარს და წინა პრეზიდენტის პოლიტიკას აკრიტიკებს.

პოლიტიკურ კონფრონტაციას ისიც აღმავებს, რომ ავიაკატასტროფის წლისთავი წინასაარჩევნო პერიოდს ემთხვევა – ნახევარ წელიწადში პოლონეთში საპარლამენტო არჩევნებია. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, სმოლენსკის ტრაგედია ამ არჩევნებზეც ითამაშებს თავის როლს. უკანასკნელი სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, პოლონელების 87 პროცენტი მიიჩნევს, რომ სმოლენსკის ტრაგედიას აქტიურად იყენებენ პოლიტიკური მიზნებისთვის. აქედან 16 პროცენტი აცხადებს, რომ ავიაკატასტროფის თემას შეუძლია გავლენა მოახდინოს არჩევნების შედეგებზე.

41 პროცენტი კი ამბობს, რომ ეს ისტორია წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი იქნება.

ამასთან, საზოგადოებრივი გამოკითხვები იმასაც ამტკიცებს, რომ გამარჯვების შანსს ორივე პარტია თანაბრად ინარჩუნებს.

საზოგადოებრივი პალატის ვარშავის ფილიალის ლიდერი ჰანა გრონკევიჩ-ვალცი ამბობს, რომ იაროსლავ კაჩინსკის პარტია „სამართალი და სამართლიანობა“ 2010 წლის 10 აპრილის კატასტროფას საზოგადოებაში დაძაბულობის შესაქმნელად იყენებს, რადგან ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ სხვა არაფერი ეთქმის.

იაროსლავ კაჩინსკის თავისი არგუმენტები აქვს: „სანამ ვცოცხლობ, ეს მწუხარება ჩემთან ერთად იცოცხლებს. ამის გაგება მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც ტყუპისცალი ძმა დაუკარგავს.“ მიუხედავად იმისა, რომ ლევ კაჩინსკის კრაკოვის ვაველის კათედრალში დაკრძალვამ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, იაროსლავ კაჩინსკი ავიაკატასტროფის მსხვერპლთათვის პატივის მისაგებად ვარშავის ცენტრში მასიური მემორიალის აშენების პირობას დებს.

სმოლენსკის ტრაგედიის შემდეგ კორექტივები პოლონეთის საგარეო პოლიტიკამაც განიცადა და ერთსულოვნება არც ამ საკითხში შეინიშნება. მაშინ, როცა ლევ კაჩინსკის მემკვიდრე იაროსლავი რუსეთის გავლენების შესამცირებლად პოსტსაბჭოთა რეგიონში პოლონეთის, ევროკავშირის და ნატოს აქტიური პოლიტიკის მომხრეა, დონალდ ტუსკი და ბრონისლავ კომოროვსკი მოსკოვთან მიმართებაში ბევრად უფრო ფრთხილი პოლიტიკის მომხრეები არიან. ■

**■ ბედის ირონია ისაა, რომ პოლონური საზოგადოების გაერთიანება ლევ კაჩინსკიმ მოახერხა. სიცოცხლეში კაჩინსკი თავისი პოლიტიკით არაერთგვაროვან დამოკიდებულებას იწვევდა და საზოგადოებას თავის მომხრეებად და მონინააღმდეგეებად უფრო ჰყოფდა, ვიდრე აერთიანებდა.**

თვალსაზრისი

## წინამძღვარი თუ დამხმარი?

მოსკოვის საპატრიარქო ახალი ათონის მონასტერში ახალი წინამძღვრის დანიშვნას ცდილობს. აფხაზეთში მიიჩნევენ, რომ მეზობელი ქვეყნიდან აფხაზეთის ეკლესიაში მსგავსი ჩარევა აფხაზური დამოუკიდებლობისთვის კიდევ ერთი სერიოზული გამოცდაა.

### ინალ ხაშივი

მას შემდეგ, რაც მედიით გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ახალი ათონის მონასტერში წინამძღვრად მოსკოვის საპატრიარქოდან მივლენილი ილუმენი ეფრემი (ვინოგრადოვი) დაინიშნა, ათონის მონასტრის წინ მოედანის ხალხით გაივსო.

მედია იუნყებოდა, რომ რუსეთის პატრიარქმა კირილ II-მ ეს გადაწყვეტილება აფხაზი მღვდლის, ბესარიონ აპლიას თხოვნით მიიღო.

მონასტრის მოქმედი წინამძღვარი ანდრეი, ახალათონელი ბერები და მრევლი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში მიღებულ მონასტრის წესდებას იშველიებენ, სადაც წერია, რომ მონასტრის წინამძღვარი შეიძლება იყოს მხოლოდ ახალ ათონში ბერად აღკვეცილი პირი.

რუსეთის საპატრიარქომ მეორე დღეს გაავრცელა განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ აფხაზურმა საზოგადოებამ კირილ მეორის გადაწყვეტილება არასწორად გაიგო. ამ განცხადების თანახმად, ახალი ათონის მონასტერში არა წინამძღვარი, არამედ დამხმარე სასულიერო პირია მივლენილი.

თუმცა, მიუხედავად მოსკოვის საპატრიარქოს ამ განცხადებისა, კონფლიქტი აფხაზეთში არ ჩამცხვალა. პირიქით, უფრო მწვავედა.

რუსეთის საპატრიარქოს გადაწყვეტილება საეკლესიო-სახალხო კრების მონვევის მიზეზიც კი გახდა. კრება 15 მაისს სიმონ კანანელის მონასტერში გაიმართება.

როგორ უნდა გამოვიდეს აფხაზეთი შიდა საეკლესიო კრიზისიდან და როგორ უნდა, აანყოს ურთიერთობა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან, – ეს საკითხი აფხაზურ საზოგადოებაში დღეს საეკლესიო ცხოვრების ჩარჩოებს სცდება და საკმაოდ აქტუალურია არამართლმადიდებლებს შორისაც კი.

ახალი ათონის მონასტერი აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ყველაზე მსხვილი მართლმადიდებლური ობიექტია, რომელსაც უნიკალური ისტორია და საკუთარი წესდება აქვს.

გარდა ამისა, აქ ეროვნული ასპექტიც საყურადღებოა. აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზი მღვდელი არც ისე ბევრია. მათ შორის ერთ-ერთია მამა ანდრეი – ახალგაზრდა მღვდელი, რომელიც უკვე ათი წელია, ამ მონასტრის წინამძღვარია. მისი ერთი ხელის მოსმით ამ თანამდებობიდან გათავისუფლება ბევრმა შეურაცხყოფად მიიღო.

ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ ეს ამბავი აფხაზეთის ახალი თაობის ჩიზონიკებისა და აფხაზეთის ეპარქიის



ხელმძღვანელის, მამა ბესარიონ აპლიას წინააღმდეგობის ქრილშიც განიხილება. ახალი ათონის ფაქტს კვლავ ეკლესიის შიგნით დაპირისპირების ახალი რაუნდი მოჰყვება. ამ დაპირისპირებამ პიკს 5 წლის წინ მიაღწია, როცა აფხაზეთის ეკლესიის ორი თანახელმძღვანელი დაინიშნა – მამა ბესარიონი და მამა ანდრეი. შემდეგ შიდა, კულუარული ინტრიგების საშუალებით, მამა ბესარიონმა მანძი მოახერხა ეკლესიის ერთადერთი ხელმძღვანელი გამხდარიყო.

ორი წლის წინ აფხაზეთის ეპარქია დამოუკიდებელ აფხაზეთის ეკლესიად გადაკეთდა. მამა ბესარიონისთვის უფრო მოსახერხებელი აღმოჩნდა იმ ფაქტის დაფიქსება, რომ აფხაზური ეკლესია დამოუკიდებელია და ახლა იგი თავს კვლავ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის შემადგენელ ნაწილად



ათონის მონასტერი, აფხაზეთი

**■ რუსეთის საპატრიარქოს  
გადანყვეტილება საეკლესიო-  
სახალხო კრების მოწვევის  
მიზეზიც კი გახდა. კრება  
15 მაისს სიმონ კანანელის  
მონასტერში გაიმართება.**

თვლის. აქ საქმე შიდაეკლესიურ ინტრიგასთან გვაქვს, რომელიც, შესაძლოა, ძალიან სახიფათო იყოს აფხაზურ-რუსული ურთიერთობების ჭრილში. აფხაზური საზოგადოება, რომელმაც ცოტა ხნის წინ მოიპოვა დამოუკიდებლობა, ძალიან ფრთხილობს, როცა საქმე ჩრდილოელ მეზობელთან მეტისმეტად მჭიდრო ურთიერთობებს ეხება.

ეკლესიის დამოუკიდებლობა კი ზოგადად ქვეყნის დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი ასპექტია. ამიტომაც, აფხაზეთის მოსახლეობა ძალიან ღელავს. თანაც, ეს ყველაფერი მაშინ ხდება, როცა სულ ცოტა ხნის წინ სეროიზულად მიდიოდა მსჯელობა აფხაზეთის საზღვრის დემარკაციასთან დაკავშირებით – რუსეთმა აფხაზეთის ტერიტორიის 160 კვადრატულ კილომეტრზე განაცხადა პრეტენზია, თუმცა მერე თითქოს უარი თქვა ამ განზრახვაზე.

რუსეთ-აფხაზეთის ურთიერთობების განვითარება უკვე ეკლესიის კონტექსტში მდგომარეობას საკმაოდ დაძაბავს. ახლა რთულია იმის თქმა, თუ როგორ დამთავრდება ეს ყველაფერი. მამა ანდრეის მომხრეები ახალ ათონში იკრიბებიან. მამა ანდრეიმ მათ განუცხადა, რომ მონასტრის თემი ბოლომდე

იბრძოლებს. მან აფხაზ ხალხს 15 მაისს საეკლესიო კრებაზე მისვლა სთხოვა. „აფხაზეთის ერი და ბერი იქ უნდა იყოს,“ – თქვა მან. ამ კრებამ აფხაზური ეპარქიის და მისი წინამძღვრის შემდგომი ბედი უნდა გადაწყვიტოს. ახლა ეს კონფლიქტი კიდევ უფრო იკვეთება და საჯარო ასპარეზზე გამოდის. **■**

**სტატიაში გამოყენებული  
ტერმინოლოგია ეკუთვნის ავტორს  
და არა „ლიბერალს“**



სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიხ ბოლის ფონდის შეხედულებებს.

მთავრობის ინიციატივა

# მთავრობა ბიზნესის ხელშეწყობას ინჟინერებს

მთავრობა სააქციო საზოგადოება „საპარტნიორო ფონდს“ ქმნის, რომელმაც მსხვილი პროექტები უნდა დააფინანსოს, მაგრამ მისი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია დახურული იქნება.

ნათია ახალაშვილი



სამუშაო ადგილების შექმნა, ინვესტიციების მოზიდვა, შეფერხებული პროექტების დასრულების ხელშეწყობა და განხორციელებული პროექტების განსახელმწიფოებრიობა – ეს ახალი „საპარტნიორო ფონდის“ დეკლარირებული მიზნებია.

ფონდის შესახებ პირველი განმარტება პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა 2011 წლის თებერვალში გააკეთა. მისი თქმით, ახალი ფონდი კერძო სექტორისა და მთავრობის მონაწილეობით, მსხვილ პროექტებს დააფინანსებს, როგორცაა მაგალითად, სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკური ცენტრის ან ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა.

საპარტნიორო ფონდიდან დაფინანსდება პროექტები, რომლებიც არ შეეხება მომსახურების სფეროსა და უძრავ ქონებას, კონკურენციას არ შეუქმნის კერძო სექტორს და ექნება მინიმუმ 25 პროცენტის თანადაფინანსება. სოფლის მეურნეობის სფეროდან პროექტს იმ შემთხვევაში განიხილავენ, თუ მისი

ღირებულება მინიმუმ 5 მილიონი ლარი იქნება, არასასოფლო-სამეურნეო სფეროს შემთხვევაში კი ქვედა ზღვარი 30 მილიონია.

კომპანიამ ფონდს იმ შემთხვევაში უნდა მიმართოს, თუ აქვს, სულ ცოტა, 7,5 მილიონი ლარი, შეძლებს მინიმუმ 3 მილიონლარიანი საბანკო გარანტიის წარმოდგენას და აპირებს 30 მილიონი ლარის ღირებულების პროექტის განხორციელებას, ვთქვათ, ენერგეტიკის ან მრეწველობის სფეროში.

თუმცა, ახალ კანონპროექტში არ არის დადგენილი დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის ზუსტი კრიტერიუმები და პროცედურები. მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ „პროექტის დაფინანსება მხოლოდ კონკურენტული შერჩევის წესით“ მოხდება.

იმ შემთხვევაში, თუ ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი წარმატებით დასრულდება და ახალ სამუშაო ადგილებსაც შექმნის, ფონდი ამ პროექტში მისი წილის განსახელმწიფოებრიობას

ახდენს, ანუ ყიდის.

ფონდის იურიდიული სტატუსი, კანონპროექტის თანახმად, სააქციო საზოგადოება იქნება. მას ეყოლება სამეთვალყურეო საბჭო და აღმასრულებელი ორგანო, რომელსაც კონსულტაციას გაუწევს საინვესტიციო საბჭო. ჯერჯერობით უცნობია, ვინ იქნებიან ფონდის დამფუძნებლები ან აქციონერები.

სააქციო საზოგადოებას არ აქვს ვალდებულება, საკუთარი საქმიანობა და ფინანსური ანგარიშები გაასაჯაროს. ამ ფორმით საპარტნიორო ფონდის კანონით დაფუძნება ძალიან კომფორტულია, თუ მთავრობას სურს, თავი დააღწიოს გამჭვირვალობის ვალდებულებას.

„თუ სახელმწიფო კანონის დონეზე აფუძნებს რაღაც ორგანოს, გარკვეულწილად, თავისი უფლებამოსილების დელეგირებას ახდენს და თავისი მოვალეობების ნაწილს გადააბარებს, ამ ყველაფერს უნდა მიჰყვეს ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობის ვალ-



■ **სააქციო საზოგადოებას არ აქვს ვალდებულება, საკუთარი საქმიანობა და ფინანსური ანგარიშები გაასაჯაროოს. ამ ფორმით საპარტნიორო ფონდის კანონით დაფუძნება ძალიან კომფორტულია, თუ მთავრობას სურს, თავი დააღწიოს გამჭვირვალობის ვალდებულებას.**

დებულება. უნდა ვიცოდეთ, რა ხდება იქ, რა თანხები შედის, რაზე იხარჯება და ა.შ. რადგან სააქციო საზოგადოება დახურულია, ვერასოდეს გავიგებთ, იქ რეალურად რა ხდება“, – აცხადებს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე თამარ ჩუგოშვილი. ის ამბობს, რომ საპარტნიორო ფონდი მას „ქართული არმიის განვითარებისა“ და „სამართალდამცავი ორგანიზაციის განვითარების ფონდებს“ აგონებს, რომლებიც 2004 წელს არასამეწარმეო იურიდიული პირის სტატუსით შეიქმნა და რომელთა საქმიანობაც საზოგადოებისთვის ბოლომდე დახურული დარჩა.

საია-ში მიიჩნევენ, რომ ბუნდოვანი ხარჯვის თავიდან ასაცილებლად, საპარტნიორო ფონდი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით უნდა დაფუძნებულიყო.

საპარტნიორო ფონდში ფულის მოზიდვის რამდენიმე წყარო სახელდება. მათ შორისაა, საერთაშორისო საფინან-

სო ინსტიტუტებიდან მოზიდული სესხები, რომელთა დაბრუნებაზეც თავად ფონდი აგებს პასუხს. კიდევ ერთი წყაროა კერძო სექტორიდან თანადაფინანსებით მოზიდული თანხები.

კანონპროექტის განმარტებით ბარათში წერია, რომ ფონდი ბიუჯეტიდან არ დაფინანსდება და მის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე გავლენას არ იქონიებს. თუმცა, იქვე, ფონდის დაფინანსების წყარობად დასახელებულია სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანიების დივიდენდები და პრივატიზაციის შედეგად მიღებული თანხებიც. ამ ორი წყაროდან საქართველოს 2011 წლის ბიუჯეტში, დაახლოებით, 300 მილიონი ლარი შემოსავალია გათვალისწინებული.

ახალგაზრდა იურისტების აზრით, კანონპროექტი არ განმარტავს, როგორ უნდა იმუშაოს ფონდმა. „მაგალითად, ლაპარაკია, რომ ფონდმა პროექტები უნდა შეარჩიოს და დააფინანსოს, მაგრამ კანონი არაფერს ამბობს იმაზე,

თუ რა კრიტერიუმებით შეირჩევა ეს პროექტები, რა პრიორიტეტები არსებობს, როგორ დასაბუთდება, რომ რომელიმე პროექტი იყო სხვაზე უკეთესი“, – ამბობს საია-ს თავმჯდომარე.

საია ჯერ კიდევ მარტში მოითხოვდა, კანონპროექტის ინიციატორს, საქართველოს მთავრობას და კანონპროექტის განმხილველს – საქართველოს პარლამენტს გადაეხედათ საპარტნიორო ფონდის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, არ დაეშვათ მისი დაფუძნება სააქციო საზოგადოების ან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სხვა ფორმით და ფონდი დაეფუძნებინათ მხოლოდ საჯარო სამართლის სფეროში – როგორც მინიმუმ, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით. ამით ფონდი საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული გახდებოდა.

საია-ს რეკომენდაციები და მოთხოვნები პარლამენტმა არ გაითვალისწინა და კანონპროექტი საბოლოოდ დაამტკიცა. □

# სიმინდი ჩვენი ახსოვრისა

„პიონერის“ ფირმის სიმინდის თესლის გაცემა 1 მარტს დაიწყო. ერთი თვის თავზე კი ფერმერებს მთლიანი მარაგის ნახევარიც არ შეუძენიათ. დასავლეთ საქართველოს გლეხების სოლიდური ნაწილი „ამერიკული“ სიმინდის დათესვაზე საერთოდ უარს ამბობს.

## მანანა ვარდიაშვილი

სიმინდის წარმოების ხელშეწყობის პროექტი სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სიმინდის მოსავლიანობის გასაზრდელად დაიწყო. თუ გასულ წლებში საქართველოში მოყვანილი სიმინდი ადგილობრივი მოთხოვნის მხოლოდ 75 პროცენტს აკმაყოფილებდა, ამ ინიციატივის შედეგად სამინისტროს იმედი აქვს, რომ 25 000 ტონა სიმინდის ექსპორტზე გატანასაც კი შეძლებს.

გეგმის მიხედვით, ჰიბრიდული სიმინდის თესლი პროექტში დარეგისტრირებულმა 35 ათასმა ადამიანმა 31 906 ჰექტარზე უნდა დათესოს. თუმცა, 5 აპრილისთვის არსებული მონაცემებით, საწყობებიდან გლეხებმა მხოლოდ 12 162 ჰექტარისთვის სამყოფი თესლი გაიტანეს. ყველაზე მეტად გლეხები დასავლეთ საქართველოში პასიურობენ. არადა, გლეხების რეგისტრაციის პროცესში ყველაზე მაღალი მოთხოვნა სიმინდის თესლზე სწორედ იმერეთში დაფიქსირდა.

გეგმა დღემდე ასეთია: ჰიბრიდული სიმინდის 39,27 პროცენტი ამ რეგიონში უნდა დაითესოს. მოთხოვნის 16,46 პროცენტი სამეგრელო-ზემო სვანეთზე მოდის, კახეთი 15,86 პროცენტით მესამე ადგილზეა. თუმცა, მოთხოვნის საპირისპიროდ, გლეხებისა და ფერმერების დიდი ნაწილი გამგეობებიდან ჰიბრიდული სიმინდის თესლის გატანასა და დათესვას არ ჩქარობს.

მიზეზი, შესაძლოა, სახელმწიფოს მხრიდან არასწორად წარმართული საინფორმაციო კამპანია იყოს. მაგალითად, მათ მოსახლეობას სიტყვა



■ გლეხებისა და ფერმერების დიდი ნაწილი გამგეობებიდან ჰიბრიდული სიმინდის თესლის გატანასა და დათესვას არ ჩქარობს. მიზეზი, შესაძლოა, სახელმწიფოს მხრიდან არასწორად წარმართული საინფორმაციო კამპანია იყოს.

„ჰიბრიდული“ მნიშვნელობაც კი ვერ განუმარტეს სწორად. ეს ტერმინი დღემდე გენეტიკურ მოდიფიცირებასთან ასოცირდება. გარდა ამისა, ბოლო დრომდე რჩებოდა მოლოდინი, რომ ჰიბრიდული სიმინდის თესლი მოსახლეობას უფასოდ დაურიგდებოდა... ესეც რომ არა, გლეხებისა და ფერმერების დიდმა ნაწილმა მხოლოდ რეგისტრაციის გავლის შემდეგ „ალმოაჩინა“, რომ „პიონერის“ სიმინდის დათესვის სანაცვლოდ დაპირებულ მაღალ ხარისხსა და დიდ რაოდენობას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებენ, თუ აგროტექნიკურ ღონისძიებებს სწორად წარმართავენ. მაგალითად, საჭიროა, რომ ნიადაგი „მაღალი ხარისხით“ დამუშავდეს და განოყიერდეს, სასუქების კონკრეტული ნორმების დასადგენად კი მიწის ანალიზი ჩატარდეს; თვითონ სიმინდი სპეციალური აპარატით დაითესოს, ჰერბიციდებითაც დამუშავდეს და მინიმუმ 2-ჯერ მოირწყოს....

გლეხები შიშობენ, რომ სასუქებისა და პესტიციდების სიძვირის გამო, მაღალი მოსავლის მიღება გაუჭირდებათ — და ეს მიუხედავად იმისა, რომ ამერიკული კომპანია „პიონერის“ საქართველოში შემოტანილი ოთხივე სახეობა უხვი და სტაბილური მოსავლიანობით, დაავადებათა ფართო სპექტრის მიმართ მაღალი რეზისტენტულობით და გვალვარეზისტენტობით ხასიათდება.

გლეხებისა და ფერმერების სკეპტიციზმს 80-იანი წლების გამოცდილებაც აღვივებს. მაშინ საქართველოს რამდენიმე რეგიონში ამერიკული „პიონერის“ ჰიბრიდული სიმინდი საცდელად პირველად დათესეს.

„მაშინ მიეხვედით, რომ ამ სიმინდს ჩვენებურისგან განსხვავებული გემო აქვს. მჭადში არ ვარგა. ვერც ტაროს მოხარშავ. ამერიკული სიმინდის მარცვალს მარტო საქონლის გამოსაკვებად თუ გამოიყენებ. ჩალაც უხეშია და საქონელი არ ჭამს. ჩემნაირ გაჭირვებულ კაცს კი ისეთი სიმინდის დათესვა უნდა, რომელსაც თვითონაც მოიხმარს და ფრინველ-საქონელსაც

გამოკვებას“, — ამბობს ოზურგეთის რაიონის სოფელ შემოქმედში მცხოვრები 73 წლის რობინზონ ქინქლაძე და ანგარიშობს: „ამერიკული“ სიმინდის თესლი ძვირია. 7-თვიანი განვადება კარგია, მაგრამ 7 თვის შემდეგ ის ფული ისევ ჩემი გადასახდელია. ბანკიდან ან სადაზღვევო კომპანიიდან წარდგენილი საგარანტიო წერილი მინის ნაკვეთით უნდა იყოს უზრუნველყოფილი. მოსავალი რომ ვერ მივიღო, ესე იგი, მინაც უნდა დავკარგო? ხოდა, მეც ისევ ჩვენებურ, ქართულ სიმინდს ვთესავ“.

საქართველოში პირველად სამი საუკუნის წინ შემოსული სიმინდი ენდემური სახეობა არ არის. „ქართული“ სიმინდი თავის დროზე ამერიკული „კაჟოვანასა“ და „ცალკილასაგან“ იყო მიღებული. თუმცა, სიმინდის „ქართული“ ჯიშები გარემო პირობებთან უკვე კარგად არის შეგუებული და კარგი გემოთი ხასიათდება. თუმცა, ეს ჯიშები დაბალმოსავლიანია. ჰექტარზე საშუალო შემოსავალი 2-3 ტონაა მაშინ, როცა ჰიბრიდული თესლი ჰექტარზე 8-10 ტონა მშრალ მარცვალს იძლევა.

ახალციხის „სასოფლო საკონსულტაციო სამსახურის“ დირექტორი გურამ ჯინჭვლაძე აცხადებს: „შარშან ახალციხის საცდელ ნაკვეთში „პიონერის“ 90-დღიანი PR38R92 ჰიბრიდი დათესეთ. ნათესი არ მოგვირწყავს, მიუხედავად იმისა, რომ გვალვიანი ზაფხული იყო და 2 თვის განმავლობაში წვიმა არ მოსულა. ბოლოს ჰექტარზე 4000 კგ მოსავალი მაინც ავიღეთ. მეზობელ ნაკვეთებში კი ადგილობრივი ჯიშებისგან მოსავალი მაქსიმუმ 1000 კგ იყო“.

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ სპეციალისტი ნუკრი მემარნიშვილი ამბობს, რომ „მაღალი გვალვარეზისტენტობის გამო „ამერიკული“ „პიონერის“ დათესვა კახეთში უფრო მიზანშეწონილი იქნება“.


ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარში სიმინდი სწორედ ახლა ითესება. ადგილობრივი ანზორ ბლიაძე ამბობს, რომ აუცილებლად ჰიბრი-

დულ სიმინდს დათესავს: „შარშან 0,75 ჰექტარზე დათესე ჰიბრიდული სიმინდი და 5 ტონა მოსავალი ავიღე. ნაწილი ოჯახში დავიტოვე საქონლის გამოსაკვებად, დანარჩენი გავყიდე — 1კგ 80 თეთრად. ადგილობრივ ჯიშებთან შედარებით მოსავლიანობაში იმდენად დიდი სხვაობაა, რომ სიძვირის მიუხედავად, ამ თესლის შექმნა მაინც მომგებინა“, — ამბობს ანზორ ბლიაძე. ამერიკული „პიონერის“ სიმინდის ნათესისგან მოშორებულ ნაკვეთზე ის „ქართულ“ სიმინდსაც თესავს. ამბობს, რომ ეს სიმინდი ტაროს სეზონზე კარგად იყიდება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციის პროგნოზით, წელს ლაგოდეხში ჰიბრიდული ჯიშის სიმინდი მინიმუმ 6000 ჰექტარზე დაითესება. კორპორაცია ლაგოდეხში სიმინდის საშრობი და შესანახი ობიექტის აშენებასაც აპირებს. ობიექტი საათში 120 ათას ტონა მარცვალს გადაამუშავებს და ერთდროულად 50 ათას ტონა მარცვალს შეინახავს. სიმინდის საშრობი და შესანახი ობიექტი მოსავლის აღებად უნდა აშენდეს.

თვითონ ჰიბრიდული სიმინდის სათესლე მასალის რეალიზაცია კი 30 მასამდე გაგრძელდება. საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაცია შედეგებით უკვე კმაყოფილია: „რეალიზებული პროდუქცია უკვე სამჯერ აღემატება კომპანია „პიონერის“ ქართული წარმომადგენლობის მიერ წინა წლების გაყიდვების მაჩვენებელს. 2011 წელს დაგეგმილია 35 000 ჰექტარზე სამყოფი სათესლე მასალის რეალიზაცია“.

საქართველოს მთავრობაში აცხადებენ, რომ წელს მოყვანილი სიმინდის მოსავალი გარანტირებულად გავა ექსპორტზე თურქეთსა და აზერბაიჯანში. სპეციალისტები კი აცხადებენ, რომ ამ ყველაფერში ერთი რამ არის მაინც უსიამოვნო: სათესლე მასალა საქართველოში არ იწარმოება და ისევე, როგორც ყველა მაღალმოსავლიანი და „პროფესიონალური“ ბოსტნეული და მარცვლეული, ისიც უცხოეთიდან უნდა შემოვიტანოთ. **■**



ილუსტრაციები: ლუკაშვილი პავლე



აღნიშნული

# "სახლი იჩივს ბაიბოზას"

ექსპლუატაციის პაუზის შემდეგ, კომუნიკაციების ეროვნული კომისია განაახლებს სამაუწყებლო ლიცენზიების გაცემას. საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიხედვით, რითაც კომისია იხელმძღვანელებს, მოსახლეობას ტელეეთერში მეტი გასართობი გადაცემის ხილვა სურს.

ნანა საჯავაძე

**2008** წლიდან მოყოლებული, კახეთის რადიო „ჭერეთის“ დირექტორი რამაზ სამხარაძე ყოველდღე ამონებდა კომუნიკაციების კომისიის ვებგვერდს და ამოდ ელოდა დოკუმენტის გამოქვეყნებას, რომელსაც მისი რადიოს ბედი უნდა გადაწყვიტა.

ეს დოკუმენტი საზოგადოებრივი აზრის კვლევა იყო. „ჭერეთს“, რომელიც დღემდე მხოლოდ კახეთში ვრცელდება, თბილისში მაუწყებლობის უფლებას სწორედ კვლევის არარსებობის გამო არ აძლევდნენ.

„მაუწყებლობის ლიცენზიების გაცემა დროებით შეჩერებულია. ვიდრე კვლევის მეშვეობით არ დავადგენთ, როგორ ტელე და რადიო პროდუქტზეა მოთხოვნა მოსახლეობაში, ახალ ლიცენზიებს ვერ გაცემთ“, – ორი წლის განმავლობაში უცვლელი იყო კომისიის პასუხი.

„ზოგჯერ, საერთოდ, უპასუხოდ მტოვებდნენ, ზოგჯერ კი ერთი და იმავე შინაარსის წერილით გვპასუხობდნენ. გენერა და გეკითხა, აზრი არ ჰქონდა, სამწუხაროდ“, – იხსენებს სამხარაძე, რომლის „ჭერეთიც“ მხოლოდ ერთ-ერთია იმ 25 სამაუწყებლო კომპა-

ნიას შორის, რომლებიც ლიცენზიების გაცემას უსასრულოდ განელილი კვლევის მიზეზით, წლებია, ელოდება.

რამდენიმე კვირის წინ, კომუნიკაციების კომისიის ვებგვერდის მორიგი შემოწმებისას სამხარაძეს სიურპრიზი დახვდა – პრესრელიზი იუნწყებოდა, რომ 5 აპრილს, კომისიაში საჯაროდ განიხილავდნენ კვლევის შედეგებს, რომელიც 2004 წლის შემდეგ პირველად გამოქვეყნდებოდა.

ამიტომ ამ ისტორიული დოკუმენტის გასაცნობად სხდომაზე ყველანი შეიკრიბნენ: ლიცენზიის მაძიებლები, ჟურნალისტები, მედიაკომპანიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კომისიისთვის უჩვეულო იყო თავად გარემოც – ვიდრე კამერების თანხლებით, ინგლისურ ენაზე თარგმანის ფონზე, ამგვარ აქტიურ დებატებში კომისიის წარმომადგენლები მანამდე თითქმის არასდროს ჩართულან.

- რა მეთოდოლოგია გამოიყენა BCG-მ კვლევისას?
- გადამოწმა თუ არა კომისიამ კვლევის მონაცემები?
- რა დაჯდა კვლევა?
- ივნისში დასრულებული კვლევის

საჯარო განხილვა რატომ დაგვიანდა 9 თვით, რომ აღარაფერი ვთქვათ ძველ გადაცდენებზე?

ამ და სხვა უხერხულ კითხვებზე პასუხის გაცემა, შეიძლება ითქვას, პირველად უწევდათ კომისიის წევრებს, რომლებიც მანამდე მედიასთან ურთიერთობას მხოლოდ მშრალი და ლაკონური კორესპონდენციით არჩევდნენ.

„ის, რომ ვინმეს ეჭვის შეტანის უფლება აქვს, არ ნიშნავს, რომ ავტომატურად ვიმართლოთ თავი“, – ასე ცდილობდა კომისიის წევრი, სოფო ბრიტანჩუკი უხერხული კითხვების მოგერიებას.

უმთავრესი კითხვა – როგორც ლიცენზიის მაძიებლებისთვის, ისე მედიასაშუალებებისთვის – დღემდე პასუხგაუცემელია: რატომ არღვევდა კომუნიკაციების ეროვნული კომისია 6 წლის განმავლობაში მაუწყებლობის შესახებ კანონს და რატომ არ აქვეყნებდა საზოგადოებრივი აზრის კვლევას, რითაც სამაუწყებლო ლიცენზიების გაცემის პროცესს ძალაუვნებურად აფერხებდა?

„ფაქტია, რომ ვადების გადაცდენასთან გვაქვს საქმე“, – კომისიის იურისტ-

# მთავარი თემა

მა კახი ყურაშვილმა, სხდომაზე, უბრალოდ, ფაქტი დაადასტურა და კვლევის შედეგების წარდგენას შეუდგა.

ძირითადი მიმართულებები, რაც საზოგადოებრივი აზრის ორწლიანი კვლევისას გამოიკვეთა და რაც ლიცენზიის მაძიებელმა სამაუწყებლო კომპანიებმა თავიანთი საეთერო ბადის დაგეგმვისას უნდა გაითვალისწინონ, ასე გამოიყურება:

რაც შეიძლება ბევრი გასართობი ტიპის გადაცემა, „რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ დღეს სატელევიზიო სივრცე ამ მხრივ დეფიციტსაც განიცდის“, – წერია კვლევის ძირითად მიგნებებში.

ირკვევა, რომ გამოკითხული მოსახლეობა ყველაზე დიდ დანაკლისს მუსიკალური გადაცემების მიმართ განიცდის – რესპონდენტთა 35.5 პროცენტს სწორედ ასეთი გადაცემების ხილვა

სურს. 29 პროცენტი – მეტ გასართობ ტოკ-შოუს ნახავდა, 20 პროცენტს კი არ აკმაყოფილებს სატელევიზიო სერიალების რაოდენობა, რაც ქართულ ტელეარხებზე დღეს გვაქვს და კიდევ უფრო მეტს ითხოვს; შემდეგ ადგილზეა მხატვრული ფილმები (16,2 პროცენტი) და იუმორისტული გადაცემები (15,7 პროცენტი). რაც შეეხება საინფორმაციო გამოშვებებს – მათზე მოთხოვნა საბავშვო გადაცემებზე მოთხოვნასაც კი ჩამორჩება (10.6 პროცენტი) და გადაცემების 11-კომპონენტთან ნუსხაში მერვე ადგილს სჯერდება.

საზოგადოებრივი აზრის კვლევა 2008 წლის ოქტომბრიდან 2010 წლის ივნისამდე, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 23 სამაუწყებლო ზონაში ჩატარდა. „BCG კვლევის“ წარმომადგენლის, კვლევის ხელმძღვანელის, სათუნა ხარჩილავას

ტყმით, სულ 9500 ადამიანი გამოიკითხა. მისი ტყმით, კვლევისთვის, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მეთოდოლოგია გამოიყენეს და კვლევა 95 პროცენტის სიზუსტით ასახავს საზოგადოების განწყობას:

„ნათელია, რომ საზოგადოების მოთხოვნა დღეს ამგვარია. კვლევა არის ძვირი ფუფუნება, მაგრამ ნებისმიერს შეუძლია, ჩაატაროს სატელეფონო გამოკითხვა თუნდაც ას კაცზე და მონაცემები დალაგდება იმავე თანმიმდევრობით“, – ამბობს ხარჩილავა.


თუმცა, სხდომაზე შეკრებილი საზოგადოებისთვის წინააღმდეგობა სწორედ ამ ფრაზაში იყო – „საზოგადოების მოთხოვნა დღეს ამგვარია“.

კვლევის სიძველის მიზეზით, კომისიის ოპოზიციონერმა წევრმა, ირაკლი მოსევილმა მისი ბათილად ცნობა მოითხოვა: „კვლევა ჩატარდა 2008-10 წლებში, გადაწყვეტილებას ვიღებთ 2011 წელს. ამ კვლევაში კი მოყვანილია რამდენიმე ისეთი გადაცემა, რომელიც უკვე საერთოდ აღარ არსებობს. მაგალითად, ზაალ უდუმამვილის და ნინო შუბლადის ტოკ-შოუები „რუსთავი 2-ზე“, ვახო სანაიას გადაცემა „იმედზე“, ინგა გრიგოლიას დებატები პირველ არხზე. ეს გადაცემები არ არსებობს იმ დროს, როდესაც ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებას“, – აღნიშნა მოსევილმა და ივარაუდა, რომ 2012 წელს საპარლამენტო და 2013 წელს საპრეზიდენტო არჩევნების გამო საინფორმაციო-ანალიტიკურ გადაცემებზე მოთხოვნა გაიზრდება და მოსახლეობის ამ კვლევის მიხედვით გამოკვეთილ პრიორიტეტებს ამკარად შეცვლის.


თუმცა, კვლევის ბათილად ცნობას იდეის ავტორის გარდა კომისიის არც ერთმა წევრმა არ დაუჭირა მხარი. შესაბამისად, კომუნიკაციების კომისია ლიცენზიების გაცემისას მაინც ამ კვლევით იხელმძღვანელებს და მთავარი აქცენტი კვლავაც გასართობ გადაცემებზე გაკეთდება.

„გამოკითხული მოსახლეობის 73 პროცენტი ნომერ პირველ გადაცემად ახალი ამბების გამოშვებას ასახელებს. მოსახლეობას ანალიტიკური გადაცემა-

2008-2010 წლებში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები: ხან უნიჭიან ბამოქითხელები უპიხაბსოზას?



ხან ტივის ბანასეზის ღაფისის ბანისის დანა ქახთანი საბანევიზიო ახეზი?





ბისა და ჟურნალისტური გამოძიებების ხილვა სურს“, – ეს კი კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC-ის) კვლევის შედეგია, რომელიც 2009 წელს ჩატარდა – ანუ ზუსტად იმ პერიოდში, როცა პარალელურად მოსახლეობის განწყობებს „BCG“ იკვლევდა. CRRC-იმ მაშინ 2000-მდე რესპონდენტი და 50-მდე პროფესიონალი ჟურნალისტი გამოჰკითხა. გაირკვა, რომ მაცურებლებს ცენტრალური არხის ეთერში სურთ, იხილონ მეტი გადაცემები სოციალური თემების, ადამიანის უფლებების, სიტყვის თავისუფლების, ჯანდაცვის სისტემის, სასამართლოს, საკუთრების უფლების დაცვის, კორუფციის, განათლების რეფორმისა და ქვეყნის შიდა და საგარეო პოლიტიკის კურსის შესახებ.

„ცხადია, ხალხს გართობაც უხარია,

**აშოისიის თავაჯღომახის -  
ნიხაჩი ჩიქოვანის - ქონებჩივი  
დეახაჩასია**

სამაუნეებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ყოფილი გენერალური დირექტორი.

2009 წლის ივლისში შევსებული ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, ირაკლი ჩიქოვანი არის

შპს „მაგი სტილის“ დამფუძნებელი და კომპანიის 33,3 პროცენტის მფლობელი. კომპანიიდან მიღებული მისი შემოსავალი შეადგენს 372 804 ლარს. ჩიქოვანი ასევე არის შპს „მაგი სტილი მედიის“ დამფუძნებელი და 35 პროცენტის მფლობელი. მას ასევე დაფუძნებული აქვს შპს „მედია ჰაუსი“ და ფლობს კომპანიის 50 პროცენტს. აქედან მიღებული შემოსავალი 751 569 ლარია.

მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ ხარისხიანი ინფორმაცია არ სჭირდებათ. ეს იგივეა, გამოკითხულებმა თქვან, რომ მათი საყვარელი კერძი შოკოლადის ნაყინია, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ სალათიც არ უნდათ“, – ამბობს CRRC-ის რეგიონული დირექტორი, ჰანს გუტბროდი და დასძენს, რომ მოსახლეობის ინტერესს პოლიტიკური თემების მიმართ არა მხოლოდ CRRC-ის, არამედ NDI-ის კვლევებიც ადასტურებს.

ჰანს გუტბროდის აზრით, კარგი იქნებოდა, კომისიის მიერ კვლევის ჩატარების პროცესი თავიდანვე გამჭვირვალე ყოფილიყო, თუმცა, ახლა არანაკლებ მნიშვნელოვანია, კვლევაზე ფართო დისკუსია დაიწყო.

ამ, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული, შედეგების გამო ლიცენზიის მაძიებლებს კიდევ უფრო მეტი კითხვა უჩნდებათ კომუნიკაციების კომისიის მიერ წარმოდგენილი კვლევის გამართულობისა და მეთოდოლოგიის შესახებ.

რამაზ სამხარაძე, რომელიც სხდომაზე დასასწრებად საგანგებოდ მოემზადა, ფიქრობს, რომ კვლევა ზედაპირული იყო და ლიცენზიის მაძიებლებს სრული სურათი ვერ დაუხატა:

„28-გვერდიან კვლევაში რადიოს მხოლოდ ნახევარი გვერდი ეთმობა, იმ ნახევარ გვერდზეც მხოლოდ რადიოს რეიტინგები წერია. ჩემთვის, როგორც ლიცენზიის მაძიებლისთვის, ეს არანაირ ცოდნას არ იძლევა“, – ამბობს სამხარაძე.

კვლევის სანდოობას ეჭვქვეშ აყენებს, ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიის საბჭოს თავმჯდომარე ზვიად ქორიძეც. ქორიძე კვლევის იმ ნაწილზე ამახვილებს ყურადღებას, რომელშიც სათემო მაუნეებლებზეა საუბარი.

ამ მონაცემების მიხედვით, გამოკითხულთა 62,5 პროცენტი მიიჩნევს, რომ სათემო მაუნეებლობას, სპეციფიკიდან გამომდინარე, მაცურებელი არ ეყოლება.

„სათემო სამაუნეებლო არხის არსებობას, რესპონდენტები გამართლებულად არ მიიჩნევენ ეთნიკური უმცირე-

სობებით დასახლებულ რეგიონებშიც კი... კითხვაზე – რა აზრის ხართ ტელეეთერში სათემო მაუწყებლობის არსებობაზე? – რაც რესპონდენტებს „სათემო არხის“ შინაარსის განმარტების შემდეგ დაესვათ, გამოკითხულთა სოლიდური უმრავლესობა, უარყოფითად პასუხობს“, – ნათქვამია კვლევაში.

ზვიად ქორიძე კი ვარაუდობს, რომ რესპონდენტებს სათემო მაუწყებლობის

არსი არასათანადოდ განუმარტეს და უარყოფითი პასუხებიც ამიტომ მიიღეს: „მე არ ვარ დარწმუნებული, რომ თავად მკვლევრები იყვნენ ინფორმირებულნი, თუ რა არის სათემო მაუწყებლობა. თავად კვლევის ხელმძღვანელმა არ იცის, რას ნიშნავს ის და გამოკითხულებს როგორ აუხსნიდნენ“, – ამბობს ქორიძე.

სხდომაზე მისულმა ქორიძემ „BCG კვლევის“ წარმომადგენელს ჰკითხა, თუ როგორ განუმარტეს მკვლევრებმა სათემო მაუწყებლობა რესპონდენტებს. კითხვაზე პასუხის გასაცემად ხარჩილავამ კანონი მაუწყებლობის შესახებ მოიმარჯვა და ხმამაღლა ამოიკითხა:

„სათემო მაუწყებლობა არის კერძო სამართლის არაკომერციული ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ განხორციელებული მაუწყებლობა, რომელიც უზრუნველყოფს მაუწყებლობის პროცესში საზოგადოების იმ ნაწილის მონაწილეობას, რომელსაც ის ემსახურება, და რომელიც მიზნად არ ისახავს მოგების მიღებას“.

ქორიძის თქმით, ამგვარი განმარტებით, რესპონდენტები ვერ მიხვდებოდნენ სათემო მაუწყებლობის მნიშვნელობას და შესაბამისად, მისდამი ინტერესსაც ვერ გამოთქვამდნენ.

კვლევის ეს კონკრეტული შედეგი კიდევ უფრო ბევრ კითხვას ბადებს იმ ფონზე, რაც ორი წლის წინ ნინოწმინდასა და მარნეულში მოხდა. ამ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, ლიცენზიის მომლოდინე ადგილობრივი მოხალისე ყურნალისტები რადიოგადაცემებს სკვერში გაყვანილი ხმამაღლამოლაპარაკით გადასცემდნენ. მათ ყოველ გადაცემას კი ორი წლის განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობა ერთგულად ელოდა.

კვლევის შედეგებს არასარწმუნოდ მიიჩნევს რეგიონული მაუწყებლების ასოციაციის ხელმძღვანელი, ნათია კუპრაშვილიც. მისი თქმით, კვლევის ძირითად ნაწილში მოყვანილი მონაცემები ბადებს ეჭვს, რომ კვლევა მხოლოდ თბილისშია ჩატარებული და რეგიონების მოსახლეობა BCG-ის სინამდვილეში არც გამოუკითხავს:

კვლევის თანახმად, რეგიონის მოსახლეობიდან გამოკითხულთა 65 პროცენტი არ მიიჩნევს აუცილებლად რეგიონალური სატელევიზიო არხების არსებობას და მხოლოდ 24 პროცენტს მიაჩნია, რომ კარგი იქნებოდა მსგავსი არხების არსებობა, რადგან საკუთარი რეგიონის შესახებ ცენტრალურ არხებზე ინფორმაცია იშვიათად გადის. „ასე შეიძლება მხოლოდ იმ რეგიონში იმსჯელონ, სადაც არ არსებობს რეგიონული ტელევიზია, ასეთი ზონა კი მხოლოდ თბილისია, ამიტომ ჩვენ გვაქვს ეჭვი, რომ კვლევა ჩატარდა მხოლოდ თბილისში და არ ჩატარებულა საქართველოს რეგიონებში“, – ამბობს კუპრაშვილი.

კვლევის გამართულობისა და შედეგების სიზუსტის დამტკიცებას კომუნიკაციების კომისიის სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსი, კახი ყურაშვილი კიდევ ერთი, დამოუკიდებელი ორგანიზაციის – TTVMRG-ის მიერ ჩატარებული კვლევის დამონებით შეეცადა.

„კომისიამ „BCG კვლევის“ მიერ შესრულებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები შეადარა მისი ალტერნატიული კვლევითი ორგანიზაციის – TVMRG-ის მიერ ტელეყურების მახასიათებლების საბაზისო კვლევის შედეგებს, რომელიც 2010 წლის ნოემბრით თარიღდებოდა და საჯარო ხელმისაწვდომობით იყო უზრუნველყოფილი. დადგინდა, რომ BCG კვლევის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მონაცემები და TVMRG-ის შედეგები მსგავსი იყო“, – განაცხადა ყურაშვილმა, თუმცა არ დაუკონკრეტებია, როგორ მოიპოვა კომისიამ კვლევა, რომელიც სინამდვილეში მხოლოდ კლიენტებისთვის იყო ხელმისაწვდომი, მათ შორის კი კომუნიკაციების კომისია არ ყოფილა.

კრიტიკისა და უპასუხოვად დარჩენილი კითხვების მიუხედავად, კომუნიკაციების კომისიამ კვლევის შედეგები მაინც მიიღო და გადაწყდა, რომ სწორედ ამ კვლევის მიხედვით უნდა დაადგინოს ორგანიზაციამ მაუწყებლობის პრიორიტეტები.

კითხვაზე – მხოლოდ ამ მონაცემებს დაეყრდნობა კომისია პრიორიტეტების

**2004 წლის ივლისში "ბიზნეს ჯორჯია" (BCG-ის) მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები:**

**გაყურადღებელი უპირატესობას ანიჭებს:**

- საინფორმაციო გადაცემებს - 92%
- მხატვრულ ფილმებს - 85%
- იუმორისტულ-გასართობ გადაცემებს - 83.4%
- მუსიკალურ გადაცემებს - 79.5%
- ტოკ-შოუებს - 71.3%
- შემეცნებით გადაცემებს - 68.9%

**2004-2005 წლისთვის ტელემაუწყებლობის ხილვადობის მიხედვით:**

**სათარო საართო ტელემაუწყებლობისთვის:**

საქართველოს ტერიტორია

- ქართული მხატვრული ფილმები;
- საინფორმაციო გადაცემები;
- გასართობი გადაცემები;
- შემეცნებითი გადაცემები;
- სპორტული გადაცემები;
- მუსიკალური გადაცემები;
- საბავშვო გადაცემები;
- მხატვრული ფილმები.

**სათარო სპაციალიზირებული ტელემაუწყებლობისთვის:**

საქართველოს ტერიტორია

- მხატვრული ფილმების არხი;
- მუსიკალური არხი;
- სპორტული არხი;
- საინფორმაციო არხი;
- იუმორისტულ-გასართობი არხი.



**■ გამოკითხული მოსახლეობა ყველაზე დიდ დანაკლისს მუსიკალური გადაცემების მიმართ განიცდის. 29 პროცენტი მეტ გასართობ ტოკ-შოუს ნახავდა, 20 პროცენტს კი არ აკმაყოფილებს სატელევიზიო სერიალების რაოდენობა, რაც ქართულ ტელეარხებზე დღეს გვაქვს და კიდევ უფრო მეტს ითხოვს.**

განსაზღვრისას, თუ სხვა კვლევებთან შეაჯერებს – კომისიის სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსი, კახი ყურაშვილი კანონის განმარტებით პასუხობს: „კანონის შესაბამისად, კომისია ტელე-რადიო მაუწყებლობის პრიორიტეტებს ამტკიცებს საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით“. ხოლო კითხვაზე პრიორიტეტების თანმიმდევრობა იგივე იქნება თუ არა, როგორც ეს კვლევის შედეგებშია, ანუ მთავარი აქცენტი გასართობ გადაცემებზე გაკეთდება თუ არა, ყურაშვილი პირდაპირ არ პასუხობს და აცხადებს, რომ ამ თემაზე კომისია იმსჯელებს.

სტუდია „მონიტორის“ ჟურნალისტი ნინო ზურიაშვილი, რომელიც მედია ადვოკატირების კოალიციის წევრიცაა, ამბობს, რომ აუცილებელია, კვლევის მონაცემებს ლიცენზიის მაძიებლებისთვის მხოლოდ რეკომენდაციის ხასიათი ჰქონდეს.

„ჩვენ ამ მოთხოვნით მიემართავთ პარლამენტს. მაძიებლებს უნდა მიეცეთ ისეთი ლიცენზია, როგორსაც თვითონ მოითხოვენ. დანარჩენი მისი გადასაწყვეტია – ის ხომ თვითონ გაკოტრდება, თუ არასწორ პრიორიტეტს აირჩევს“, – აცხადებს ზურიაშვილი.

მედია ბაზრის მრავალფეროვნების

გაზრდა – კომუნიკაციების კომისიისგან ამას უკვე არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ითხოვს. საგანგებოდ გავრცელებულ განცხადებაში „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ მოუწოდებს კომისიას, ლიცენზიების გაცემის შემდეგ რაუნდზე პრიორიტეტი ახალი ამბებისა და საგანმანათლებლო გადაცემების მომწოდებელ არხებს მიანიჭოს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ შიშობს, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შესაძლებელია, საზოგადოებრივი კვლევის შედეგები ლიცენზიებზე უარის სათქმელად გამოიყენოს იმ აპლიკანტებისათვის, რომლებიც საინფორმაციო გადაცემების, პოლიტიკური დებატების, საგამოძიებო ფილმების ან სხვა ინფორმაციული და საგანმანათლებლო შინაარსის პროგრამების მაუწყებლობას გადანყვეტენ. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მარეგულირებელი კომისიის საბჭო მომავალი წლების სალიცენზიო პრიორიტეტების განსაზღვრისას მხევდევლობაში მიიღებს საქართველოს სატელევიზიო ბაზრის რეალობას, რომელიც გასართობ პროგრამებს მრავლად გეთავაზობს, მაგრამ ჟურნალისტური კონკურენციის ნაკლებობას განიცდის. ასევე მწირია რეგიონებში მიმდინარე მოვლენების შესახებ რეპორტაჟები“, – ნათქვამია განცხადებაში.

მაუწყებლობის პრიორიტეტების გამოცხადებამდე კომისიამ 10 დღიანი ტაიმ-აუტი აიღო. გადანყვეტილება 18 აპრილის სხდომაზე გახდება ცნობილი. იმავე დღეს გაირკვევა, გაითვალისწინებს თუ არა კომისია ლიცენზიის მაძიებლების, მედიის და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს, თუ პრიორიტეტებს მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის საფუძველზე განსაზღვრავს. გამოდის, რომ სწორედ 18 აპრილს გაირკვევა, თუ რით შეივსება ქართული ტელეარხების ყოველდღიური სამაუწყებლო ბადე – დამატებითი ტელესერიალებითა და მუსიკალური შოუებით, თუ პოლიტიკურ-ანალიტიკური და შემეცნებითი გადაცემებით. **■**



ომბუდსმენის ანგარიში

## ახალი ანბახიში ძველი პრობლემებით

იმ პრობლემების უმეტესობა, რომელიც სახალხო დამცველის წინა წლების ანგარიშებში მოხვდა, დღესაც მოუგვარებელია.

ნინო ბექიშვილი

კანონის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველი წელიწადში ორჯერ პარლამენტში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ დეტალურ ანგარიშს წარადგენს.

წარსულში იყო შემთხვევები, როცა სახალხო დამცველისთვის პარლამენტში არ მოუსმენიათ, დეპუტატებს

პროტესტის ნიშნად დარბაზი დაუტოვევით ან, საერთოდაც, უარი უთქვამთ ომბუდსმენის ანგარიშის განხილვაზე.

გიორგი ტულუშს, რომელიც სახალხო დამცველის მოვალეობის შესრულებას 2010 წლის სექტემბრიდან შეუდგა, პარლამენტის მხრიდან მს-

გავსი პრობლემები არ შექმნია. თუმცა, მიუხედავად ამისა, იმ პრობლემების უმეტესობა, რაზედაც სახალხო დამცველი წინა წლების ანგარიშებში მიუთითებდა, დღესაც მოუგვარებელია.

სახალხო დამცველის ანგარიშის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი



ნაწილი საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ მდგომარეობას ეხება.

სახალხო დამცველის ანგარიში ერთადერთი ქართული ოფიციალური წყაროა, საიდანაც საზოგადოება სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული მდგომარეობის შესახებ იგებს.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში მხოლოდ სახალხო დამცველს აქვს ამ სისტემის მონიტორინგის უფლება.

როგორც ანგარიშიდან ირკვევა, სისტემის რეფორმირებიდან რამდენიმე წლის შემდეგაც, წინასწარი დაკავების იზოლაციორებშიც და სასჯელაღსრულების ადგილებზე კვლავ ხდება პატიმართა წამება; გადატვირთული რჩება ციხეები, რაც პატიმრებისთვის გაუსაძლის პირობებს ქმნის.

სახალხო დამცველი საუბრობს იმაზე, რომ „პატიმრებში გაჩნდა შიშის სინდრომი“, რაც საგრძნობლად უშლის ხელს არასათანადო მოპყრობის ფაქტების აღმოჩენას. ხშირად პატიმრები ჯერ მიმართავენ სახალხო დამცველს საჩივრით, შემდგომ კი საკუთარ ნათქვამს უარყოფენ და ამბობენ, რომ დაზიანებები თავად მიიყენეს ან უბედური შემთხვევის, მაგალითად, ლოგინიდან გადმოვარდნის შედეგად მიიღეს.

2010 წელს საქართველოში პატიმართა სიკვდილიანობის მაჩვენებელმა პიკს მიაღწია და 2009 წელთან შედარებით 56 პროცენტით მოიმატა. 2010 წლის განმავლობაში 142 პატიმარი გარდაიცვალა, მათ შორის 3 ქალია. სიკვდილიანობის მაქსიმალური მაჩვენებელი დაფიქსირდა აგვისტო-სექტემბერში, რაც წინა წლების მონაცემებთან შედარებით უჩვეულოდ მაღალია.

პატიმართა სიკვდილიანობის მთავარი მიზეზი წლებია, ტუბერკულოზის გავრცელებას უკავშირდება, რომლის წილი სიკვდილიანობის სპექტრში 43.66 პროცენტია. მოიმატა ტუბერკულოზის მულტირეზისტენტულმა ფორმებმა. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ არ არის შეფასებული და გაანალიზებული ტუბერკულოზის გავრცელების რისკი.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში მომუშავე სამედიცინო პერსონალი სერიოზულ გადამზადებას საჭიროებს, რადგანაც ხშირ შემთხვევებში აშკარაა მედპერსონალის არაკომპეტენტურო-

ბა ან ამ კომპეტენციის გამოყენების შეუძლებლობა.

სახალხო დამცველი სასჯელაღსრულების სისტემაში წელს გავრცელებულ ერთ ტენდენციაზეც საუბრობს და მას „სიკვდილის ექსპორტს“ უწოდებს. სიკვდილი პენიტენციური სისტემის ფარგლებს გარეთ რომ დადასტურებულიყო, ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფი პატიმრები ქალაქის სხვადასხვა საავადმყოფოებში გადაჰყავდათ. „პაციენტი ისედაც მოკვდებოდა, სადაც არ უნდა ყოფილიყო გადაყვანილი, ხოლო სამედიცინო ხასიათის ღონისძიებები, განსაკუთრებით კი მათი ქალაქის კლინიკებში გადაყვანა ეფექტიანი იქნებოდა დაავადების განვითარების მხოლოდ ადრეულ ეტაპზე, რაც, სამწუხაროდ, საქართველოს პენიტენციური სისტემის რეალობაში შეზღუდული და ხშირად წარმოუდგენელია“.

– აღნიშნავს სახალხო დამცველი.

2009 წლის 21 სექტემბერს ლუდუშაურის სამედიცინო ცენტრში პატიმარი უშანგი გ. გარდაიცვალა. ორი დღით ადრე – 19 სექტემბერს იგი N7 საპყრობილიდან უგონო მდგომარეობაში ჯერ მსჯავრდადებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში, შემდგომ კი ლუდუშაურის კლინიკაში გადაიყვანეს. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, უშანგი გ.-ს სიკვდილის მიზეზი ცემა გახდა. პროკურატურამ გამოძიება დაიწყო, თუმცა, დღემდე არავინაა დასჯილი.

ინსტიტუციაში მყოფი ბავშვების უფლებებს ანგარიშში ცალკე თავი ეთმობა. ბავშვთა სახლების მონიტორინგი სახალხო დამცველმა პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში მოახდინა. მიუხედავად იმისა, რომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტომ“ დაიწყო ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებიდან ბავშვების დეინსტიტუციონალიზაციის აქტიური პროცესი, არსებულ ბავშვთა სახლებში ისევ მრავალი პრობლემაა – ყაზარმული

საძინებლები, სიცივე, არასათანადო კვება, ძალადობა მასწავლებლებისა და აღმზრდელების მხრიდან, ბავშვთა შორის ძალადობა, ბავშვთა შრომის გამოყენება, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების არარსებობა და ა. შ. აღწერილია სხვადასხვა ბავშვთა სახლში მომხდარი ძალადობის ფაქტები, რომლებიც ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ძალადობა აღმზრდელების მხრიდანაც და ბავშვთა შორისაც ინსტიტუციებში საკმაოდ ფსევდადგომული, მთელი სისტემის პრობლემაა. ძალიან ხშირად ბავშვებს არ აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ ადეკვატური სამედიცინო მომსახურება.

სახალხო დამცველის ანგარიშში ცალკე თავი ეთმობა თავისუფალი სასამართლოს უფლებას და აღნიშნულია, რომ ქართულ სასამართლოში დღემდე პრობლემად რჩება სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის საკითხი. ამის გარდა, არ არის უზრუნველყოფილი სისხლისსამართლებრივი კანონიერების პრინციპი, ორჯერ მსჯავრდების აკრძალვა, მოსამართლეთა უცვლელობის პრინციპი და სხვა. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით „კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არ აქვს“ – თუმცა, აღმოჩნდა, რომ ქართული სასამართლო სისტემა დღემდე იყენებს უკანონოდ მოპოვებულ მტკიცებულებებს.

სახალხო დამცველი 2009 წლის ანგარიშში მიუთითებდა „შეკრებებისა და მანიფესტაციების“ შესახებ კანონში არსებულ ხარვეზებზე. 2010 წელს ომბუდსმენმა სადავო ნორმის შესახებ კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. ამ ეტაპზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ გამოუტანია.

სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას მომიტინგენი აქციის მიმდინარეობის დროს. 2010 წლის 4 მაისს ილიას უნივერსიტეტთან, როცა შეკრებულ მოქალაქეებს რელიგიური ექსტრემისტები დაუპირ-

ისპირდნენ, პოლიციამ არაეფექტიანად იმოქმედა და ვერ აღკვეთა ფიზიკური დაპირისპირება.

ანგარიშში მოხვდა 2011 წლის 3 იანვარს ქ.თბილისში, გმირთა მოედანზე, ომში დაღუპულთა მემორიალთან ვეტერანების მიმდინარე აქციის დაშლის ფაქტი, სადაც სამართალდამცავებთან ერთად სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი პირებიც მონაწილეობდნენ. სამართალდამცავებმა ადმინისტრაციული წესით დააკავეს აქციის მონაწილეები, მეორე დღეს მათ თბილისის საქალაქო სასამართლომ 400–400 ლარის ჯარიმა დააკისრა. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებაში არამართლზომიერად ჩაერივნენ.

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვად აფასებს სახალხო დამცველი 2010 წლის 14 აგვისტოს ჯორჯ ბუშისა და ლეხ კაჩინსკის ქუჩების კვეთაზე მომხდარ ინციდენტს, როცა პოეტებს ირაკლი კაკაბაძეს, ალექსანდრე ჩილენაძეს და შოთა დიღმელაშვილს არ მისცეს აქციის ჩატარების უფლება, დააკავეს და ჯარიმაც დააკისრეს. „ტელეკომპანიების, „კავკასიისა“ და „მეგსტროს“ მიერ გავრცელებული ვიდეო მასალიდან ჩანს, რომ ირაკლი კაკაბაძე და მისი თანმხლები პირები ხელს არ უშლიდნენ ტრანსპორტის მოძრაობას. ისინი იდგნენ ე.წ. „უსაფრთხოების კუნძულზე“ და კითხულობდნენ ლექსებს, აღნიშნული ქმედებები არ წარმოადგენს კანონის მოთხოვნათა დარღვევას“, – აღნიშნულია ანგარიშში.

ანგარიშში მოხვდა 2010 წლის 7 ოქტომბერს, ქ. გორში, ტელეკომპანია „თრიალეთის“ გენერალური დირექტორის, ჯონდო ნანეტაშვილის საქმე. მას საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ტარიელ სარაულმა და ილია გავაშელმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

სახალხო დამცველი შეახსენებს ხელისუფლებას, რომ მისი პოზიტიური ვალდებულებაა, ხელი შეუწყოს ყურ-



ნალისტებს პროფესიული ვალდებულებების განხორციელების დროს. ანგარიშში საუბარია იმაზეც, რომ ხშირად ვერც უბრალო მოქალაქეები და ვერც ყურნალისტები სახელმწიფო ორგანოებიდან ვერ იღებენ საჯარო ინფორმაციას – იზღუდება ინფორმაციის თავისუფლება.

რელიგიურ თავისუფლებასთან დაკავშირებული ის საკითხები, რაზედაც სახალხო დამცველი უკანასკნელი წლების ყველა ანგარიშში მიუთითებდა, კვლავ გადაუჭრელია: სამართალდამცველები რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით განხორციელებულ ქმედებებზე არაადეკვატურად რეაგირებენ; მწვავედ დგას რელიგიური





ბავშვთა სახლი, თბილისი 2010

ფოტო: ბარბაქაძე თინათინა

**■ ძალადობა აღმზრდელების მხრიდან და ბავშვთა შორისაც ინსტიტუციებში საკმაოდ ფესვგადგმული, მთელი სისტემის პრობლემაა.** ძალიან ხშირად ბავშვებს არ აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ ადეკვატური სამედიცინო მომსახურება.

უმცირესობებისათვის საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონების რესტიტუციის საკითხი; არ შეცვლილა საგადასახადო რეჟიმი, რომელიც სხვა რელიგიურ გაერთიანებებს უმრავლესობის რელიგიასთან მიმართებით უთანასწორო პირობებში აყენებს; პრობლემად რჩება სასჯელალსრუ-

ლების დანესებულებებში რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი პატიმრებისთვის რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფა და ა. შ.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ 2010 წლის პირველი ნახევარი რელიგიური შეუწყნარებლობის ესკალაციითაც იყო გამორჩეული. ქსენოფო-

ბიური და რასისტული მოწოდებები გაისმოდა როგორც საჯარო შეკრებებისას, ასევე მედიის საშუალებით. გრძელდება იეჰოვას მოწმეების შეურაცხყოფა და დარბევა. მათ რეგიონებში, განსაკუთრებით მძიმე პირობებში უხდებათ ცხოვრება – ემუქრებიან, სცემენ, ართმევენ ლიტერატურას, აიძულებენ შეიცვალონ საცხოვრებელი ადგილი. პოლიცია კი, როგორც წესი, არაადეკვატურად მოქმედებს.

ანგარიშში განხილულია სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დარღვევის ფაქტები, საუბარია იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, დეტალურადაა აღწერილი ის დარღვევები, რასაც ადგილი ჰქონდა დევნილთა გამოსახლებების პროცესში.

2010 წლის ანგარიშში დეტალურადაა განხილული სოციალურ-ეკონომიკური უფლებები: სათანადო საცხოვრებლის, სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობისა და შრომის უფლებები საჯარო სამსახურში. ასევე აღწერილია მომხმარებელთა უფლებები, საკუთრების დარღვევის ფაქტები, ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა უფლებრივი მდგომარეობა, აღწერილია სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ პირთა პრობლემები. ცალკე თავი ეთმობა ბავშვთა მიმართ ძალადობას.

სახალხო დამცველი პრობლემად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ საქართველოს პარლამენტმა დღემდე არ მოახდინა გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება, რაც ხელშესახებად გააუმჯობესებდა ამ პირების უფლებრივი მდგომარეობის საკანონმდებლო ბაზას.

ომბუდსმენის ანგარიშში საინფორმაციო დოკუმენტია. სახალხო დამცველის შენიშვნები მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა. პრობლემათა უმეტესობა, რომელიც გიორგი ტულუშის 2010 წლის ანგარიშში მოხვდა, უკვე წლების მანძილზე გადაუჭრელია სახელმწიფო სტრუქტურების მიერ. **■**





ღმა

# ვინ ახის ბავშვის მამა?

საქართველოში მამობის დადგენის საკითხის განხილვისას დნმ-ის კვლევის შედეგების წარდგენა სავალდებულო არ არის, მაშინ, როცა ის ყველაზე ზუსტი და სანდო გზაა მამობის დასადგენად.

## ნინო ნატროშვილი

25 წლის მაკა ზღვის სანაპიროზე რამდენიმე დღის მშვიერი იპოვეს. წასასვლელი არსად ჰქონდა. ოჯახიდან გამოაგდეს, რადგან ქორწინების გარეშე დაფხმძიმდა. უთხრეს, სანამ მამა შეიღს არ აღიარებს, უკან არ მიგიღებთო. ზურა, მაკას ბავშვის ბიოლოგიური მამა, საჯარო მოხელეა. როცა ქალის ფეხმძიმობის შესახებ შეიტყო, ახლობლებს აუხსნა, რომ მაკა მსუბუქი ყოფაქცევის იყო და მასთან მხოლოდ გასართობად დადიოდა. „მანამდე ცოლად მოყვანას მპირდებოდა, მერე უცებ დაიკარგა, აღარც გამოჩნდა და ტელეფონსაც არ პასუხობდა,“ – ყვება მაკა.

სასონარკვეთილი ქალის შესახებ ინფორმაცია ძალადობისგან დაცვის ეროვნულ ქსელში შევიდა. მოგვიანებით, მაკამ შვილი სწორედ ამ ქსელის მხარდაჭერით გააჩინა.

2007 წელს ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის იურისტმა მანანა ფურცხვანიძემ მამობის აღიარების მოთხოვნით ზურას წინააღმდეგ სარ-

ჩელი შეიტანა. სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებას ის ართულებდა, რომ, მართალია, ზურა მაკასთან ინტიმურ კავშირს არ უარყოფდა, მაგრამ დნმ-ის ანალიზზე სასტიკ უარს ამბობდა. სასამართლოს იძულების ბერკეტი არ აქვს: კანონმდებლობა მამას ტესტის ჩატარებას არ ავალდებულებს.

მაკას ისტორია გამონაკლისი არ არის. ქალის დაუფეგმავი ორსულობა ხშირად ხდება არარეგისტრირებული ურთიერთობების მთავარი პრობლემა. მამაკაცები ქორწინების გარეთ შეძენილი შვილის მამობას გაურბიან, ფეხმძიმე ქალი კი მათთვის ზედმეტი ტვირთი ხდება. ამასთან, გათხოვების გარეშე დაორსულებულ ქალს ხშირად ახლობლებიც ზურგს აქცევენ – მას მეძავს, მის შვილს კი ნაბიჭვარს უწოდებენ. მოკლედ, შვილი არ უნდა არც მამას, არც დედის ოჯახს, არც ნათესავებს. შედეგად კი ქალი, მის მომავალ შვილთან ერთად, უმძიმეს მდგომარეობაში ვარდება.

სამოქალაქო კოდექსი, მამობის დადგენის საკითხის განხილვისას, სასამართლოს ავალდებულებს განიხილოს დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრება, საერთო მეურნეობის წარმოება, ან ბავშვის ერთად აღზრდის ან რჩენის სხვა გარემოებები. საქართველოში არარეგისტრირებული ინტიმური ურთიერთობები, როგორც წესი, დამალულია, ქალები მასზე ღიად საუბარსაც გაურბიან, არანაირი საერთო მეურნეობა ასეთ წყვილებს არ აქვთ, ამიტომ მისი მთავარ მტკიცებულებად წარდგენა თითქმის შეუძლებელია. ამდენად, კანონმდებლობა, რომლითაც ქართული სასამართლო ხელმძღვანელობს, ქალებს, რომლებიც ბავშვს ქორწინების გარეშე აჩენენ, სამართლის პოვნის მინიმალურ შანსს უტოვებს.

დასავლეთის დემოკრატიული ქვეყ-

ტარებელი პოლიმერული მოლეკულაა. ის ადამიანის უჯრედის ბირთვშია მოთავსებული, ბირთვიანი უჯრედი კი შეიცავს გენომს, რომლის შესწავლის შედეგადაც შესაძლებელია ადამიანთა იდენტიფიკაცია. ყველა ადამიანს უნიკალური, განუმეორებელი გენოტიპი აქვს. გამონაკლისი მხოლოდ ერთ კვერცხუჯრედში ჩასახული ტყუპების შემთხვევაა.

გენეტიკური ინფორმაციის კითხვა ადამიანებმა მეოცე საუკუნის ბოლოს ისწავლეს და ეს გენეტიკის დარგში რევოლუციური გადატრიალება იყო. სპეციალისტები ამბობენ, რომ დნმ გამოკვლევის შედეგად მიღებული დასკვნა შეუმცდარია. რამდენიმე მილიონი ანალიზიდან მხოლოდ ერთში შეიძლება, შეცდომა მოხდეს, ანუ ორი სრულიად სხვადასხვა ადამიანის დნმ ერთმანეთს დაემთხვეს.

-ის ანალიზის ჩაბარება 4 ლაბორატორიაშია შესაძლებელი და საკმაოდ ძვირი ღირს. ლიმბახის ლაბორატორიაში, რომელიც ანალიზებს გერმანიაში აგზავნის და პასუხს 3 კვირაში იღებს, ტარიფი 1963 ლარი და 50 თეთრია. „დნმ დიაგნოსტიკაში“ კვლევა 1500 ლარი ღირს, დასკვნა საშუალოდ 1 თვეშია მზად. „ავერსის“ კლინიკაში ანალიზებს დასკვნისთვის გერმანულ-შვეიცარიულ ლაბორატორიაში აგზავნიან, პასუხი 2 კვირაში მიიღება, საფასური კი 2600 ლარია. კლინიკაში ამბობენ, რომ 2009 წლისთვის დნმ-ის ანალიზი მამობის დადგენის თხოვნით ექვსმა ადამიანმა გაიკეთა.

დნმ-ის დადგენა საქართველოშიც შესაძლებელია: ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გენეტიკურ კვლევებს საფუძველი 2006 წლიდან

**■ „იმის გამო, რომ ქალი თავს ვერ იცავს სამართლებრივად, გამოსავალს ვერ პოულობს, სასონარკვეთილებაში ვარდება და აგრესია უჩნდება. დნმ-ის ანალიზის გაკეთება კაცის კეთილ ნებაზე კი არ უნდა იყოს დამოკიდებული, არამედ კანონმა უნდა დაავალდებულოს იგი“.**

ნების პრაქტიკა აბსოლუტურად განსხვავებულია: ევროპული ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობით, მამობის დადგენის საკითხის განხილვა-გადაწყვეტისას, პირველ რიგში, გენეტიკური (დნმ-ის) კვლევის შედეგებს ითვალისწინებენ. თუ მამაკაცი დნმ-ის ანალიზის გაკეთებაზე უარს აცხადებს, ეს მისი მხრიდან ავტომატურად მამობის აღიარებას ნიშნავს. ბავშვი გვარსაც იღებს და ალიმენტსაც. საქართველოში მამობის დადგენის საკითხის განხილვისას კი დნმ-ის კვლევის შედეგების წარდგენის ვალდებულება არ არსებობს, მაშინ, როცა ის ყველაზე ზუსტი, სანდო და, პრაქტიკულად, შეუმცდარი გზაა მამობის დასადგენად.

დნმ გენეტიკური ინფორმაციის მა-

თუმცა ეს, პრაქტიკულად, არ ხდება.

სადავო მამობის შემთხვევაში გამოიკვლევენ სავარაუდო მამისა და ბავშვის დნმ-ის ფრაგმენტებს და მათ ერთმანეთს ადარებენ. ბავშვი თავისი დნმ-ის ნახევარს დედისაგან იღებს, ნახევარს — მამისაგან, რაც იმას ნიშნავს, რომ ბავშვსა და მამას გენების ნახევარი ერთნაირი აქვთ. თუ დედა დანამდვილებით ცნობილია, ანალიზის დროს ხდება დედის ტიპის გამოყოფა და რჩება ის ნახევარი, რომელიც შვილს მამისგან გადაეცემა. თუ მამა-შვილის გენეტიკური ტიპი ერთმანეთს ემთხვევა, ეს ნიშნავს, რომ ბავშვი ამ მამაკაცის ბიოლოგიური შვილია.

სტატისტიკური მონაცემები, თუ ვინ იტარებს დნმ-ის კვლევას, საქართველოში არ არსებობს. თბილისში დნმ-

ჩაეყარა. ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის დნმ ლაბორატორიაში კვლევა რამდენიმე მიმართულებით ტარდება, მათ შორის, მამობის დადგენის მიზნითაც. ბიუროში ამბობენ, რომ 2009-2011 წლებში სულ ამ სახის 76 ექსპერტიზა ჩატარდა. დნმ-ის ანალიზის დაჩქარებული წესით ჩატარება ბიუროში 3200 ლარი ღირს და დასკვნა მზად 5 დღეშია, ჩვეულებრივი წესით პასუხის მიღებას 30 სამუშაო დღე სჭირდება, ფასი 1600 ლარია.

ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის რეგიონული დირექტორი ელისო ამირეჯიბი ამბობს, რომ სიძვირის მიუხედავად, ბევრი ქალი მზადაა, ანალიზისთვის საჭირო თანხა შეურაცხყოფის თავიდან აცილების სანაცვლოდ, თავად გადაიხადოს. „ძალიან ბევრი ქალისთვის დნმ-ის ანალიზი

არის იმედი, რომ მისი ღირსება იქნება აღდგენილი. თუ ქალზე ამბობენ, რომ სანამ დაწვება, შესაძლო დაფხმძიმებაზეც იფიქროს, ზუსტად ისევეა პასუხისმგებელი კაციც. იმის გამო, რომ ქალი თავს ვერ იცავს სამართლებრივად, გამოსავალს ვერ პოულობს, სასონარკვეთილებაში ვარდება და აგრესია უჩნდება. დნმ-ის ანალიზის გაკეთება კაცის კეთილ ნებაზე კი არ უნდა იყოს დამოკიდებული, არამედ კანონმა უნდა დაავალდებულოს იგი“, – ამბობს ელისო ამირეჯიბი.

საქართველოში არ არსებობს სტატისტიკა, თუ რამდენი ქალი ზრდის არარეგისტრირებული ურთიერთობებით გაჩენილ შვილს. ამ კატეგორიის ქალებთან ერთად, მარტოხელა დედად ითვლება ქვრივიც და ქმარს გამოშვებულიც. ამიტომ ზუსტი რაოდენობის დადგენა შეუძლებელია.

ელისო ამირეჯიბი ვარაუდობს, რომ ყველაზე მიახლოებული რიცხვი 2500-დან 3000-მდეა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მონაცემებით, საქართველოში 3000-ზე მეტი ბავშვია რეგისტრირებული მხოლოდ დედის განცხადებით. იმავე კატეგორიაში, სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მონაცემებით, 2434 ბავშვია. მხოლოდ დედის განცხადებით ბავშვის რეგისტრაცია კი უმეტესად მაშინ ხდება, როცა ბიოლოგიური მამა შვილს არ აღიარებს.

ძალადობისგან დაცვის ქსელი მონაცემების დამატებით შესწავლას აგრძელებს. უკვე მზად არის კანონში შესატანი ცვლილებათა პაკეტიც, რომლის მიხედვითაც სამოქალაქო კოდექსს ემატება ნორმა, რომელიც მამობის დადგენის საკითხის განხილ-

ვისას სასამართლოს მიერ დნმ-ის ანალიზის შედეგების გათვალისწინებას დაარეგულირებს.

ძალადობის დაცვის ქსელმა ერთ პატარა წარმატებას უკვე მიაღწია. 2007 წელს მაკას შვილის ბიოლოგიური მამის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი 3 წლიანი გაჭიანურებული დავის შემდეგ გამარჯვებით დასრულდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ზურა დნმ-ის ანალიზს თავს ერთადერთი მოტივით არიდებდა: სურდა, მამობა ოფიციალურად არ დადასტურებულიყო. შედეგად, სასამართლომ ამ უარის საფუძველზე, გადაწყვიტა, რომ ბავშვი ნამდვილად ზურას ეკუთვნოდა და ალიმენტის გადახდაც დააკისრა. გადაწყვეტილება მამამ ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრა, თუმცა უშედეგოდ: უზენაესმა სასამართლომ განაჩენი ძალაში დატოვა. 




საქსი

# V ხობოხს ბამახჯვების სიბზოცო

რა შეუძლია ამ ცისფერ აბს? ის მართლაც სასწაულმოქმედი წამალია, რომელიც მამაკაცებს ყოველგვარ სქესობრივ პრობლემას უგვარებს, თუ მხოლოდ დროებითი გამოსავალი?

## ეკა ჭითანავა

„25 წელია, ცოლ-ქმარი ვართ და სექსში პრობლემა არასდროს გვექონია. მაგრამ ერთხელაც, ზედი-ზედ ორი წარუმატებლობის შემდეგ, ჩემმა მეუღლემ საერთოდ უარი თქვა ჩემთან დანოლაზე. არაფერი აუხსნია, უბრალოდ, გამიბოძა. სახლში მოსული იმ წუთასვე კომპიუტერს მიუჯდებოდა. მაშინაც კი, როცა მარტონი ვრჩებოდი, ნიგნში თავჩარგული იჯდა, ან თავის ქალაღებში იქექებოდა. აღარც ჩემს ახალ კაბაზე ამახვილებდა ყურადღებას და აღარც კომპლიმენტებს მეუბნებოდა. ამ ყველაფერს ძალიან განვიცდიდი. მეგონა, მის ცხოვრებაში სხვა ქალი გაჩნდა. ერთ საღამოსაც, ჩემს დაბადების დღეს, გამომიცხადა, შენთვის საჩუქარი მაქვს და თუ გამომივიდა, ჩვენი ბედნიერების გასაღებს მივაგნებო. აი, სწორედ იმ საღამოს მერე, ისევ შეიცვალა ყველაფერი“, – ყვება 45 წლის თბილისელი დიასახლისი ინგა.



ინგას ბედნიერების გასაღები ის ნა-  
მალია, რომლის რეკლამებიც ხშირად  
ელექტრონული ფოსტის „სპამ საქა-  
ლაღდეს“ გივსებთ, აი, ასეთი სათაუ-  
რებით: „ერექციული დისფუნქცია –  
ეს არის გვამი, რომელსაც კარადის  
სიღრმეში მალავთ, გათავისუფლდით  
მისგან! „ან კიდევ – „ხომ არ გინდათ,  
დაკარგოთ თავმოყვარეობის გრძნობა  
და საქვეყნოდ ცნობილი იმპოტენტი  
გახდეთ?“ შემდეგ მთავარია, ცნობის-  
მოყვარეობამ არ გძლიოთ და ფაილი  
არ გახსნათ, თორემ შეიძლება, თქვე-  
ნი კომპიუტერი ფაილში დამალულმა  
ვირუსმა სამუდამოდ დააზიანოს.

თუმცა, ამ დავირუსებული ფაი-  
ლისგან განსხვავებით, თვითონ ნა-  
მალი მართლაც სასწაულებს სჩადის.  
„ჯადოსნური აბი“, რომელმაც ინგასა  
და მისი მეუღლის სექსუალური ცხო-  
ვრება ძველ რიტმს დაუბრუნა, ვია-  
გრაა, ქიმიური სახელწოდებით სილ-  
დენაფილი.

ცისფერი აბები, რომლებსაც ხში-  
რად ცისფერ ბრილიანტს ან ვიტამინ  
V-საც უწოდებენ (V – სავარაუდოდ,  
როგორც გამარჯვების სიმბოლო)  
უკვე 13 წელია, მილიონობით მა-  
მაკაცს ერექციული დისფუნქციის  
დაძლევაში ეხმარება. მხოლოდ 2010  
წელს თერთმეტი თვის განმავლობაში  
ამერიკამ 709 მილიონი დოლარის ღირ-  
ებულების პრეპარატი ექსპორტზე  
96 ქვეყანაში გაიტანა.

თუმცა, მედიკამენტი, რომელმაც  
მრავალ მამაკაცს დაუბრუნა ღირსე-  
ბის განცდა, კომპანია „პფაიზერის“  
(Pfizer) ფარმაკოლოგებმა თავდაპირ-  
ველად სულ სხვა დანიშნულებით  
შექმნეს. სილდენაფილს, მათი გათვ-  
ლებით, სტენოკარდია, ანუ გულის  
ანგინა უნდა განეკურნა, არადა, ნა-  
მლის გამოცდა არცთუ წარმატებუ-  
ლად მიმდინარეობდა. ის იყო, ცდები  
უნდა შეენწყვიტათ კიდევ, რომ ექს-  
პერიმენტში მონაწილე მამაკაცებმა  
საკუთარ თავს ერთი უცნაური გვერ-  
დითი მოვლენა შენიშნეს – წამლის  
გავლენით ისინი მრავალჯერად ერე-  
ქციას განიცდიდნენ.

ამ აღმოჩენის შემდეგ სილდენაფილ-

ზე ცდებს მიმართულება შეუცვალეს.  
კომპანიის უფროსმა ფარმაკოლოგმა  
კრის ვაიმანმა განახლებულ ექსპერი-  
მენტს სიმბოლურად „კაცი“ დაარქვა  
და ლაბორატორიაში განმარტოვდა.  
ინერტული ხსნარით სავსე სინჯარე-  
ბში ერექციული დისფუნქციის მქონე  
მამაკაცის სასქესო ორგანოდან აღე-  
ბული ქსოვილი მოათავსა. თითოეუ-  
ლი ქსოვილი ისე იყო მიერთებული  
ელექტრო მოწყობილობასთან, რომ  
ჩამრთველზე თითის დაჭერისას იგი  
ელექტრულ მუხტს მთელ ქსოვილში  
უშვებდა. როცა ვაიმანმა ძაბვა პირ-  
ველად გამოიყენა, სისხლძარღვებს  
არაფერი დამართნია. მაგრამ როცა  
მან ამ „აბაზანაში“ ვიაგრა დაამა-  
ტა, ხსნარში ჩადგებული ქსოვილის  
სისხლძარღვები გაფართოვდნენ.  
ზუსტად ასე ხდება ხოლმე ერექციის  
წინ.

საბოლოოდ, წამალი, რომელიც  
ერექციულ დისფუნქციას კურნავდა,  
1996 წელს დააპატენტეს. ვიაგრა  
გახდა მამაკაცთა ამ მნიშვნელოვან  
პრობლემაზე მიმართული პირველი  
მედიკამენტი, რომლის მიღებაც ორა-  
ლური გზით შეიძლებოდა – მანამდე  
მსგავსი პრობლემების მქონე მამაკა-  
ცებს სასქესო ორგანოში ინექციით  
ანდა იმპლანტის ჩანერგვით თუ შვე-  
ლოდნენ.

იმ დღეს, როცა ვიაგრა პირველად  
გაიყიდა, ნიუ პორტ რიჩის უროლო-  
გის ცენტრში სექსოლოგების კაბი-  
ნეტებთან პაციენტების რიგი დადგა.  
ნაწილს არ გაუმართლა – ერთთვიან  
რიგში მოუწიათ ჩადგომა. ამიტომ  
მათ სხვა მეთოდებს მიმართეს. ექი-  
მთან ჩასაწერად ისეთ სიმპტომებს  
ასახელებდნენ, რომლებიც სასწრაფო  
ყურადღებას საჭიროებს – ამბობდ-  
ნენ, შარდში სისხლი შევნიშნეთ ან  
თირკმელთან ტკივილს ვგრძნობთო,  
ექიმის კაბინეტში შეღწევის შემდეგ  
კი ერთადერთ კითხვას სვამდნენ –  
ის, რასაც ვიაგრაზე ამბობენ, მარ-  
თალია? „საოცარია, ზოგიერთი მათ-  
განს მთელი სამი წელი არ განეცადა  
ერექცია, ახლა კი სამ დღესაც ვეღარ  
ითმენდნენ“, – ამბობდა დოქტორ რა-

სიალისი



2003 წელს გამოჩნდა სიალისის სა-  
ხელით ცნობილი ტადალაფილი –  
იგივე ყავისფერი აბები. მისი წინა-  
მორბედებისგან განსხვავებით, სია-  
ლისი ეფექტურობას 36 საათის გან-  
მავლობაში ინარჩუნებს, რის გამოც  
მას „უიკენდის“ აბს უწოდებენ. გარ-  
და ამისა, მას ექიმის დანიშნულებით  
არა ერთჯერადად, არამედ ყოველ-  
დღიური დოზირებით ნიშნავენ.

ცეპისხა

ვიაგრა დღეს არაა ერთადერთი პრე-  
პარატი, რომელიც იმპოტენციას  
კურნავს. ვიაგრას კონკურენტებიც  
მალე გამოუჩნდა, 2003 წელს გამო-  
ვიდა ლევიტრას სახელით ცნობილი  
კრემისფერი აბები, ვარდენაფილი.  
იგი ისევე მოქმედებს, როგორც  
ვიაგრა, ადუნებს კუნთებს და ზრ-  
დის სასქესო ორგანოსკენ სისხლის  
მიწოდებას. ლევიტრასაც რამდენი-  
მე წუთიდან რამდენიმე საათამდე  
სჭირდება მოქმედებისთვის და გა-  
რანტირებული შედეგის ალბათობა  
70%-ია. აქვს უკუჩვენებებიც – თა-  
ვისა და მუცლის ტკივილი. თუმცა,  
ლევიტრას ვიაგრასთან შედარებით  
ერთი უპირატესობა აქვს, ვიაგრას-  
გან განსხვავებით, მისი მიღება მა-  
ძლარ კუჭზეც შეიძლება, მაშინ როცა  
ვიაგრას მიღებისას კუჭი ცარიელი  
უნდა იყოს. ამიტომ, ის, ვინც სექსს  
გემრიელი ვახშმის შემდეგ გეგმავს,  
ლევიტრას დალევას ურჩევენ.

მონ პერესი ჟურნალ „ტაიმთან“ ინტერვიუში 1998 წელს.

უკვე რამდენიმე თვის შემდეგ ექიმებს დღეში ათი ათასამდე რეცეპტის გამოწერა უწევდათ. გაყიდვის ამ რეკორდული მაჩვენებლით ვიაგრამ გაუსწრო 90-იანების ამერიკაში ყველაზე გაყიდვად ანტიდეპრესანტ „პროზაკსა“ და გამელოტების სამკურნალო საშუალება „როგეინსაც“ კი.

„რა ღირს თქვენთან ვიაგრა?“ – ვეკითხებით თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, ერთ-ერთ აფთიაქში გამყიდველს. დახლთან მდგომი ფარმაცევტი გოგონები ერთმანეთს უხერხულად უყურებენ და მორცხვად ეცინებათ. „რას კითხულობს?“ – ეკითხება ერთი მეორეს. „ვიაგრაო“, – პასუხობს გოგონა და ისევ იღიმება.

50 მგ აბი ვიაგრა თბილისში 15 ლარი ღირს, 100 მილიგრამიანი კი – 20 ლარი. გამყიდველები ამბობენ, რომ ვიაგრას თვეში დაახლოებით 20 ადამიანი ყიდულობს. „ხშირად უცხოელებიც შემოდიან ხოლმე“, – ამბობს გამყიდველი ნინა.

ფარმაცევტები ამბობენ, რომ აფთიაქში შესვლისას მყიდველები არც რჩევებს ეკითხებიან გამყიდველებს და არც უკუჩვენებებზე ინფორმაცია აინტერესებთ. „შემოდიან და ყიდულობენ, ზედმეტი კითხვების გარეშე“, – გვეუბნებიან მეორე აფთიაქშიც.

ასე იქცევა 52 წლის თბილისელიც, პროფესიით ინჟინერი გიორგი. უკვე ორი წელია, მას ვიაგრა ჯიბეში სულ უდევს – ყოველი შემთხვევისთვის, რადგან ფიქრობს, რომ სექსუალურად მრავალფეროვანი ცხოვრება სიბერემდე აუცილებელია, ვიაგრა კი – „ხარისხიანი“ სექსის გარანტი: „პირველად ხუთი წლის წინ დავლიე – უბრალოდ, ექსპერიმენტი ჩავატარე, თორემ ერექციის პრობლემა არ მანუხებდა. მაშინდელი ეფექტი ორი სიტყვით შემიძლია აღვწერო – დიდი არაფერი, უფრო სწორად ისეთი არაფერი, რასაც ბუნებრივად ვერ მივალწევდი. ორი წლის წინ კი უცბად დამიქვეითდა პოტენცია. ამიტომ

ახლა ვიაგრას თვეში რამდენჯერმეც ვსვამ. როცა გადაღლილი ვარ, თავს აუცილებლად ვიზღვევ. რა იცი, რა ხდება, არ მინდა ჩემი ქალბატონი გავანბილო“, – ჰყვება გიორგი.

როგორც სექსოლოგი პაატა სოფრომაძე ამბობს, საქართველოში ვიაგრა 90-იანი წლების ბოლოს შემოვიდა. „იმის გამო, რომ წამალი ურეცეპტოდ უნდა გაყიდულიყო, იგი თავიდან „ერის დალუპვადაც“ კი მო-

ნათლეს, მონინალმდეგეების მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ ჩვენთან სექსუალური კულტურის ნაკლებობა და ახალგაზრდასაც და ხნიერსაც ექიმის დანიშნულების გარეშე წამლის ზედმეტი დოზის მიღება შეეძლო“, – აღნიშნავს სოფრომაძე. თუმცა, მას შემდეგ ვიაგრასადმი დამოკიდებულება შეიცვალა.

ოფიციალური სტატისტიკით, ჩვენთან მამაკაცთა 25 პროცენტს ანუხებს

■ „ორი წლის წინ უცბად დამიქვეითდა პოტენცია. ამიტომ ახლა ვიაგრას თვეში რამდენჯერმეც ვსვამ. როცა გადაღლილი ვარ, თავს აუცილებლად ვიზღვევ. რა იცი, რა ხდება, არ მინდა ჩემი ქალბატონი გავანბილო“, – ჰყვება გიორგი.





სხვადასხვა სახის ერექციული დარღვევა. ქართველი ექიმი-სექსოლოგები ამბობენ, რომ პაციენტები ამ პრობლემით მათ ხშირად აკითხავენ და ვიაგრას, როგორც ალტერნატივას, ზოგჯერ ექიმებს თავად სთავაზობენ.

მაინც რას აკეთებს ეს ცისფერი აბი? ის სასწაულმოქმედი წამალია, რომელიც ყველა სექსუალურ პრობლემას უგვარებს მამაკაცებს, თუ მხოლოდ დროებითი გამოსავალი?

ექიმი-სექსოლოგები ამბობენ, რომ ვიაგრა მამაკაცს საშუალებას აძლევს კონკრეტული დროის მონაკვეთში მაქსიმალურად გამოიყენოს მთელი თავისი რესურსი. ეს წამალი ადუნებს ასოს მღვიმოვანი ქსოვილის გლუვ კუნთებს და ზრდის სასქესო ორგანოსკენ მიწოდებული სისხლის ნაკადს. მაგრამ თუ სხვა სტიმულატორებიც არ უწყობს ხელს, მაგალითად ალგზნება, მხოლოდ ვიაგრა ვერაფერს იზამს.

„იმის გამო, რომ ვიაგრა ერთჯერად ერექციას იწვევს, ბევრი მას სერიოზულად არ უდგება და ამბობს, რომ ეს არაა სამკურნალო საშუალება, მაგრამ საბოლოოდ, ვიაგრას სამკურნალო ეფექტი მაინც აქვს, რადგან იგი ორგანიზმში გარკვეული ტიპის ცვლილებებს იწვევს, არეგულირებს ნეიროტრანსმიტერების, კერძოდ, აზოტის ჟანგის ჭარბად გამოყოფას, რაც გლუვ კუნთებს ადუნებს და სასქესო ორგანოსკენ სისხლის მიწოდება იზრდება. ამ ფონზე პაციენტები თავს უკეთ გრძნობენ“, – ამბობს ექიმი-სექსოლოგი გიორგი ბეროშვილი.

თუმცა, მხოლოდ ამ მიზეზით, ვიაგრას ქალსა და კაცს შორის ურთიერთობის მხსნელის როლს მაინც ვერ დავაკისრებთ. ჰარვარდის სამედიცინო სკოლის პროფესორი, აბრაამ მორგენტალერი თავის წიგნში „ვიაგრას მითი“ წერს, რომ დასავლურმა კულტურამ ვიაგრასგან ლეგენდა შექმნა, რომლის მიხედვითაც ცისფერი აბს ყველა პრობლემის გადაჭრა შეუძლია – სურვილის ნაკლებობასაც შველის, ინტიმურობის შიშსაც და ინტერესის გაქრობასაც კი. მორგენტა-

ლერი თავის წიგნში სწორედ ამ მითის დამსხვრევას ცდილობს:

„ერთხელ ჩემთან მოვიდა 55 წლის ჯონი, რომელიც მეუღლესთან ოცწლიანი თანაცხოვრების შემდეგ, ბოლო ორ წელს ერექციულ დისფუნქციას უჩიოდა. ძალიან მთხოვა, ვიაგრა გამომეწერა. მეორედ კონსულტაციაზე მოსულს ვკითხე, აბა ჯონ, როგორ მოქმედებს ვიაგრა? მიპასუხა, მშვენიერია, მაგრამ აღარ ვიყენებ. რატომ? მე და ჩემმა ცოლმა გადავწყვიტეთ დავშორდეთ, არაჩვეულებრივმა სექსმაც კი ჩვენი ურთიერთობა ვერ გადაარჩინა“.

თუმცა, „არაჩვეულებრივი სექსი“ – ეს ისაა, რასაც მამაკაცები ღრმა სიბერემდე ეძებენ. „ყველამ იცის, რომ ახალგაზრდა მამაკაცები გამუდმებით სექსზე ფიქრობენ, თუმცა ირკვევა,



რომ არამარტო ახალგაზრდობაში, ისინი ამაზე სიკვდილამდე ფიქრობენ“, – ამბობენ ექიმები და კვლევებს იმველიებენ: *British Medical Journal*-ში გამოქვეყნებული ბოლო კვლევის მიხედვით, 75-დან 85 ასაკამდე მამაკაცების მესამედმა თქვა, რომ სექსი ბოლო თორმეტი თვის განმავლობაში ჰქონდა, როცა გამოკითხული ქალებიდან ეს მხოლოდ 17-მა პროცენტმა დაადასტურა.

ერთადერთი, რაც მამაკაცებს ღრმა სიბერემდე სექსით ტკობაში უშლის ხელს, სწორედ ერექციული პრობლემებია, რამაც ასაკი არ იცის. ამიტომ თბილისის აფთიაქებსაც ვიაგრას ძიე-

ბაში მამაკაცები ხშირად აკითხავენ.

საქართველოში, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, სექსუალური დარღვევების 70 პროცენტი სისხლძარღვოვანი დაავადებებით, მათ შორის პირველ რიგში ათეროსკლეროზით, ნევროლოგიური, ენდოკრინული პრობლემებით და დიაბეტითაა გამოწვეული.

ეს ორგანული დარღვევები კი უფრო ხშირად უფროსი ასაკის მამაკაცებში გვხვდება, ახალგაზრდებს კი სრულფასოვან სექსობრივ ცხოვრებაში ხშირად ფსიქოგენური ფაქტორები უშლით ხელს: სექსობრივი მარცხის შიში, კომპლექსები და გამოუცდლობა.

ამიტომ, ექიმ-სექსოლოგების თქმით, თითოეულმა მამაკაცმა, რომელიც ვიაგრას მოხმარებას გადაწყვეტს, სჯობს, აფთიაქში პირდაპირ მისვლამდე, ჯერ ექიმთან გაიაროს კონსულტაცია, დარღვევის მიზეზი დაადგინოს და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართოს სასწაულმოქმედ პრეპარატს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან ვიაგრა დღემდე ურეცეპტოდ იყიდება. ქართველი სექსოლოგები ამბობენ, რომ ეს ზედმეტ თავსატეხს ექიმებსაც უჩენს, რადგან დიდი მნიშვნელობა აქვს პაციენტის ასაკსა და ჯანმრთელობის მდგომარეობას. მაგალითად, ვიაგრას უნდა ერიდონ მამაკაცები, რომელთაც დაბალწევრიანობა აწუხებთ. ამ წამლის მიღება არც ნიტროგლიცერინის შემცველ მედიკამენტებთან ერთადაა კარგი, რადგან ამ დროს ვიაგრა არტერიულ წნევას დაბლა სწევს და შეიძლება, გულის შეტევაც კი გამოიწვიოს.

დღეს, ვიაგრას შექმნიდან 15 წლის თავზე, ის უკვე აღარაა ერთადერთი ორალური საშუალება ერექციული დარღვევების სამკურნალოდ. თუმცა, ვიაგრა მაინც რჩება ყველაზე ცნობად მედიკამენტად, რომელიც ბევრ, სხვადასხვა ასაკის მამაკაცს, მთელი მსოფლიოს გარშემო, ყველაზე საჭირო მომენტში თავმოყვარეობის შელაზვისგან იცავს და „ხარისხიანი სექსის“ გარანტიას აძლევს. ■

ბრიტანეთის სამეფო ოჯახი

# მზადება საუხუნის ქოხნიცისთვის

1900 სტუმარი, 600 საპატიო სტუმარი და 300 ძალიან საპატიო სტუმარი – პრინცის ქორწილის ყველა დეტალი უკვე ზედმინევნიტ დაგეგმილია.

---

თამარ ალავეძე



პრინც ვილიამი და ქეთი მიდლტონი

ღია ყავისფერ კონვერტში მოთავსებული მოსაწვევით, რომლის მიღების პატივი 1900 ადამიანს ხვდა წილად, დედოფლის სახელით ლორდი ჩამბერლენი სტუმრებს ლონდონის ვესტმინსტერის სააბატოში მისი სამეფო უდიდებულესობა პრინცი უილიამის და მის ქეთრინ მიდლტონის ქორწილში ეპატივება.

პარასკევს, 29 აპრილს, 11.00 საათზე უცხო ქვეყნის მეთაურები, სამეფო ოჯახები, მაღალი რანგის პოლიტიკოსები, ნათესავები, მეგობრები და ცნობილი სახეები (ამ უკანასკნელ კატეგორიაში სერ ელტონ ჯონი, ბექქემების ოჯახი და მომღერალი ქენი ვესტი მოხვდნენ) საუკუნის ყველაზე დიდი ქორწილის მომსწრენი გახდებიან.

საპატიო სიის მიღმა დარჩნენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა და მსოფლიოს არაერთი სხვა ლიდერი. სამეფო ოჯახის განმარტებით, უილიამის ქორწილი პოლიტიკური მოვლენა არ არის და ლონისძიებაში მხოლოდ ოჯახის ახლობლები მონაწილეობენ. თუმცა, მონვეულთა სიაში ვერ მოხვდა პრინცესა დიანას ახლო მეგობარი — იორკის გრაფინია სარა ფერგიუსონი.

უილიამის მეჯვარე მისი ძმა ჰარი იქნება, მის მიდლტონის გვერდით კი ვესტმინსტერის სააბატოში ქორწინებისას მისი უმცროსი და პიპა მიდლტონი იდგება.

ცერემონიის შემდეგ 600 საპატიო სტუმარს დედოფალი ბუკინგემის სასახლეში სადღესასწაულო სადილით გაუმასპინძლდება, ხოლო დღის დასასრულს კი კიდევ უფრო ვიწრო წრისათვის – 300 უახლოესი მეგობრისათვის გაიმართება ვახშამი.

მის მიდლტონის საშუალო კლასის, მაგრამ მატერიალური დოვლათით უზრუნველყოფილი წარმომავლობა ძალიან განსხვავდება იმ ვეროპული ელიტურ-არისტოკრატიული წრეებისაგან, რომელთა შემადგენლობიდანაც, როგორც წესი, სამეფო პრინციებისათვის პოტენციურ საცოლეებს არჩევენ.

1982 წლის 9 იანვარს დაბადებული ქეთრინ ელისაბედ მიდლტონი ბიზნეს-

მენ მაიკლ მიდლტონისა და ყოფილი ბორტგამცილებლის ქეროლ მიდლტონის უფროსი შვილია. მილიონრების ოჯახი თანამედროვე, ხუთსაძინებლიან სახლში ცხოვრობს ბერკშირში და ლონისძიებებისათვის საჭირო ატრიბუტების ბიზნესს ფლობს.

13 წლის ასაკიდან ქეთი უილშირში, მარლბოროს კოლეჯში სწავლობდა. მის მიდლტონი წარჩინებული მოსწავლე იყო. კოლეჯის დასრულებიდან ერთწლიანი პაუზის შემდეგ, მის მიდლტონმა ნმ.ენდრიუს უნივერსიტეტში ჩააბარა ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე, სადაც გაიცნო კიდევ

**■ 2007 წელს უილიამი და ქეთი გაურკვეველი მიზეზების გამო დაშორდნენ ერთმანეთს, თუმცა ამ განშორებამ მხოლოდ რამდენიმე თვეს გასტანა – ურთიერთობა მალევე აღდგა და მას მერე ქეთი უკვე ხშირად ჩნდებოდა სამეფო კარის სხვადასხვა ლონისძიებაზე.**

პრინცი უილიამი.

სწორედ აქედან დაიწყო წყვილის ურთიერთობა, რომელიც წლების მანძილზე მედიისა და პაპარაცების ინტენსიური გაშუქების ობიექტი იყო. 2007 წელს უილიამი და ქეთი გაურკვეველი მიზეზების გამო დაშორდნენ ერთმანეთს, თუმცა ამ განშორებამ მხოლოდ რამდენიმე თვეს გასტანა – ურთიერთობა მალევე აღდგა და მას მერე ქეთი უკვე ხშირად ჩნდებოდა სამეფო კარის სხვადასხვა ლონისძიებაზე.

გასული წლის ნოემბერში, როდესაც წყვილი კენიაში იმყოფებოდა, უილიამმა ხელი სთხოვა ქეთის და მოგზაურობიდან ლონდონში დაბრუნებული

მის მიდლტონის მარცხენა ხელს უკვე პრინცესა დიანას ნიშნობის ზურმუხტითა და ბრილიანტის ათი თვლით მორთული ულამაზესი ბეჭედი ამშვენებდა.

მომავალი პრინცესა სახასიათო ჩაცმის სტილით გამოირჩევა: უყვარს მოდური სამოსი, მაგრამ სტატუსის გათვალისწინებით, ბოლო დროს უპირატესობას კლასიკურ და თავშეკავებულ სამოსს ანიჭებს.

მის სახელს უკავშირდება აქამდე ნაკლებად ცნობილი ბრაზილიური წამომავლობის ბრიტანული ბრენდი „Issa“. ლურჯი კაბა, რომელიც ქეთის ნიშნობის საჯაროდ გამოცხადების ლონისძიებაზე ეცვა, რამდენიმე საათში ბესტსელერი გახდა და დღემდე ყველაზე მოთხოვნილი პროდუქტია „Issa“-ს არსებობის ისტორიაში. ასეთივე თარგის, იმავე დიზაინერის კაბა მის მიდლტონს რამდენიმე აქვს – სხვადასხვა ფერის და ქსოვილის.

როგორც ცნობილია, დიდი ბრიტანეთის მომავალი პრინცესა ძვირადღირებული სამოსისა და აქსესუარებისადმი ლტოლვით არ გამოირჩევა. მას საშუალო კატეგორიის ბრენდები მოსწონს, როგორცაა Whistles, Reiss და Topshop.

დღემდე გასაიდუმლოებულია ქეთის ყველაზე მნიშვნელოვანი კაბის – საქორწინო ჩაცმულობის ავტორის ვინაობა. ვის ხვდება წილად ბრიტანეთის პრინცესას შემოსვის პატივი – Stella McCartney-ს, Alexander McQueen-ს, თუ კვლავ Issa-ს?

ბრიტანული და საერთაშორისო მედია დეტალურად აშუქებს სამეფო ქორწილის მზადებას. ზღაპრული ლონისძიების მომლოდინე ასობით მილიონმა ადამიანმა უკვე იცის, რომელი ცივი და ცხელი კანაპეებისაგან შედგება საქორწინო მენიუ, ვინ გამოაცხობს ტრადიციულ, ბრიტანულ ხილის ტორტს, როგორი იქნება „როლის როისი“, რომლითაც მის მიდლტონი საქორწილო ცერემონიაზე გაემგზავრება და ღია ეტლი, რომლითაც ახლად დაქორწინებული წყვილი მცირე გასეირნებას მოაწყობს ლონდონის ქუჩებში. **■**

# ჩეხეთის პარტიების სხვაობა



მარკ მალენი

საარჩევნო კოდექსზე დღემდე ბევრს ლაპარაკობენ. მოგახსენებთ, თუ რა უნდა გავითვალისწინოთ ყველაზე მეტად.

1999 წელს „მოქალაქეთა კავშირმა“ შალვა ნათელაშვილის „ლეიბორისტები“ საარჩევნო ბარიერის მიღმა დატოვა და პარლამენტში არ შეუშვა. ეს მცდარი გადაწყვეტილება იყო. საკმაოდ ძლიერი სახალხო მხარდაჭერის მქონე პარტიის პარლამენტის გარეთ დატოვება საქართველოს კარგს არაფერს მოუტანს.

ზუსტი ციფრები არ ვიცი, მაგრამ მოდი, დავუშვათ, რომ მმართველ პარტიას საქართველოს მოსახლეობის ნახევარი უჭერს მხარს. ამ დისკუსიების მიზანია, რომ პარლამენტში არჩეული მმართველი პარტიის დეპუტატების რიცხვი პროპორციულად გაუთანაბროს ხელისუფლების მხარდაჭერის დონეს. სხვანაირად რომ ვთქვათ, მთავრობის მონინალმდეგების ხმა პროპორციულად უნდა აისახოს პარლამენტში.

საქართველოში გარკვეული პარტიის წინააღმდეგ ხმის მიცემა მნიშვნელოვანია, რადგან აქ ამომრჩევლებს ხმის მხოლოდ ერთხელ მიცემის უფლება აქვთ და მათ არ სურთ, ეს ხმა გაფლანგონ. ასეთ სისტემაში, პირველი გადაწყვეტილება, რომელსაც ამომრჩეველი იღებს, არის მთავრობის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ. თუ წინააღმდეგ აძლევ ხმას, მაშინ ორ რამეზე უნდა დაფიქრდე: ვის გინდა, სანაცვლოდ ხმა მისცე და შენი აზრით, ვინ მოიგებს. ეს ორი რამ შეიძლება, ერთმანეთს არ ემთხვეოდეს. როგორც წესი (თუმცა



ყოველთვის არა), თუ ვინმე ხმას აძლევს ოპოზიციურ პარტიას და ეს პარტია ვერ იმარჯვებს, მას სურს, სხვა ოპოზიციურ პარტიას მისცეს ხმა. ამიტომ, სრულიად ლოგიკურია, მხედველობაში მივიღოთ მთავრობის მხარდამჭერთა და მონინალმდეგეთა რიცხვი და არა ის, თუ თითოეულ პარტიას რამდენმა პროცენტმა მისცა ხმა.

მთავარია, განვიხილოთ, თუ რამდენად შეესაბამება ხმების ის პროცენტული მაჩვენებელი, რომელსაც მმართველი პარტია იღებს პარლამენტში

მის მიერ დაკავებულ ადგილებს. 2008 წელს მათ მიიღეს ხმების 58 %, მაგრამ პარლამენტის ადგილების 78% დაიკავეს. ამის მიზეზი ისაა, რომ 75-დან 71 მაჟორიტარი მთავრობის კანდიდატი იყო. ასევე, მთავრობის მონინალმდეგეთა მხოლოდ 34 %-მა მისცა ისეთ პარტიებს ხმა, რომლებმაც 5%-იანი საარჩევნო ბარიერი გადალახეს. აქედან გამომდინარე, სხვაობა ხელისუფლების წინააღმდეგ მიცემულ ხმებსა და ოპოზიციონერების მიერ პარლამენტში დაკავებულ ადგილებს შორის 20 %-ია.

ამას დავარქვით რეპრეზენტაციული სხვაობა.

მიუხედავად იმისა, რომ წინა არჩევნებზე აშკარა დარღვევები და გადაცდომები დაფიქსირდა, ხელისუფლება დაგვიპირდა, რომ მომდევნო არჩევნები საუკეთესო იქნება. ჩავთვალთ, რომ საარჩევნო კანონის ყველა ეს, საკმაოდ მრავალრიცხოვანი პრობლემა გამოსწორდება და შედეგი ზუსტად ასახავს ამომრჩევლების პრეფერენციებს. თუ მოსახლეობის 59 % ხმას მისცემს მმართველ პარტიას, ეს უკანასკნელი მიიღებს საკონსტიტუციო უმრავლესობას და თეორიულად და პრაქტიკულად შეძლებს პარლამენტში ნებისმიერი ოპოზიციური აზრის უგულვებლყოფას. ეს კი პრობლემებს შექმნის, თან იმაზე მეტს, ვიდრე გვგონია.

პარლამენტმა ძალიან საშიში გადაწყვეტილება მიიღო და მაჟორიტარებს 30 %-იანი საარჩევნო ბარიერი დაუწესა. რეალისტურად რომ მივუდგეთ, თითქმის ყველა საარჩევნო ოლქში, მხოლოდ მთავრობის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატები მიიღებენ ხმების 31 %-ს. ხმების 69 % კი სხვა კანდიდატებზე განიხილება. თუ, ვთქვათ, მმართველი პარტია მიიღებს ხმების 30 %-ს ორივე – მაჟორიტარულ და პროპორციულ – არჩევნებში, და თუ ოპოზიციური პარტიების 60% საარჩევნო ბარიერს გადალახავს, ოპოზიცია მაინც მიიღებს საპარლამენტო ადგილების 30 %-ს და მმართველი პარტია (რომელმაც ხმების 30 % მიიღო) – ადგილების 70 %-ს. კი გიგანტური რეპრეზენტაციული სხვაობაა. დღევანდელი სისტემის ფარგლებში, ასეთი რამ სასუსებით შესაძლებელია.

მიმდინარე დისკუსიაში მთავარი აქცენტი უნდა გავაკეთოთ რეპრეზენტაციული სხვაობის შემცირებაზე. რამდენიმე გამოსავალი გვაქვს: პირველი: შეგვიძლია, მაჟორიტარების რიცხვი 50-მდე შევამციროთ და ახლანდელზე უფრო მეტად სამართლიანი 50 %-იანი საარჩევნო ბარიერი დავაბრუნოთ. ასევე, შეგვიძლია მაჟორიტარების რიცხვი აღვიქვათ, როგორც მთლიანი საპარლამენტო ადგილების გარკვეული პროცენტი და თუ პარტია მიიღებს ბევრ მაჟორიტარულ ადგილს, მის მიერ მოპოვებული პროპორციული ადგილების რიცხვიც შესაბამისად შემცირდება. ეს კარგი რეკომენდაციებია, უფრო მეტად სამართლიანი, ვიდრე ახლანდელი ან ის სისტემა, რომელსაც მმართველი პარტია გვთავაზობს. იმისთვის, რომ საქართველო იყოს დემოკრატიული, ოპოზიციის პარლამენტში ყოფნა გვჭირდება. გამართული საარჩევნო კანონი ოპოზიციურ პარტიებს პარლამენტში მოხვედრის უნარსა და ინიციატივას მისცემს. **■**



ილუსტრაცია სურთ კრუთან / შივაში

**■ შესაძლოა გაცილებით უფრო სერიოზული პრობლემები შეიქმნას, ვიდრე გვგონია.**

პარლამენტმა ძალიან საშიში გადანყვეტილება მიიღო და მაჟორიტარებს 30 %-იანი საარჩევნო ბარიერი დაუწესა.



**სპეციალური შეთავაზება**



გამოიწერეთ **„ფურნალი“** ჟურნალი „ლიბერალი“ თითქმის ნახევარ ფასად!

**წლიური ხელმოწერა ახლოვდა 55 ლარი!**

ისარგებლეთ სპეციალური შეთავაზებით, გამოიწერეთ **„ფურნალი“** ჟურნალი „ლიბერალი“ და მიიღეთ თქვენი **„ფურნალი“** ყოველ ორშაბათს თქვენთვის სასურველ ადგილას!

ფურნალის გამოსაწერად დაგვიკავშირდით ტელეფონზე: **(899) 48 62 41**  
ან მოგვანოდეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია ელ-ფოსტით: **subscribe@liberali.ge**

# მოცაპარაკებები უნდა ბაზილიკაში



დიდია ალბათობა, რომ მოლაპარაკებები საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით ოპოზიციური რვიანის მაგიდიდან საკანონმდებლო ორგანოში გადაინაცვლებს. ეს კი თავისთავად შეზღუდავს იმ პარტიათა მონაწილეობას, რომლებიც არ არიან პარლამენტში წარმოდგენილი.

ეკა სირაძე

პირველად 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე და შემდეგ უკვე 2010 წლის ოქტომბრიდან, არასაარჩევნო პერიოდში, საარჩევნო გარემოსა და საარჩევნო კოდექსის შეცვლა ერთ-ერთ პრიორიტეტად განიხილება.

ჯგუფი, რომელიც სახელისუფლებო პარტიის, საპარლამენტო ოპოზიციისა და არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებისაგან არის დაკომპლექტებული, ფორმალურად 2010 წლის ოქტომბრიდან შეუდგა მუშაობას საარჩევნო გარემოს დასახვეწად.

ამ ხუთი თვის განმავლობაში, ჯგუფში გაკეთდა 16 პრეზენტაცია სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მიერ მნიშვნელოვან საარჩევნო თემებთან დაკავშირებით, თუმცა აქამდე არ მომხდარა არც ერთი თემის ძირეული განხილვა, რომლის დროსაც გაიმართებოდა არგუმენტირებული მსჯელობა და პოზიციების შეჯერება ამა თუ იმ საკითხზე.

მუშაობის დაწყებისთანავე ჯგუფის წინაშე რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევა იდგა: პირველი – განსახილველი თემების სირთულე, კომპლექსურობა და მათი პოლიტიკური მნიშვნელობა; მეორე – ჯგუფის მიერ მიღწეული შედეგები არ უნდა ყოფილიყო ფორმალური და ფასადური. საარჩევნო კოდექსში ცვლილებებს რეალურად და ძირეულად უნდა გაეუმჯობესებინა საარჩევნო გარემო და აღმოეფხვრა ის სერიოზული პრობლემები, რაც არჩევნების ადმინისტრირების დროს გამოჩნდა. წლებანდელი ჯგუფი 2009 წლის იანვარში შეკრებილი ჯგუფისგან რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით განსხვავდება. წელს პროცესში უფრო მეტი არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტია იღებს მონაწილეობას, რაც ჯგუფს უფრო მრავალფე-

როვანს და წარმომადგენლობითს ხდის; ასევე, წელს მოხერხდა განსახილველ საკითხებში პრიორიტეტების გამოყოფა; ყოველი განსახილველი საკითხი წარმდგენი პარტი(ებ)ის მიერ წინასწარ იყო დეტალურად შესწავლილი და სრულყოფილად წარმოდგენილი მათი განხორციელების გზების შეთავაზებებით.

თუმცა, მიუხედავად ამ წინგადადგმული ნაბიჯებისა, ჯგუფის მუშაობა კვლავ ტოვებდა დაუკმაყოფილებლობის

**■ მიუხედავად წინგადადგმული ნაბიჯებისა, ჯგუფის მუშაობა კვლავ ტოვებდა დაუკმაყოფილებლობის განცდას. აშკარაა, რომ პროცესს აკლდა დინამიკა, მონაწილე სუბიექტებს კი – მოტივაცია.**

განცდას. აშკარაა, რომ პროცესს აკლდა დინამიკა, მონაწილე სუბიექტებს კი – მოტივაცია.

დღევანდელი მოცემულობით ჯგუფის საქმიანობის გაგრძელება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. დროებით შეწყვეტილი შეხვედრების შემდეგ, ჯგუფში მონაწილე პარტიების მიერ გაკეთებული განცხადებები მიგვანიშნებს, რომ ხელისუფლება საკმაოდ მწვავე პოზიციას უპირისპირებს ოპოზიციის მხრიდან ნებისმიერ შეთავაზებას. ამით ხელისუფლება არაპირდაპირი ფორმით საკუთარი ძალის დემონსტრირებას ახდენს და აჩვენებს, რომ სახელისუფლებო პარტიას საკმარისი რესურსი აქვს, თუ საჭიროდ ჩათვლის, პარლამენტში გადა-

წყვეტილებები ერთპარტიულად მიიღოს. მეორე მხრივ კი, იმაზეც მიანიშნებს, რომ თუ საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწის პროცესს ხელისუფლება გაეთიშება, მაშინ სამუშაო ჯგუფის არსებობასაც აზრი დაეკარგება.

წლების მანძილზე დაგროვებულ გამოცდილებას თუ ვენდობით, დიდია ალბათობა იმისა, რომ 2009 წლის მსგავსად მოლაპარაკებებმა საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით სწორედ პარლამენტში გადაინაცვლოს. ეს გარემოება თავისთავად შეზღუდავს ამ პროცესებში იმ პარტიათა მონაწილეობას, რომლებიც პარლამენტში არ არიან წარმოდგენილი. პროცესი ნაკლებად პლურალისტულ და უფრო დახურულ ფორმატში წარიმართება. შესაბამისად, პროცესების თავისუფალი დაკვირვებისა და მასში მონაწილეობის შესაძლებლობა არასამთავრობო სექტორსაც შეეზღუდება. პროცესების ასეთი მიმართულებით განვითარება ნამდვილად არ ნაადგება საქართველოში დემოკრატიულ განვითარებასა და პოლიტიკური კულტურის მაღალი დონის ჩამოყალიბებას.

ასეთი პოლიტიკური მოცემულობის გათვალისწინებით, ვთვლი, რომ საჭიროა ოპოზიციურმა პარტიებმა (საპარლამენტომ და არასაპარლამენტომ) და სახელისუფლებო პარტიამ კვლავ გააგრძელოს აქტიური მუშაობა საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწის პროცესზე, ჯგუფის ფორმატში, რათა მოხერხდეს ფართო კონსენსუსზე დაფუძნებული საარჩევნო კოდექსის შემუშავება და მიღება. ეს თავისთავად უზრუნველყოფს საარჩევნო კანონმდებლობის უფრო მეტ ლეგიტიმურობას და გაზრდის ამომრჩეველთა და საარჩევნო სუბიექტთა ნდობის ხარისხს მომავალი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის. **■**

# "დექსუსმა" 4 ჰიოჯის დასახლების ნაშობი ჩაითო




უძრავი ქონების ბაზარი 2003-2008 წლებში საქართველოში ყველაზე მზარდ სექტორს წარმოადგენდა. ბანკები დეველოპერებზე კრედიტებს აქტიურად გასცემდნენ, უძრავი ქონების ფასები იზრდებოდა, თუმცა საფრთხეს ამაში ვერავინ ხედავდა და მომხმარებლების მოთხოვნაზე ეს გავლენას არ ახდენდა. საქართველოში სამშენებლო ბუმი იყო, მაგრამ კრიზისმა ვითარება რადიკალურად შეცვალა, რისთვისაც დარგი მზად არ აღმოჩნდა. 2008 წლის მეორე ნახევარში მშენებლობები პრაქტიკულად შეჩერდა, მომხმარებლებმა კი ფულის გადახდა შეწყვიტეს, რის გამოც თითქმის ყველა მანამდე გაფორმებული კონტრაქტი დაირღვა. მიიმე ვითარებაში აღმოჩნდა სამშენებლო ბაზრის ლიდერი „ცენტრ-პოინტი“, რომლის პროექტებიდან პრაქტიკულად ყველას განხორციელება შეწყდა. „დექსუსის“ ახლანდელი დამფუძნებლები, რომლებსაც უძრავი ქონების სფეროში მრავალწლიანი გამოცდილება ჰქონდათ და სხვადასხვა ორგანიზაციაში საქმიანობდნენ, მენეჯმენტისთვის კლიენტ კომპანიას ეძებდნენ. არჩევანი „ცენტრ პოინტზე“ და მის რეაბილიტაციაზე შეჩერდა. ირაკლი კილაურიძე, რომელიც მანამდე GRDC-ის დირექტორი იყო, ამბობს, რომ გადანაცვლება, პროექტის სირთულის მიუხედავად, სწრაფად მიიღო: „ცენტრ პოინტი“ უმძიმეს ვითარებაში იმყოფებოდა. რომ არა ეფექტიანი და მკვეთრი ნაბიჯები, სიტუაცია კიდევ უფრო გაართულებოდა“, – აღნიშნავს იგი.

შედეგად იმ მომხმარებლების რიცხვი, რომელიც „დექსუსის“ მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამდა, მკვეთრად შემცირდა. „დექსუსის“ დირექტორი და ერთ-ერთი დამფუძნებელი გიორგი ქანანაშვილი ამბობს, რომ ეს კომპანიისთვის მნიშვნელოვანი მიღწევაა: „აღამიანები ხვდებიან, რომ რეაბილიტაციის პროცესი ორმხრივი კომპრომისების გარეშე შეუძლებელია. დღეს უკვე ბევრი მათგანი ხედავს, რომ მისი ბინა ნამდვილად შენდება, რისთვისაც მადლობას გვიხდის“, – აღნიშნავს იგი.

ამჟამად „დექსუსის“ აქტივში სამი დასრულებული პროექტია. რამდენიმე დღის წინ კომპანიამ ვაკეში, ჭავჭავაძისა და ყიფშიძის კუთხეში მდებარე შენობა chavchavadze corner დაასრულა. ე.წ. „შავი სახლის“ მშენებლობა 2003 წელს დაიწყო და 2 წელიწადში უნდა დასრულებულიყო. ქალაქის ცენტრში შეჩერებული სამშენებლო პროცესი „დექსუსის“ მენეჯმენტმა მართვის გადაბარებისთანავე განაახლა და 5 აპრილს კუთვნილი ფართის გასაღები 43 მოზინადრეს გადასცა. კომპანია რეაბილიტაციის გეგმის შესრულებას კვლავ სტაბილურად აგრძელებს. „დექსუსმა“ უკვე დაასახელა დამატებით 4 პროექტის დასრულების კონკრეტული თარიღები და მათი ნაშობი ჩართო: 19 აპრილს – დიდი დიღმის ოაზისის მე-5 კორპუსი, 11 მაისს – თბილისში, ხოშარაულის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი კომპლექსი „აფხაზეთი“, 28 სექტემბერს – ბათუმის „თეთრი მაცნოლია“

და 1 ოქტომბერს წყნეთის საცხოვრებელი კომპლექსი უნდა გაიხსნას. „საზოგადოების მცირე ნაწილს კვლავ ეჭვი ეპარება, თუ რამდენად შევძლებთ „ცენტრ პოინტის“ რეაბილიტაციას, ამიტომ გვინდა, რომ ჩვენი ნაბიჯები მაქსიმალურად გამჭვირვალე იყოს, მომხმარებლები აქტიურად იყვნენ ჩართულები მშენებლობის პროცესში და მიმდინარე მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაცია ჰქონდეთ. ჩვენ კონკრეტული თარიღები დავასახელებთ და ეს პროექტები დათქმულ ვადებში აუცილებლად დასრულდება. მომხმარებლები კი თავად გააკონტროლებენ „დექსუსის“ დაპირებების შესრულებას“, – ამბობს ირაკლი კილაურიძე.

ამ 4 პროექტის დასრულებით „დექსუსი“ მომხმარებლების დამატებით 22%-ს დააკმაყოფილებს. ერთ წელიწადში კი კომპანია ამ მაჩვენებლის 51,5%-მდე გაზრდას გეგმავს.



# სისფუხი ახანის ეცვაება



შესაძლებელია თუ არა ტელევიზიის გადარჩენა?

გიორგი ცხადაია

ბოლო დროს ქართველი და უცხოელი მეგობრების მხრიდან ყველაზე ხშირად ტელევიზიების კრიტიკა მესმის. ტელევიზიების ხარისხით უკმაყოფილონი არიან როგორც ამერიკაში, ისე ევროპაშიც. ქართული ტელე-კრიტიკა კი ლამის პოპულარულ ინტელექტუალურ გასართობად იქცა. ტელევიზიებს აკრიტიკებენ კონსერვატორები, ლიბერალები, მემარჯვენეები, მემარცხენეები, ახალგაზრდები, უფროსი ასაკის ადამიანები... მოსახლეობის თითქმის ყველა სეგმენტი ყველა ქვეყანაში უკმაყოფილოა ტელევიზიების მუშაობით, მაგრამ, ამავე დროს, პოპულარული ტელე-შოუების რეიტინგები დღითიდღე იზრდება.

ტელევიზიების დამცველთა არგუმენტები ყველა ქვეყანაში ერთნაირია: ვამზადებთ ისეთ გადაცემებს, რომლებსაც მაღალი რეიტინგი აქვს, ანუ რომლებიც ხალხს „მოსწონს“. ტელევიზია ბიზნესია, შესაბამისად, ნაკლებრეიტინგულ გადაცემასაც ეთერში არავინ გააჩერებს. გამონაკლის შემთხვევებად შეიძლება წარმოვიდგინოთ ის გადაცემები, რომლებიც განვითარებად ქვეყნებში ავტორიტარული მთავრობების პროპაგანდას ემსახურება.

ამ დებატებში ორი მთავარი კითხვა იკვეთება. პირველი: შესაძლებელია თუ არა გართობისა და ანალიტიკის ერთმანეთთან წარმატებით შეხამება? და მეორე: რა უნდა ვიგულისხმოთ „გართობაში“?

დავინყოთ იმით, რომ ტელევიზია დასაწყისშივე არ იყო მხოლოდ პროფესიონალური ჟურნალისტური საქმიანობისთვის განკუთვნილი მედიუმი. მას ოდითგანვე ჰქონდა ორმაგი ბუნება: გართობისა და ინფორმირების. ტელე ფილმები, სერია-



ლები, შოუები, მუსიკალური პროგრამები ისეთსავე (თუ არა, იმაზე მეტ) ადგილს იკავებდნენ ტელეპროგრამებში, როგორც ტოკ-შოუები, ნიუსები და შემეცნებითი გადაცემები.

პრობლემა ის არის, რომ დღეს გართობის სეგმენტმა ნიუსებისა და ანალიტიკის სეგმენტი ისე შეაფინოვა, რომ პოლიტიკური შოუებიც გასართობ გადაცემებს დაემსგავსა. საუკეთესო მაგალითი ამერიკული „ფოქს ნიუსი“, რომელიც გლენ ბეკისა და ახლად გაშვებული სარა პეილინის პოლიტიკურ-გასართობი შოუების წყალობით მაღალრეიტინგულობის მწვერვალებს იპყრობს. პოლიტიკურ-გასართობი პროფილის გადაცემებია ჯონ სტიუარტის „The Daily Show“ და სტივენ კოლბერის „The Colbert Report“ „კომედი ცენტრალზე“ და ბილ მარის „Real

Time with Bill Maher“ – HBO-ზე.

სტიუარტის, კოლბერისა და მარისგან განსხვავებით, „ფოქს ნიუსი“ ობიექტურობასა და მაღალ ანალიტიკურ ღირებულებებზე დებს თავს. ამის მიუხედავად, „კონსპირაციის თეორიების“ ქადაგების, რადიკალური რიტორიკისა და ექსცენტრიკული წამყვანების წყალობით, მედია კრიტიკოსების თავდასხმის ხშირი ობიექტია. სკანდალურად ცნობილია გლენ ბეკისა და სატირიკოს ჯონ სტიუარტის დაპირისპირება, რომელიც ვაშინგტონის ლინკოლნის მემორიალთან თითოეულის მხარდამჭერების მიტინგებით დასრულდა. „ფოქს ნიუსის“ შემთხვევაში აშკარაა, რომ გართობა-ანალიტიკის სასწორი აშკარად გართობისკენ იხრება.

გართობისკენ სეგმენტის მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს ისეთი ავტო-



რიტეტული ტელეარხებიც კი ავლენენ, როგორც ამერიკული CNN-ია. არხის ერთ-ერთი ბოლო პროექტი გულისხმობს გადაცემაში მაცურებელთან ინტერაქციის ელემენტის ჩართვას: მაგალითად, მაცურებლების sms-ების საფუძველზე რეპორტაჟების გაშვებას და youtube-ის ვიდეოების ჩვენებას. გართობის სეგმენტი ხშირად იმდენად ყოვლისმომცველია, რომ ჟურნალისტის არსებობის აუცილებლობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

პარალელურად, ანალიტიკური ელემენტი ნახევრად კომედიურ გადაცემებში უფრო ჭარბობს, ვიდრე მალალ ჟურნალისტიკაზე პრეტენზიის მქონე არხებზე. მაგალითად, სტიუარტის „დეილი შოუში“ არა მხოლოდ მიმდინარე ახალი ამბების კრიტიკულ ანალიზს მოისმენთ, არამედ ცნობილ პოლიტიკოსებსა და საჯარო პირებთან დისკუსიას და უახლესი სამეცნიერო პოპულარული, არამხატვრული (non-fiction) ნიგნების განხილვასაც. სხვა ჟურნალისტებისგან განსხვავებით, რომლებიც ხშირად განსახილველი ნიგნების კითხვით თავს არ იწუხებენ და ზედაპირული კითხვებით შემოიფარგლებიან, სტიუარტი ნიგნების ავტორებს კრიტიკულ კითხვებს უსვამს და საკუთარი, მტკიცე და ჩამოყალიბებული პოზიციიდან ეკამათება.

ანალიტიკურად უფრო მეტად მიმზიდველია ბილ მარის გადაცემა, რომელშიც ავტორი არც კრიტიკული კითხვების დასმას ერიდება და არც უხეშ ხუმრობებს. შეიძლება ითქვას, რომ მარის გადაცემას სტუმრობს ამერიკელი პოლიტიკური ესპერტების, ინტელექტუალების და ჟურნალისტების ელიტარული ნაწილი, რომლებიც ავტორის ხშირად უხეშ და პირდაპირ სტილს არათუ გაურბიან, არამედ თავადაც აქტიურად ერთვებიან ღია დიალოგში. მარის გადაცემა სარკაზმისა და ფორმალური მსჯელობის ერთმანეთთან შეხამების ერთ-ერთი საუკეთესო შემთხვევაა.

სტიუარტის და მარის გადაცემა იმის მაგალითებია, რომ საესებით შესაძლებელია ერთმანეთს წარმატებით შევუხამოთ სატელევიზიო მედიუმის ორი მთავარი ელემენტი: გართობა და ჟურნალისტურ-

რი ანალიზი. ამით ტელევიზიის ჟურნალისტურ და ანალიტიკურ ფუნქციას გადავარჩენთ. ახლა გასარკვევი მხოლოდ ისაა დავგრჩა, თუ რამდენად მიზანშეწონილია ყველაფერს „გართობა“ უწოდოთ.

შუა საუკუნეების ევროპაში მოსახლეობის ერთ-ერთი მთავარი „გასართობი“ საჯაროდ გამართული სიკვდილის დასჯის ცერემონიის ყურება იყო. ცნობილი ფაქტია, რომ ცერემონიაზე დასასწრებად ბავშვებიც მიჰყავდათ. ასევე, ყველასთვის ცნობილია ძველი რომის ერთ-ერთი მთავარი გასართობის — გლადიატორების სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების შესახებ. დღემდე სახიფათოდ ერთობიან პამპლონას და ზოგიერთი ესპანური და მექსიკური ქალაქების მცხოვრებლებიც,

## ■ მოსახლეობის თითქმის ყველა სეგმენტი, ყველა ქვეყანაში უკმაყოფილოა ტელევიზიების მუშაობით, მაგრამ, ამავე დროს, პოპულარული ტელე შოუების რეიტინგები დღითიდღე იზრდება.

რომლებიც სიმამაცის დასამტკიცებლად ქუჩაში გაქვეულ ხარებს ზემოდან ახტებიან. რომ არაფერი ვთქვათ ისეთ გასართობზე, როგორცაა ესპანური კორიდა, რომელიც უამრავ მაცურებელს იზიდავს.

როგორც ჩანს, ადამიანებს მოსწონთ ისეთი სანახაობები, რომლის მთავარი გმირებიც თავს ხიფათში იგდებენ, უბედურებასა და სკანდალში ეხვევიან. ამით აიხსნება ყვითელი პრესის და ისეთი გადაცემების პოპულარობა, როგორიცაა რეალითი შოუები და სკანდალურ აღიარებებზე ორიენტირებული გადაცემები (მაგალითად, ტელემედის „სიმართლის დრო“). სკანდალისა და ტრაგედიის მიმართ ადამიანების ინტერესს, სამწუხაროდ, ვერასდროს მოვერევით. ისევე, როგორც, საბედნიეროდ,

ვერასდროს გავექცევით ადამიანების მიდრეკილებას ხუმრობისა და სიცილის მიმართ. ტელევიზიების მიზანი ამ ბუნებრივი ემოციებისა და განცდების გაკეთილშობილება და გაჯანსაღება უნდა იყოს.

საუბედუროდ, ქართულმა ტელეარხებმა უკვე წარმატებით შეითვისეს ადამიანურ გრძნობებსა და ემოციებზე თამაშის ხელოვნება. მაია ასათიანის „პროფილი“, ტელემედის „ქრონიკა“ და სხვა გადაცემები წარმატებით ახერხებენ ჟურნალისტური ეთიკის უგულვებლყოფით ადამიანური ტრაგედიების ექსპლუატაციას. ეს გადაცემები შეიძლება სკანდალურია, საინტერესოა, ადამიანურ ტრაგედიებს ასახავს, მაგრამ ეთიკური და პროფესიონალური არ არის.

ეთიკური და პროფესიონალური სტანდარტების დარღვევა სკანდალების და მალალი რეიტინგის ხათრით საყოველთაოდ გავრცელებული სატელევიზიო ფენომენია. ამას წინათ, პოპულარულმა ამერიკულმა ინტერნეტ-გამოცემა „ჰაფინგტონ პოსტმა“ გამოაქვეყნა ყველაზე არაეთიკური ამერიკული რეალითი შოუების სია. რამდენიმე მათგანი ტელეეთერიდან მოხსნეს ეთიკის პრინციპების დარღვევის გამო, თუმცა ორმა მათგანმა, რომელშიც მონაწილე ქალბატონებს პლასტიკური ოპერაციებს სთავაზობენ, თავად პლასტიკური ქირურგების ასოციაციის ყურადღებაც კი დაიმსახურა. არადა, პლასტიკური ქირურგების ასოციაციის წესდების მიხედვით, პლასტიკური ოპერაციის, როგორც ჯილდოს შეთავაზება, აკრძალულია. სხვა შემთხვევებში, სხვადასხვა უფლებათა დამცველი ორგანიზაციების მოთხოვნით, ზოგიერთი რეალითი შოუ ტელეეთერიდან მოხსნეს.

ტელევიზია თავის მნიშვნელოვან ფუნქციას მხოლოდ მაშინ დაიბრუნებს, როდესაც სერიოზულ პოლიტიკურ და ეთიკურ საკითხებს სათანადო ყურადღებას მიაქცევს. სხვა შემთხვევაში, ის საზოგადოების შემდგომი მორალური დეგრადაციას ერთ-ერთი წამყვანი მიზეზი შეიძლება გახდეს. გადარჩენის ერთ-ერთი გზა გართობისა და ანალიტიკის შეხამებაა. ■

# სხვა ხალხი?.. ხომიხსი მხოლოდ



მხიარული და მოკლემეტრაჟიანი „ჰამლეტი“ რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე.

დავით ბუხრიკიძე

როგორც ყველა დროში, დღესაც არტის „მომსახურე“ ნორჩებს სისხლი უდუღთ და რევოლუცია სწავლიათ. მართალია, ხშირად ექსპერიმენტები უღიმამო ფოიერვერკების კამერულ გამონათებას ჰგავს, მაგრამ არის მხიარული გამონაკლისებიც. მაგალითად, სახელოვანი რობერტ სტურუას მაგისტრანტმა, ახალგაზრდა რეჟისორმა ლევან ხვიჩიამ გადაწყვიტა, „ჰამლეტი“ მოკლე და ხხარტ კომიქსად წარმოედგინა. ამისთვის მას რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე სულ რაღაც ერთი საათი, შავი ხის კუბი და ოდნავ გაქუცულ-დაყირავეული სავარძელი დასჭირდა. რეჟისორის კონცეფციის შესაბამისად, სპექტაკლს „hamleti.comX“ ეწოდება.

ლევან ხვიჩიას „ჰამლეტი“ პატარა და საკმაოდ მახვილგონივრული კომედიაა, რომელშიც გრძელი მონოლოგებიდან მხოლოდ ფრაზებია დარჩენილი, ხოლო კონტექსტი მთლიანად შეცვლილია. მრავალრიცხოვანი პერსონაჟებიდან თითქმის ცარიელ სცენას მხოლოდ რვა შემორჩა. შესაძლოა პარადოქსულად მოგეჩვენოთ, რომ ყველა მათგანს თანაბარი დატვირთვა აქვს და სპექტაკლში არ არსებობენ მთავარი და მეორეხარისხოვანი გმირები.

ლამის სატელევიზიო სცენა-გეგმები, ქორეოგრაფიული რეპრიზები, ტრაგიკული მონოლოგების კომიკურად „ამოყი-რაგება“, ყოველი ცნობილი ფრაზის მოულოდნელი გააზრება და გაშარჟება, მსახიობთა ნიღბებით „თამაში“ – ეს ყველაფერი ფოკუსების ჩვენების ხელოვნებას ემსგავსება, რომელსაც ეს-ესაა რეჟისორი დაუფლა. ამიტომ სურს მაცურებელიც გააოცოს. ისე კი, შექსპირის



სცენა სპექტაკლიდან „ჰამლეტი“, 2011

ფოტო: შალვა მუხამბერაძე

**ლევან ხვიჩიას „ჰამლეტი“ პატარა და საკმაოდ მახვილგონივრული კომედიაა, რომელშიც გრძელი მონოლოგებიდან მხოლოდ ფრაზებია დარჩენილი და კონტექსტი მთლიანად შეცვლილია.**

ყველაზე ცნობილი ტრაგედიის კომიქსად წარმოდგენას მცირე თავხედობასთან ერთად, რეჟისორის მდიდარი ფანტაზიაც სჭირდება. მთავარია, მან დროულად და დახვეწილად ჩაატაროს ხუთაქტიანი ტექსტის „მიკროქირურგიული“ ოპერაცია და ირონიული დამოკიდებულება სცენურ სახეებად აქციოს. ამავე დროს, არც გემოვნება და ზომიერება მეორეხარისხოვანი, რაც ხშირად გადაულახავ ბარიერად იქცევა ხოლმე ახალგაზრდა და ამბიციური რეჟისორებისთვის.

თითქმის მარტივ, ძალიან სასაცილო

და პლასტიკურად კარგად აწყობილ სპექტაკლში ყველა ახალგაზრდაა. სათვალთან „მეცნიერ-ჰამლეტს“ ედმონდ მინაშვილი თამაშობს, რატომღაც შავკანიან პორაცეოს – კახა კუპატაძე, მეფისტოფელის იმიჯის მქონე კლავდიუსს – ბექა სონღულაშვილი, სექსუალურად დაუკმაყოფილებელ გერტრუდას – მანანა აბრამიშვილი. საინტერესოა ვითომ უკარება ოფელიას დამცინავი შტრიხებით გააზრებაც, რომელსაც ქეთი სვანიძე ლამის ლედი გაგას იმიჯით ანსახიერებს.

მამის აჩრდილი (გელა თავებერიძე) შავი

ქოლგით, გროტესკული გრიმით და პატარა ჩემოდნით ხელში, უფრო მისტერ ფეიჯინს ჩამოჰგავს ფილმიდან „ოლივერ ტვისტი“, რომელსაც მწვანეშარვლიანი და დიდსათვალიანი ლაერტი (ირაკლი სანაია) სასაცილოდ ერთმეება. თუმცა პუბლიკას მაინც პაატა გულიაშვილის პოლონიუსი ხიბლავს, რომლის ნებისმიერი ფრაზა თუ ჟესტი აშკარად მატებს წარმოდგენას „კომიკურ გრადუსს“.

გამარჯებული ყველა ცნობილი მონოლოგი თუ სცენა: ჰამლეტის „რად არ მეშლება ეს სხეული“ და „ყოფნა-არყოფნა“, კლავდიუსის „უფიქროდ სიტყვა ვერ მიწვდება ცას ვერასოდეს“ და. ა.შ. ჰამლეტისა და ოფელიას შეხვედრის ცნობილ სცენაში „სახსოვრებად და წერილებად“ რეჟისორი პრეზერვატივებს იყენებს, ხოლო ჰამლეტი ცნობილ ფრაზას – „მონასტერში წადი, ოფელია“, სექსუალური აქტის იმიტაციის შემდეგ ამბობს, რაც ირონიას მხოლოდ ამბაფრებს. რაც შეეხება „ყოფნა-არყოფნის“ წერილად ქცეულ მონოლოგს, რეჟისორი მას სტურუას „ჰამლეტიდან“ პაროდიად აქცევს, რაც ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ეპიზოდია.

ერთ-ერთ ინტერვიუში რეჟისორი ამბობს, რომ „ჰამლეტის“ კომედიურ ჟანრში გადანყვება ტექსტისადმი ყალბმა დამოკიდებულებამ და დღევანდელმა მაყურებელმა უკარნახა: „თითქოს რალაცას განიცდი, ან გიხარია, მაგრამ ეს არ არის ნამდვილი დამოკიდებულება. მინდა, რომ ამას მაყურებელიც მივახვედრო“. სიმართლე ვთქვათ, ამ სასაცილო და არცთუ უგემოვნოდ დადგმული სპექტაკლის ფონზე, უფრო საშიშია ჰამლეტწაუკითხავი ახალგაზრდების რეაქცია. შესაძლოა მათ კომიქსად დადგმული „hamlet.comX“ მართლა შექსპირის პიესა ეგონათ... ისევე, როგორც რამდენიმე წლის წინ, ბაზ ლურმანის მიერ გადაღებული „რომიო და ჯულიეტა“ ეგონათ ამერიკის ერთ-ერთ შტატში თანამედროვე პიესის ეკრანიზაცია.

ვიმედოვნებთ, რომ ლევან ხვიჩიას არამხოლოდ კლასიკოსთა კარგად გამარტივება ემარჯვება, არამედ კარგი პიესების „რთულად“ დადგმაც. და ახალ სპექტაკლებს მალე დიდ სცენაზეც ვიხილავთ. **■**

# სახლი, სადაც იმ ბარჯიხა

დავით ბუხრიკიძე



ნანა ბერძენიშვილი – სალომე ჯაშის დოკუმენტურ ფილმ „ბახმარო“ მთავარი გმირი

ეს არის გარედან ახალი, მაგრამ შიგნით პარკეტაყრილი და შუშებჩალენილი სამსართულიანი შენობა გურიაში, სადაც მთელი ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური პორტრეტი იხატება; სადაც ჩინური მაღაზია, ცარიელი რესტორანი, სტომატოლოგიური კაბინეტი, კომპიუტერული ცენტრი და ლტოლვილები ერთად არიან თავმოყრილი; უფუნქციო, უგრძნობი სახლი, სადაც დრო გაჩერდა...

ჟურნალისტისა და რეჟისორის, სალომე ჯაშის ახალ ფილმში „ბახმარო“ მთავარი „გმირი“ სწორედ შენობაა, რომელიც ქვეყნის მეტაფორად იქცევა.

დაახლოებით, ერთსაათიანი დოკუმენტური ფილმის პრემიერას „რუსთაველში“ არ მოჰყოლია ხმაურიანი რეაქცია (როგორც, ვთქვათ, ნინო კირთაძის ფილმის შემთხვევაში). პრემიერას არც ნაცმოძრაობის მცირე ლიდერები ესწრებოდნენ და არც კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები. სამაგიეროდ, უხვად იყვნენ სხვადასხვა „ჯურისა“ და კალიბრის ჟურნალისტები და ჭრელი არტ-პუბლიკა. დოკუმენტურ ფილმებს, როგორც წესი, მაყურებელი არა ჰყავს – სალომე ჯაშის „ბახმარომ“ ეს სტერეოტიპი დაამსხვრია.

შენობა თითქოს სტაგნაციის ბურუსში გახვეული და სივრცე უცნაურად ირეკლავს კომუნისტური შემდგომი დროის დრამებს – 90-იანი წლების ნგრევიდან, ნითელი და მწვანე პლასტიკატი მოპირკეთებული რესტორნის კიჩურ ესთეტიკამდე. სამსართულიანი შენობაში ძაღლები, ლტოლვილები, პარტიული ლიდერები პლაკატებზე, რესტორანი, სტომატოლოგის კაბინეტი თუ კომპიუტერული ცენტრი ერთ სივრცეში თავმოყრილ აბსურდის თეატრის კომპოზიციას ჰგავს. რესტორანში ნითელი და მწვანე პლასტიკატი მოპირკეთებული კედლები უფრო დამცინავი მხატვრული მეტაფორაა, ვიდრე რეალობის ანარეკლი...

მესამე სართულზე ლტოლვილებიც ცხოვრობენ, რომელთაც რეჟისორი ძუნწად, მხოლოდ კამერის „შემთხვევითი“ მოძრაობით ასახავს. თურმე ადგილობრივი არჩევნებზე კარზე მომდგარი და პლაკატებს გაკვრა სჭირდება. „ნომერი 5“ არაფრით მაგრდება მინაზე – არც სკოჩით, არც წებოთი. სამაგიეროდ, ლიდერი „ნომერი 10“ – ბატონი თარგამაძე კამერის წინ ჩნდება, ხალხს დაპირებას აძლევს და დეპრესიულ გარემოს მხოლოდ ირონიულ თანაგრძნობას უტოვებს.

რეჟისორი საქართველოს სიმბოლურ პორტრეტს გვიხატავს – მრავალფუნქციურ შენობას, რომელშიც თითქოს ყველაფერია, მაგრამ სინამდვილეში არაფერია! დრო ყოფნა-არყოფნას შორის გაჩერდა. ამ ფონზე ნითლისა და მწვანის რითმა დამცინავი და შემადრწუნებელიც. ეს ჩვენი ქვეყნის პორტრეტი. **■**

## Apple 35 წლისაა



კომპანია Apple 1976 წლის 1 აპრილს სტივ ჯობსის ავტოფარეხში დაიბადა. სწორედ იმ დღეს გაჩნდა პირველი დანადგარი – Apple Computer I, რომელიც 10 თვეში 175 ეგზემპლარი გაიყიდა.

1977 წლის თებერვალში კომპანიის პრეზიდენტი მაიკლ სკოტი გახდა. სწორედ ამ პერიოდში გამოვიდა პირველი პერსონალური კომპიუტერი ფერადი გრაფიკით Apple Computer II და გაჩნდა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლოგო – ჩაკეტილი ფერადი ვაშლი, რომლის ავტორიც სარეკლამო სააგენტო Regis McKenna იყო.

1979 წელს Apple-ის თანამშრომელმა ჯეფ რასკინმა ახალ კომპიუტერზე დაიწყო მუშაობა, რომელიც უკვე რიგით მოხმარებელზე იყო გათვლილი. ასე დაიწყო პირველი Macintosh-ის შექმნა. 1983 წელს კომპანიის პირველი პერსონალური კომპიუტერი გამოვიდა, რომელსაც გრაფიკული სამომხმარებლო ინტერფეისი ჰქონდა. კომპიუტერს ჯობსის ქალიშვილის პატივსაცემად Lisa ეწოდა. პირველი Macintosh კი კომპანიამ 1984 წლის 22 იანვარს წარადგინა.

ამჟამად Apple მომხმარებლების უდიდესი ლოიალობით სარგებლობს. არც ერთი ტექნოლოგიური გიგანტი არ ინვესტს იმდენ ემოციას, როგორც სტივ ჯობსის კომპანია. დღეს მას ფანების არმია ჰყავს, რომლებიც Apple-ის მორიგი ახალი პროდუქტის შესაძენად მაღაზიის წინ ღამეებს ათენებენ. კომპანიის იდეების მთავარი გენერატორი და სულისჩამდგმელი დღემდე პირადად სტივ ჯობსია – ადამიანი, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიური სამყაროს უმნიშვნელოვანეს ნოვატორად და ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ბიზნესმენად ითვლება. დღეს Apple ყველაზე ძვირადღირებული IT კომპანიაა და კაპიტალიზაციით კონკურენტ Microsoft-საც უსწრებს.

## Microsoft VS Google

Google-ის საძიებო ბაზრის მონოპოლიზაციაში კომპანია Microsoft ადანაშაულებს. კომპანიამ ინტერნეტ-გიგანტის წინააღმდეგ სარჩელი ევროკომისიაში შეიტანა. Microsoft-ში აცხადებენ, რომ Google საძიებო ბაზარზე ლიდერის როლს არაკეთილსინდისიერად იყენებს, კონკურენტების ვებგვერდების ინდექსირებას შეცდომით ახდენს და ძიების შედეგებს მიზანმიმართულად ამახინჯებს.

ამის გარდა, Microsoft-ში აღნიშნავენ, რომ Google კონკურენტებს არ აძლევს წვდომას საძიებო სისტემების საკუთარ სერვისებზე, მათ შორის YouTube-ზე.

„პოპულარულ ვიდეოპოსტინგზე წვდომის გარეშე Bing და სხვა საძიებო სისტემები ვიდეორგოლების ძიების შედეგებში Google-ს კონკურენტის ვერ უწევენ, რის გამოც მომხმარებლები იძულებულნი ხდებიან მხოლოდ Google-ით ისარგებლონ“, – აცხადებს სოფტვერული გიგანტის ვიცე-პრეზიდენტი ბრედ სმიტი.

სარჩელი Google-ის წინააღმდეგ 2010 წელს დაწყებული გამოძიების ნაწილი გახდება. შარშან ინტერნეტ-გიგანტს ანალოგიური ბრალდებით სამმა ევროპულმა კომპანიამ უჩივლა, რომელთაგან ერთი სწორედ Microsoft-ს ეკუთვნის. ევროკომისიის წინასწარი ანტიმონოპოლიური კვლევა Google-ის წინააღმდეგ 2010 წლის თებერვალში დაიწყო. ნოემბერში კი ცნობილი გახდა, რომ ორგანიზაციამ ინტერნეტ-გიგანტის საქმიანობაში არაკეთილსინდისიერი კონკურენტის ნიშნები აღმოაჩინა და მის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო.



## Lenovo პლანშეტების რბოლაში ჩაერთო

ჩინეთში Lenovo-ს პირველი პლანშეტური კომპიუტერის Lenovo LePad-ის გაყიდვა დაიწყო. პერსონალური კომპიუტერების ერთ-ერთი მსხვილი მწარმოებელი ცდილობს, iPad 2-ის ჩინეთში შესვლამდე ადგილობრივი ბაზარი მაქსიმალურად აითვისოს. ივნისში კი კომპანია პლანშეტების გაყიდვას გლობალური მასშტაბით დაიწყო.

LePad 10,1 დიუმიანი დისპლეით, Qual-



comm Snapdragon 8650A პროცესორით, 1 გიგაბაიტის მეხსიერებით, 2 მეგაპიქსელიანი კამერით, GPS მიმღებითა და Bluetooth 2.1+EDR ადაპტერთა ალჭურვილი. პლანშეტი Android 2.2-ის ბაზაზე ფუნქციონირებს და GSM/EDGE-ს მხარდაჭერით სარგებლობს.

პლანშეტების წარმოება ტექნოლოგიების უკანასკნელი მოდაა. მიმართულება, რომელიც შარშან Apple-მა გახსნა ნოუთბუქების ბაზარს უკვე ავიწროებს. Gartner-ის მონაცემებით, მიმდინარე წელს პლანშეტების გაყიდვები 181%-ით გაიზრდება.

## Nokia ტელეფონების ახალ სერიაზე მუშაობს

Nokia მობილური მოწყობილობების ახალი T სერიის გაშვებას გეგმავს. გავრცელებული ინფორმაციით, პირველ ტელეფონს T7-00 ერქმევა და ის სმარტფონების E7-სა და N8-ს მსგავსი იქნება.

T7-00 შესაძლოა, MeeGo პლატფორმაზე აგებული პირველი მოწყობილობა გახდეს. Nokia მის გამოშვებას ჯერ კიდევ გასულ წელს გეგმავდა, Microsoft-



-თან გარიგების დაანონსების შემდეგ კი კომპანიის ხელმძღვანელმა სტივენ ელოპმა განაცხადა, რომ MeeGo-ზე დაფუძნებული გაჯეტი გამოვა, თუმცა იგი ექსპერიმენტული იქნება.

ამჟამად Nokia-ს Nseries-ის, Eseries-ის, Cseries-ისა და Xseries-ის მონყობილობები აქვს.

### ჯასტინ ბიბერის კლიპი YouTube-ს რეკორდსმენია

პოპ-მუსიკის ახალგაზრდა შემსრულებლის ჯასტინ ბიბერის კლიპი YouTube-ს ყველა დროის რეკორდსმენია. ვიდეო, რომელიც გასული წლის თებერვალში აიტვირთა 500 მილიონზე მეტმა მომხმარებელმა ნახა, ეს კი YouTube-ს ისტორიაში რეკორდული მაჩვენებელია. სხვათა შორის, YouTube-ს ყველაზე პოპულარულ 10 ვიდეოს შორის ბიბერის კიდევ ერთი კლიპი მოხვდა, რომელიც მეექვსე ადგილ-



ზეა. ათეულში კი პოპ-შემსრულებლები – ლედი გაგა, შაკირა, მაილი საირუსი და რეპერი ემინემიც მოხვდნენ.

თუმცა მოზარდების კუმირ ჯასტინ ბიბერს შესაძლოა, მალე კონკურენცია კიდევ ერთმა არასწრულწლოვანმა „მომღერალმა“ რებეკა ბლეკმა გაუწიოს. პრიმიტიული კომპოზიცია Friday, რომელსაც 13 წლის გოგონა ასრულებს, ერთ კვირაში 16,5 მილიონმა მომხმარებელმა ნახა.

### ინტარნეტ-სარკა - შოპინგის თანამედროვე ტექნოლოგია

ლონდონის ტანსაცმლის მაღაზიებში ახალი გაჯეტი გაჩნდა. მისი დახმარებით მომხმარებლები რჩევებსა და რეკომენდაციებს Twitter-იდან და Facebook-იდან სამოსის მოზომების დროს იღებენ. პირველი მონყობილობა სახელწოდებით Tweet Mirror ლონდონის ვესტფილდის სავაჭრო ცენტრში დამონტაჟდა. მონყობილობა ერთგვარი სარკეა, რომელიც ინტერნეტშია ჩართული და ამავდროულად HD ფორმატის ვიდეოკამერითაა აღჭურვილი.

Tweet Mirror მომხმარებელს ფოტოს უღებს და სურვილის შემთხვევაში მას Twitter-ზე ან Facebook-ზე აგზავნის. მეგობრების რჩევებსა და კომენტარებს



კი ის მობილური ტელეფონით, SMS შეტყობინების სახით იღებს.

გაჯეტი ჰოლანდიურმა კომპანია Nedap-მა შექმნა. Nedap-ის თანამშრომელმა ამ ხელსაწყოს შემუშავება მაშინ გადაწყვიტა, როდესაც მისი საცოლე საქორწინო კაბის გასინჯვისას ფოტოებს იღებდა, რათა ისინი რჩევის საკითხავად მეგობრებისთვის ეჩვენებინა. Nedap ინტერნეტ-სარკის დამონტაჟებას სხვა მსხვილ სავაჭრო ცენტრებშიც გეგმავს.

### Gmail-ში მოლაპარაკე რობოტი ბანდა

Google-მა ახალი სერვისის Google Talk Guru-ს სატესტო ვერსია გაუშვა. ჩატ-ბოტი იგივე სახელწოდების პროგრამაში მომხმარებლების ყველაზე ხშირად დასმულ შეკითხვებს პასუხობს. მოლაპარაკე „გურუს“ ონლაინ-მესინჯერის დიალოგის ფანჯარაში საძიებო შედეგების, ფებზურთის მატჩების განრიგის, ამინდის პროგნოზისა და ვალუტის კურსის ნარდგენა შეუძლია.



რობოტი Google Talk-თან ერთად Gmail-შიც მუშაობს. „ჭკვიანი“ ბოტის ჩასართავად იგი guru@googlelabs.com-იდან ჩატში უნდა მიიწვიოთ. საუბარი მასთან მხოლოდ ინგლისურ ენაზეა შესაძლებელი, თუმცა ონლაინ-მესინჯერების ტრადიციული ჩატ-ბოტებისგან განსხვავებით, Google Talk Guru-ს მხოლოდ მომხმარებლების მოთხოვნების დამუშავება და შესაბამისი ინფორმაციის გაცემა შეუძლია.

### ღრუბლის გოგონა - სერვისი მართონხალაბისთვის

ახალი სერვისი Cloud Girlfriend-ის დახმარებით ნებისმიერ ინტერნეტ-მომხმარებელს საკუთარი ოცნების ქალის აღწერა შეეძლება, სერვისი კი მას სასურველ მეგობარ ქალს სოციალურ ქსელებში ავტომატურად შეუქმნის. გამოგონილ გოგონასთან ურთიერთობა შესაძლებელი იქნება Facebook-ზეც.

სერვისის შემქმნელები ამბობენ, რომ სერვისი განსაკუთრებით იმ ადამიანებს



დაეხმარება, რომლებსაც სურთ ვინმე აეჭვიანონ – მეგობარი „ღრუბლის“ გოგონას სოციალურ ქსელზე შეტყობინების დატოვებაც შეეძლება.

მომზადა ნინო ნატროშვილმა.

# ვაშლები და ვეშლები!



კახა თოლორდავა

უკვე თითქმის თვენახევარია, ჩემს ბინაში ჩემთან ერთად ორი ლამაზი ვ ა შ ლ ი ცხოვრობს. მახსოვს კიდეც, სად და როდის ვიყიდე ისინი. დიდება ღმერთს ჩემი მეგობრის გამოგზავნისთვის, რადგანაც სწორედ მან გადაარჩინა ეს ორი ნაზი არსება განადგურებას. დიახ, მრცხვენია ამის თქმა, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ორივეს შეჭმას ვუპირებდი; მშიოდა და რა მექნა. ვიფიქრე, სახლში მისვლამდე ვაშლით მოვატყუებ შიმშილს-მეთქი და იქვე, ქუჩაში ვიყიდე ორი ცალი. მერე კი იმ ჩემმა ღვთისმოსავმა მეგობარმა გამიჩერა მანქანა და მთხოვა, წამო, ერთად ვისადილოთო სადმე. აი, ასე შემთხვევით გადამარჩინა საუკუნო სირცხვილს და ასე გამაბედნიერა იმ კაცმა. აი, ასე მოხვდა ჩემს სახლში ეს ორი ულამაზესი არსება.

თვენახევარი გავიდა, როგორც უკვე გითხარით და ვერც კი წარმომიდგენია, მათ გარეშე როგორ ვცხოვრობდი აქამდის. რა ძაღლი, რა კატა, რა თუთიყუში, რა ზაზუნა, ან თევზები სახლში! დამიჯერეთ, ყველა ოჯახს უნდა ჰყავდეს სახლში ისეთი ვაშლები, ჩემთან რომ ცხოვრობენ! ისინი ჩემგან არაფერს ითხოვენ, არც კვებას, არც გასეირნებას, არც შლეგებივით დარბიან სახლში, რომ არაფერი ვთქვათ ყვფაზე, კნავილზე წრიპინზე და უადგილო ადგილას მოსაქმებაზე. არა, ისინი თავისი ა რ ს ე ბ ო ბ ი თ მილამაზებენ ცხოვრებას მეც და ჩემთან მოსულ სტუმრებს. სიმართლე გითხრათ, ეჭვი მაქვს, რომ მეგობრები უკვე მხოლოდ მათ სანახავად მოდიან ჩემთან. ვილაცხვილავ კი, რომ მირეკავენ, ჯერ ამათ მოიკითხავენ მოურიდებლად, მერე კი – მე და ჩემს შვილს. არ მწყინს, რადგანაც მესმის მათი – შეუძლებელია, ერთხელ მაინც შეავლო თვალი ამ არსებებს და სამუდამოდ არ მოიხიბლო მათი სილამაზით და დ ღ ე გ რ ძ ე ლ ო ბ ი თ. სულ ვფიქრობ ხოლმე იმ ჯადოქარზე, ვინც ასეთი სიცოცხლისუნარიანობით დააჯილდოვა ისინი. იმ ნივთიერებებზეც ვფიქრობ, ჯადოქარმა რომ შეუშაპუნა მათ. ნეტავი ჩვენც ვინმემ მოგვცეს ასეთი დღეგრძელობა!

მესმის, ვაშლი ყველას გვინახავს, მაგრამ ჩემები განსაკუთრებულები არიან! ზოგჯერ კომპარი მალვიძებს ხოლმე, სადაც დილას სამზარეულოში რომ გავდივარ, ორივე დამპალი და დაჭიავებული მხედება მაგიდაზე. ცივ ოფლში გაღვრილი ვიღვიძებ ხოლმე ასეთ დროს, წამოვხტები და სამზარეულოსკენ გავრბივარ. ღმერთო, რომ იცოდეთ როგორი ბედ-



ნიერებაა, როდესაც ვხვდები, რომ ეს მხოლოდ სიზმარი იყო! ერთი ზედმეტი ლაქაც კი არ გასჩენიათ! უცნაურია, იმათ, მოსკოვში, რევოლუციის ამდენი ხნის გარდაცვილი ბელადს რომ უვლიან უკვე ამდენი წელია, ნუთუ არც ერთხელ არ მოსვლიათ თავში იმ ნივთიერებების გამოყენება, ჩემს ვაშლებს რომ შეუშაპუნა ჯადოქარმა? შეიძლება, უფიქრიათ კიდეც, მაგრამ ადვილი არ უნდა იყოს ასეთი საოცარი ელექსირის შოვნა.

მართლაც რომ საოცრებაა! ზოგჯერ, პარსვისას, სარკეში რომ ვიყურები, ვამჩნევ, ამ თვენახევრის განმავლობაში დრომ თავისი გაიტანა და ერთი-ორი თეთრი თმა და ნაოჭი მაინც შემომპაპრა. სამაგიეროდ, მან ვერაფერი დააკლო ჩემს ვაშლებს! რამდენ ხელში არ გაუვლიათ ამ დალოცვილებს, მაგრამ ისევ ისეთი ცინცხლები არიან, ისევ ისეთი პრიალები, უნაოჭოები და მიმზიდველები! მინდა, რომ ამათთან ერთად დავბერდე, სიკვდილის წინ ამათ მინდა ვუყურო, მინდა, მათ ცქერაში ამომხედეს სული! ჩემო საყვარლებო, ჩემო ლამაზებო, რომ იცოდეთ, როგორი ბედნიერი გამხადეთ, რომ იცოდეთ, როგორ მიყვარხართ, რომ იცოდეთ, როგორ მინდა ჩემს შემდეგ ვინმე ნორმალური კაცის ხელში ჩავარდეთ, კაცის, ვინც ზიანს არ მოგაყენებთ, არამედ ჩემნაირად დატკებება თქვენი არსებობით.

გუშინ ქალაქში სეირნობისას თვალი მოვკარი დედას, რომელიც თავისი შვილებისათვის ვაშლს ყიდულობდა ქუჩაში. თავი ვერ შევიკავე და ავღრიალდი. „არა, არ შეჭამოთ, გემუდარებით! ნუ, თქვენი ჭირიმე, ნუ იზამთ ამას, ნუ! თქვენ ხომ უკვდავებას ანადგურებთ?“ როგორც გიჟს ისე მიყურებდნენ!



თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი  
გორი, ქარელი, საშუსრი  
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია  
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი  
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი

**FM 105.5**

**FM 103.0**

**FM 104.5**

**FM 101.0**

**FM 101.9**



**WWW.LIBERALI.GE**

